ქუთაისის მერი არ მიდის, მაგრამ წასულია A3
წერილები მთავრობას A8
კავკასიელი ტყვეები B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 20 აპრილი, 2004 წელი. №92 (641)
ფასი 50 თეთრი

ზურაბ ჭიაბერაშვილი თბილისის მერია

პრეზიდენტ სააკაშვილის მორიგი მოულოდნელი საკადრო გადაწყვეტილება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის აწ უკვე ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი დედაქალაქის მერი ხდება. პრეზიდენტ სააკაშვილის ეს გადაწყვეტილება გუშინ გახმაურდა და აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც ქალაქის ხელმძღვანელობისათვის, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებისათვის. რაც შეეხება თავად ზურაბ ჭიაბერაშვილს, იგი აცხადებს, რომ მისთვის უკანასკნელ წუთამდე არ იყო ცნობილი, თუ რა ელოდა მის კარიერას. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტი მას ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ შეხვდა და საკუთარი გადაწყვეტილების თაობაზე სწორედ მაშინ ჩააყენა საქმის კურსში.

თამარ მჟედლიშვილი

ვანო ზოდელავას თანამდებობიდან გათავისუფლების პერსპექტივა რომ ემუქრებოდა, ეს ყველასათვის ცნობილი იყო. ქალაქის მერის პოსტიდან მის გადაყენებაზე ჯერ კიდევ "ვარდების რევოლუციის" წინ ალაპარაკდნენ. კულუარული საუბრები მას მერე გახშირდა, რაც ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გახდა, მაგრამ ამ "დედაქალაქურ პოლიტინტრიგას" თუ ასეთი მოულოდნელი დასასრული ექნებოდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა, რადგან სამეურნეო მუშაკის სახესთან ზურაბ ჭიაბერაშვილი ყველაზე ნაკლებად ასოცირდებოდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

"უწყლო ქალაქის" გასაჭირი

ნონა ყანჩაველი

ალგეთის წყალზე თუ "მგლის ლეკვები" გადატანითი მნიშვნელობით დაიზრდებიან, რუსთავის სასმელ წყალზე ეს პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება ითქვას - ადამიანებისთვის იგი, რბილად რომ ვთქვათ, არარეკომენდებულია. მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა ახლოსაა ერთმანეთთან კანალიზაციისა და სასმელი წყლის გაცრეცილი მილები.

ექსპლუატაციის ვადა ამ მილებს ზუსტად 25 წლის წინ გაუვიდათ. **"რაც რუსთავი აშენდა, მის წყალმომარაგებას ეს თუჯისა და ფოლადის მილები უზრუნველყოფს. ეს სულ გასული საუკუნის 60-იანი წლების მილებია.**

გაგრძელება A6 გვერდზე

საქართველოს ახალი ჰიმნი ექნება

დავით მაღრაძე - საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავტორი.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

თავისუფლება

დათო მაღრაძე

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,

დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ბრძოლა აფხაზური დეპუტაციის ნანგრევებზე

აჭარის კრიზისმა დროებით მეორე პლანზე გადასწია ის შიდა წინააღმდეგობები, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი ხელისუფლების შიგნით არსებობდა. აფხაზეთის არასამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები ორიოდე თვის წინათ დაჟინებით ითხოვდნენ თამაზ ნადარეიშვილის გადაყენებას, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას და საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას. მას შემდეგ, რაც მათი პირველი მოთხოვნა დაკმაყოფილდა, საპროტესტო ტალღა შეჩერდა. გამორიცხული არ არის, პარლამენტის მუშაობის დაწყებისთანავე, იგი ხელახლა აგორდეს და აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატებს საფრთხე

გიორგი ასანიშვილი

1999 წლის მოწვევის პარლამენტში აფხაზეთზე "ორიენტირებული" პოლიტიკოსები ორ ათკაციან ფრაქციაში - "აფხაზეთი" და "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატები" - იყვნენ გაერთიანებულნი. დღეისთვის მათი რაოდენობა განახევრებულია: ახალ საკანონმდებლო ორგანოში ვერ მოხვდნენ აკაკი გასვიანი, ვალერი ჭანტურია, დავით გვაძაბია, ბესიკ ლაგვილავა, ოთარ ჭითავანა (ყველანი - ფრაქცია "აფხაზეთიდან"), ვაჟა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ ეზუგბაია, დემურ გიორხელიძე, როსტომ დოლიძე და ლევან თედიაშვილი - "ახალი აფხაზეთიდან". ამდენად, ძველებურ, "ორფრაქციულ ფუფუნებაზე" ლაპარაკიც კი ზედმეტია. თუ ერთი "აფხაზური" ფრაქციის შეკონწიწება მაინც მოხერხდება, ესეც დიდი მიღწევა იქნება.

"მარადიული პარლამენტარის" სტატუსს, ამჟამად, აფხაზეთიდან არჩეული 11 დეპუტატი ფლობს (ალექსანდრე ჯიქია შარშან გარდაიცვალა). ესენი არიან: გივი ლომინაძე, გია გვაზავა, გენო კალანდია, ვახტანგ ყოლბაია, დიმიტრი ჯაიანი (ფრაქცია "აფხაზეთი"), ანზორ წოწონავა, მალხაზ ბარამიძე, ჯემალ საჯაია, გერმანე ფაცაცია, არნოლდ ფენდერავა (ფრაქცია "ახალი აფხაზეთი") და გასოციალისტებული ადა მარშანია.

ახალ პარლამენტში ერთი ფრაქციის შიგნით მათი თავმოყრა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება. განსხვავებულ მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ შეხედულებებს, აგრეთვე, დღევანდელ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებას რომ თავი დავანებოთ,

გაგრძელება A3 გვერდზე

"ანთებული სანთლით" საინგილოში

ბელაქნელი ინგილო.

დალი კეკრავას ფოტო

დალი კუპრავა

თუ საქართველოს ტრანსპორტის ან მშენებლობის მინისტრების ფუნქციები არ მოითხოვს საინგილოში ვიზიტებს, განათლების ყოფილი მინისტრები ბოლო თორმეტი წლის მანძილზე იქ ერთხელ მაინც უნდა ჩასულიყვნენ. მაგრამ, ეტყობა, სხვა დრო იყო და უფრო მნიშვნელოვანი საქმეები - საკეთებელი. საქართველოს განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ბაქოში შავი ზღვის აუზის განათლების მინისტრების შეხვედრის შემდეგ აზერბაიჯანის ქართული სკოლები მოინახულა და მასწავლებლებთან ისაუბრა. მასთან ერთად საინგილოში მოგზაურობდნენ საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ გუმბერიძე, საელჩოს თანამშრომლები, აზერბაიჯანის განათლების სამინისტროსა და მხარის მმართველობის წარმომადგენლები.

გაგრძელება B1 გვერდზე

თბილისის პროკურატურა ნარკოტიკების წინააღმდეგ

პირველი სამიზნე დედაქალაქის პოლიციაა

თამარ კაციტაძე

სწორედ იმ დროს, როდესაც შინაგან საქმეთა მინისტრი თითქმის ყოველდღიურად თავს იწონებს მთელ საქართველოში და, კერძოდ, თბილისში ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ გამართული ბრძოლით, დედაქალაქის პროკურორი ვალერი გრიგალაშვილი სპეციალურად ამ თემისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციას შემდეგი სიტყვებით ხსნის: "წლების განმავლობაში არსებულმა განუკითხაობამ განაპირობა ის, რომ თბილისში ნარკომანიისა და ნარკობიზნესის გავრცელებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია," - ამბობს თბილისის პროკურორი და უახლოეს მომავალში ოპერატიული საქმიანობის ანუ პოლიციის ფუნქციის შეთავსებაზე

გაგრძელება A7 გვერდზე

ნავთობბაზარზე ძვლავ აღურიცხავი პროდუქციის წილი ლიდერობს

სოფიკო ოხანაშვილი

მთავრობამ ნავთობპროდუქტებიდან შემოსავლების გაზრდა პრიორიტეტად დაასახელა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ბიუჯეტში ნავთობპროდუქტების შემოსავლების პარამეტრის გაზრდით დაიწყო. ფინანსთა სამინისტროს პროგნოზით, მიმდინარე წელს ნავთობპროდუქტებიდან 161,5 მილიონი ლარის მობილიზება უნდა მოხდეს. ეს შარშანდელ გეგმასთან შედარებით, დაახლოებით, ერთი მესამედით მეტია. ფინანსთა სამინისტროში ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და გაცილებით მეტის მობილიზების იმედი აქვთ. არგუმენტი კი მარტივია - შარშანდელთან შედარებით წელს ქვეყანას კარგი მთავრობა ჰყავს. "24 საათი" დაინტერესდა, რა ხერხებითა და რა ბერკეტებით აპირებს ფინანსთა სამინისტრო დასახელებული პროგნოზის შესრულებას. ამ ეტაპზე მხოლოდ იმის გარკვევა შევძელით, რომ მთავრობა ჯერ გეგმავს და ამ

გაგრძელება A4 გვერდზე

ეკონომიკა

ბიზნესი და ბეგარა

საქართველოს ხელისუფლება საგადასახადო ცვლილებების განხორციელებას უახლოეს ორ თვეში გეგმავს. ამ თემაზე მომუშავე კომისიაში უკვე მოხდა ძირითად პრინციპებზე შეთანხმება, თუმცა მთავრობა აპირებს, საგადასახადო ლიბერალიზაციის პრეზენტაციას დიდი პიარ-აქციის სახე მისცეს .

A4

უცხოეთი

კოალიციის ყველაზე დიდი დანაკლისი - ესპანელები მიდიან

ორშაბათს ერაყის შიიტთა ლიდერმა მოქთად ალ-სადრმა თავის მომხრეებს მოუწოდა, ესპანელებს თავს აღარ დაესხან. შიიტთა ლიდერის ეს განცხადება ესპანეთის ახალი პრემიერ-მინისტრის ერაყიდან ესპანური კონტინგენტის უმოკლეს ვადებში გაყვანის გადაწყვეტილებას მოჰყვა.

A5

საზოგადოება

"გოლდმანის" პრიზის პირველი ქართველი ლაურეატი

გუშინ "გოლდმანის" პრიზის მფლობელი პირველად გახდა ქართველი. მანანა ქოჩლაძე ამ პრემიაზე ორმა საერთაშორისო ორგანიზაციამ - "დედამიწის მეგობრებმა" და "გარემოსდაცვითი სამართლის ცენტრმა" წარადგინა.

A6

სამართალი

მინისტრი პოლიციის მიღწევებს ამზეურებს

არავინ ელოდა, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ოპერაციის შესახებ თავად შინაგან საქმეთა მინისტრისგან მივიღებდით ინფორმაციას.

A7

"ფეროს" გაკოტრება არ ემუქრება!

ავსტრიული "დეკომეტალი" ლიდერ ექსპორტიორს ბოლომდე დაიცავს

ქვეყნის ეკონომიკის ახალ მოდელზე მოწყობისთვის მზადყოფნის დასამტკიცებლად საქართველოს ახალ ხელისუფლებას და ბიზნეს-სექტორს არაერთი სერიოზული ტესტი აქვს ჩასაბარებელი. ამ თვალსაზრისით ინვესტორებთან ურთიერთობა იქნება ის ერთ-ერთი ძირითადი საზომი, რომლითაც საქართველოში ფულისა თუ ტექნოლოგიების დაბანდების მსურველები ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობას დაადგენენ.

გაგრძელება A4 გვერდზე

ამინდი

თბილისი	10
ქუთაისი	19
ბათუმი	19
სოხუმი	19
ფოთი	21
თელავი	8
ზუგდიდი	21
გორი	10
ახმეტა	9
ჭიათურა	14
გაგრა	17
სამტრედია	19

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.9750
ევრო	2.3820
გირვანქა სტერლ.	3.5700
რუბლი	0.0689

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 სამართალი A7 რეკლამა A8 საზოგადოება
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 რეალიები B7 ოფიციოზი B8 სხვადასხვა

ამერიკელი მიტროპოლიტი საქართველოში

ლელეანი ნარიკელაშვილის ფოტო

მიღება საქართველოს პარლამენტში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გუშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და საქართველოში ვიზიტით მყოფი, აშშ-სა და კანადის მიტროპოლიტი ჰერმანე ეწვივნენ. უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა მიტროპოლიტ ჰერმანეს საზეიმოდ გადასცა უნივერსიტეტის საპატიო ჯილდო - ივანე ჯავახიშვილის მედალი. როგორც მიტროპოლიტმა განაცხადა, მისთვის აღნიშნული ჯილდოს მიღება ძალზე საამაყოა.

მიტროპოლიტმა ჰერმანემ კმაყოფილება გამოხატა, რომ ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელ ეკლესიას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. როგორც მან უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შეკრებილ სტუდენტებს განუცხადა, კეთილდღეობისა და წარმატებებისთვის მათ თავის ლოცვებში ყოველთვის მოიხსენიებს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მიტროპოლიტ ჰერმანეს საქართველოში ჩამოსვლას ძალზე მნიშვნელოვანი ვიზიტი უწოდა. **"ამ ურთულეს პერიოდში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება მიტროპოლიტ ჰერმანეს ვიზიტს საქართველოში, რაც ორი ქვეყნის ეკლესიების მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას ემსახურება,"** - ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა. შეხვედრის დასასრულს სტუმრებმა უნივერსიტეტის ეზოში დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში აღავლინეს ლოცვა. შემდეგ კი, მღვდელთმთავრებთან ერთად, შიო მღვიმის, სამთავროს და ჯვრის მონასტრების მოსალოცად გაეგზავნენ.

საღამოს მიტროპოლიტი ჰერმანე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს შეხვდა. ნინო ბურჯანაძემ ხაზი გაუსვა, რომ რთული გადაწყვეტილებების მიღებისას, ყოველთვის ილია მეორის რჩევებს ითვალისწინებს. ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა, რომელიც დღეს კახეთის მონახულებას აპირებს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი შემოდგომაზე აშშ-ში მიიწვია.

რუსთავის საკრებულო სათამაშო ბიზნესისთვის შეღავათებს ითხოვს

რუსთავის საკრებულო რუსთავში სათამაშო ბიზნესისათვის შეღავათების შემოღების თხოვნით მიმართავს პარლამენტს. როგორც "პრაიმ-ნიუსს" ადგილობრივი საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჩიქოვანმა უთხრა, საკრებულოს წინადადებით, რუსთავში მოქმედი სამორინეებისათვის საწყის ეტაპზე ერთ სათამაშო მაგიდაზე მინიმალური გადასახადი - 3 ათასი ლარი უნდა დაწესდეს, ნაცვლად დღეს არსებული 7 ათასი ლარისა. ეს თანხაა დაწესებული რუსთავისა და თბილისის სამორინეებისათვის. მისივე თქმით, საგადასახადო შეღავათები რუსთავში სათამაშო ბიზნესს მიიზიდავს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ბაზას გააფართოებს. მან თქვა, რომ რუსთავის ეკონომიკის წინსვლისთვის გაბედული და არაორდინალური გადაწყვეტილებებია საჭირო. ამჟამად რუსთავში ერთი კაზინო ფუნქციონირებს.

პრაიმ-ნიუსი

პარლამენტი პირველ სხდომაზე აჭარის შესახებ სპეციალურ დადგენილებას მიიღებს

ახალი პარლამენტის პირველი პლენარული სხდომის გამო დიდი სამზადისია. ამის დასტურია აქტიური შეხვედრები და მიმოსვლები კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტთან. ნინო ბურჯანაძე და დანარჩენი პარლამენტარები ჟურნალისტებს ზოგადად განუმარტავენ, რომ **"პირველ სხდომასთან დაკავშირებით ბევრი საკითხი გასარკვევია".**

გუშინ ცხადი გახდა, რომ პირველ სხდომაზე აჭარის შესახებ სერიოზული პოლიტიკური განცხადებები გაკეთდება. ჩამოყალიბდება რეკომენდაციები, რომლებიც საბოლოო ჯამში დადგენილების სახეს მიიღებს. პრობლემის მოსაგვარებლად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შეიქმნება სპეციალური მუშა ჯგუფები. უკვე აქტიური საუბარი მიმდინარეობს აჭარის კონსტიტუციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანაზე. ფრიად საყურადღებოა ისიც, რომ პარლამენტის პირველი სხდომის შესახებ (ყოველ შემთხვევაში, დეპუტატები და მინისტრები ოფიციალურ მიზეზად ამას ასახელებენ) კანცელარიაში აქტიური კონსულტაციები იმართება არა მარტო ქვეყნის პრეზიდენტთან, არამედ უშიშროების საბჭოს მდივანთან ვანო მერაბიშვილთანაც და ამ მოლაპარაკებებში, დეპუტატებთან ერთად, უშიშროების მინისტრი ზურაბ ადეიშვილიც მონაწილეობს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აქტიური კონსულტაციები კანცელარიაში პარლამენტის არა მარტო პირველ, არამედ მომდევნო სხდომებსაც ეხება. წინასწარი ინფორმაციით, ახალმა პარლამენტმა, მთავრობის შემადგენლობის დამტკიცებისას, შესაძლოა, ზოგიერთ მინისტრს აცილება მისცეს. დღესდღეობით კულუარებში ყველანი ხელს ეკონომიკის მინისტრის, ირაკლი რეხვიაშვილისკენ იშვერენ.

კარგა ხანია, რაც საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელად მაია ნადირაძეს მიიჩნევენ. მაჟორიტარ დეპუტატებს ორი ან, უკიდურეს შემთხვევაში, სამი ფრაქცია ეყოლებათ. ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელი, ყველა შემთხვევაში, ბესო ჯუღელი იქნება. რაც შეეხება ნიკო ლეკიშვილს და ვანო ჩხარტიშვილს, მათი ბედი ფრაქციების რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუ ჯუღელის ფრაქციის გარდა, კიდევ ორი ფრაქცია იარსებებს, მაშინ ყველაფერი გარკვეული იქნება. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მაჟორიტარ დეპუტატებს მხოლოდ ორი ფრაქცია ეყოლებათ, გაურკვეველი რჩება, ლეკიშვილს მიენიჭება უპირატესობა თუ ჩხარტიშვილს.

წინასწარი ინფორმაციით, პირველი კანონპროექტი, რომელსაც ახალი პარლამენტი განიხილავს, დეპუტატების იმუნიტეტს შეეხება.

ვერიკო თევზაძე

25-ე სამხედრო ბრიგადის მეთაური პრეზიდენტის ბრძანებისთვის დამორჩილებას არ აპირებს

ბათუმში დისლოცირებული 25-ე სამხედრო ბრიგადის ყოფილი მეთაური, გენერალი რომან დუმბაძე თავს კვლავ ამ ბრიგადის ხელმძღვანელად მიიჩნევს. როგორც დუმბაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ბრძანებას, მის მაგივრად ვიქტორ მიქელაძის დანიშვნის შესახებ, ხელი პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოაწერა, მაგრამ ეს საკადრო ცვლილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურ ასლან აბაშიძესთან შეთანხმებული არ ყოფილა. "ქვეყნის მთავარსარდლად მე ასლან აბაშიძეს მივიჩნევ და მხოლოდ მის ბრძანებებს ვემორჩილები", - განმარტავს დუმბაძე. მისივე განცხადებით, იგი ბრიგადას 1992 წლიდან მეთაურობს და ოფიცერთა უმრავლესობა კვლავ მისი ერთგულია. რაც შეეხება მიქელაძეს, იგი ვითარების გასარკვევად უახლოეს ხანში თბილისში, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან შეხვედრას აპირებს.

მედია-ნიუსი

უსაფრთხოების ახალი გეგმა აფხაზეთში

აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესამუშავებლად, გაერო-ს ინიციატივით, 21-23 აპრილისთვის ჟენევაში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური შეხვედრის წინ სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა რუსეთის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრსა და რუსეთის საგარეო უწყებაში კონსულტაციებს გადის. სოხუმის სახელისუფლებო წრეებთან დაახლოებული წყაროს ინფორმაციით, ჟენევაში დაგეგმილი შეხვედრის წინ შამბა დეტალურად ეცნობა აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესამუშავებლად რუსეთის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის მიერ გაერო-ს დაკვეთით შესრულებულ პროექტს, რომელსაც ქართული და აფხაზური მხარეები ჟენევაში დაგეგმილ შეხვედრაზე განიხილავენ. ამ შეხვედრაზე ასევე იქნება განხილული პროექტი, რომელიც იმავე საკითხზე გაერო-ს დაკვეთით ჟენევის სტრატეგიულ კვლევათა ცენტრმა შეიმუშავა.

იმავე წყაროს ინფორმაციით, შამბას მოსკოვში გამგზავრებას წინ უძღოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩის მიხეილ ბოჩარნიკოვის ვიზიტი სოხუმში, რომლის დროსაც აფხაზურმა მხარემ, გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების პრობლემის კონტექსტში, კატეგორიულად მოითხოვა რაიონში საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით დაბრუნებულ დევნილთა აღწერა. გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების პრობლემატიკის განსახილველად, პრეზიდენტ პუტინისა და ექს-პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ 2003 წლის 7 მარტს სოჭში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, რუსული, ქართული და აფხაზური მხარეების სამუშაო ჯგუფების სამმხრივი შეხვედრა 26-27 აპრილს მოსკოვში გაიმართება.

მედია-ნიუსი

შესაძლოა, რუსებმა არძინბას ქალიშვილს სასამართლოში უჩივლონ

"ნოვაია გაზეტაში" გამოქვეყნებულია სტატია, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთის კურორტებზე ზაფხულობით ჩასულ რუსეთის მოქალაქეებს ხშირად იტაცებენ; მათ კი რუსეთის ფედერაციის ან აფხაზეთის ხელისუფლების არც ერთი სტრუქტურა არ ეძებს. ამის მიზეზი ის არის, რომ აფხაზეთი თვითაღიარებული რესპუბლიკაა და, შესაბამისად, იგი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ არის. აქედან გამომდინარე, გატაცებულთა ოჯახის წევრებს სხვა აღარაფერი დარჩენიათ გარდა იმისა, რომ გამტაცებელთა პირობები შეასრულონ და გამოსასყიდი გადაიხადონ.

სტატიაში ერთ-ერთ ასეთ დაზარალებულად მოხსენიებულია ელენა მიხეილის ასული ვორობიოვა, რომელმაც 15 წლის ვაჟიშვილის გამოსასყიდად 150 ათასი აშშ დოლარი გადაიხადა. ამავე გაზეთის ცნობით, მსგავსი ფაქტები დაადასტურა რუსეთის საგარეო უწყების დსთ-ს ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, საქართველოში რუსეთის ყოფილმა ელჩმა ვლადიმირ გუდევმაც.

"აფხაზეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ არის და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები, ბუნებრივია, არ გვაქვს. ამას ემატება ისიც, რომ აფხაზეთი ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულია და, ფაქტობრივად, ომის კანონებით ცხოვრობს. იქაურ სამართალდამცავ სტრუქტურებს კი ასეთ სიტუაციებში მოქმედების ნაკლები გამოცდილება აქვთ", - აცხადებს გუდევი.

სტატიის ავტორი წერილის ბოლოს კითხვით მიმართავს რუსეთის ფედერაციის იუსტიციის მინისტრ იური ჩაიკას: რატომ დაარეგისტრირა სამინისტრომ მოსკოვში, შკოლნაიას ქუჩის 34-ე სახლში ვალდისლავ არძინბას ქალიშვილის მადინა არძინბას ტურისტული ფირმა "რუსალტური"? იგი ხომ წარმატებით ასაღებს აფხაზეთის, ანუ იმ ტერიტორიის კურორტების საგზურებს, რომელიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ არის.

გამორიცხული არ არის, გატაცებულთა ოჯახის წევრებმა სასამართლოს მიმართონ და ფირმა "რუსალტურისთვის" რეგისტრაციისა და ლიცენზიის გაუქმება მოითხოვონ.

მედია-ნიუსი

თითის ანაბეჭდების ბანკის შექმნაზე მუშაობის მეორე ეტაპი დაიწყო

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის თანამშრომლებმა გუშინ დაიწყეს თითის ანაბეჭდების აღება იმ პირებისაგან, რომელთა მიმართ სასამართლოს არასაპატიმრო სასჯელი აქვს გამოტანილი ან პატიმრობიდან ვადაზე ადრე არიან გათავისუფლებულნი.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის ზურაბ აბაშიძის თქმით, არასაპატიმრო სასჯელის მქონე მსჯავრდებული თბილისში - ორი ათასი, ხოლო მთელ საქართველოში 5 ათასამდეა. თითის ანაბეჭდები მოთავსდება ნაბეჭდების კომპიუტერულ ბანკში, რომლის შექმნა დაიწყო საქართველოში კრიმინალის გამოძიების ასისტირების პროგრამის ფარგლებში, 2002 წლის ზაფხულში, აშშ-სა და საქართველოს მთავრობათა შორის შეთანხმების საფუძველზე.

თითის ანაბეჭდები უკვე აღებულია პენიტენციალურ სისტემაში მყოფ, რამდენიმე ათასი პატიმრისაგან.

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორ ალექსანდრე ბატიაშვილის თქმით, თითის ანაბეჭდების კომპიუტერული დამუშავება მას შემდეგ დაიწყება, რაც ცენტრი 10 ათას ეგზემპლარს შეაგროვებს.

გათვალისწინებულია თითის ანაბეჭდების აღება იმ სამართალდამცველებისგან, რომელთაც შემთხვევის ადგილზე უწევთ ყოფნა, რათა შესაძლებელი იყოს მათი ანაბეჭდის განსხვავება დამნაშავის ანაბეჭდისგან.

მედია-ნიუსი

ყავა და ნამცხვარი - ლეიბორისტული ბალღამის გასანეიტრალებლად

გაბრიელ აბრამოვიჩის ფოტო

ნათელაშვილი საპროტესტო აქციების დაწყებას აპირებს.

თითქმის ყოველდღე, 13 (ციფრი ნუ შეგაკრთობთ!) საათზე, ლეიბორისტული პარტიის ოფისში, პატარა სუფრა იშლება: ყავა, გამაგრილებელი სასმელები, ტკბილეული... იმისთვის, რომ პირი ჩაიტკბარუნოთ, საკმარისია, ჯიბეში ჟურნალისტის მოწმობა გედოთ. სიამოვნების სანაცვლოდ, მხოლოდ ის მოგეთხოვებათ, რომ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ლეიბორისტთა თავკაცის მონოლოგები ისმინოთ. ეს კი არც ისე იოლია - შალვა ნათელაშვილსა და მის თანამოაზრეებს პირიდან მხოლოდ წყევლა-კრულვა და ლანძღვა-გინება ამოსდით. მთელ ამ ისტორიაში უცნაური მხოლოდ ის არის, რომ ლეიბორისტული ბალღამის განეიტრალებაზე თავად ლეიბორისტები ზრუნავენ და ჟურნალისტებს ტკბილეულით უმასპინძლდებიან.

"ხელისუფლებამ ყველგან უზნეოდ, ზნედაცემულად გააყალბა არჩევნების შედეგები და თითოეულ ამომრჩეველს სულში ჩააფურთხა. გაზაფხულზე ჩატარებულმა არჩევნებმა ხალხს გაზაფხული ვერ მოუყვანა და მიხეილ მილოშევიჩმა თავს ერთპარტიული პარლამენტი მოგვახვია," - ტრადიციულად მოთქვამდა გუშინ შალვა ნათელაშვილი. იგი ხატოვნად აღწერდა, თუ როგორ ტენიდნენ 28 მარტს მავანნი ფეხით ბიულეტენებს საარჩევნო ურნებში, როგორ ებრძოდა ლეიბორისტებს საარჩევნო ადმინისტრაციების უკლებლივ ყველა წევრი, მთელი სახელისუფლებო ვერტიკალი...

შალვა ნათელაშვილს შევარდნაძის ეპოქაც კი სანატრელი გაუხდა, რადგან, მისივე თქმით, **"თუ არჩევნების შედეგები წინათ კატასტროფულად ვერ ყალბდებოდა** (არადა, ლეიბორისტების ლიდერი დღემდე საწინააღმდეგოს ამტკიცებდა!), **28 მარტს სააკაშვილმა 70 პროცენტამდე "გარეკა".**

იმის დასამტკიცებლად, რომ ლეიბორისტები დაჩაგრეს და უკვე მესამედ შეგნებულად დატოვეს პარლამენტს მიღმა, ნათელაშვილი ბიულეტენების ხელახლა გადათვლას ითხოვს. ამასთან, იგი აპირებს, ცესკო-ს შემაჯამებელი ოქმი უზენაეს სასამართლოში, საკონსტიტუციო სასამართლოში და ევროსასამართლოში გაასაჩივროს.

ოპონენტების წყევლა-კრულვასა და ლანძღვა-გინებასთან ერთად, შალვა ნათელაშვილის პოლიტიკურ არსენალში შედის, აგრეთვე, მოწინააღმდეგეთათვის მუქარის შეთვლა. გამონაკლისი არც გუშინდელი პრესკონფერენცია ყოფილა: ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე ირწმუნება, რომ მხოლოდ სამართლებრივი გზებით ბრძოლას ამიერიდან აღარ აპირებს.

"დღეიდან ვიწყებთ მასობრივ საპროტესტო აქციებს მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას გადასაყენებლად. მოვუწოდებ ხალხს, თავისი ღირსების დასაცავად ქუჩაში გამოვიდეს," - მოულოდნელად, რევოლუციურ ტალღაზე მოიმართა შევარდნაძის ხელისუფლების დროს სტაბილურობის თავგამოდებული ქომაგი.

ისე, ამ წამოწყებაში შალვა ნათელაშვილი მთლად ორიგინალური ნამდვილად არ არის - იგი დღევანდელი მმართველი ძალის მიერ აპრობირებული სქემით აპირებს მოქმედებას.

"პირველ აქციას გაყალბებით არჩეული პარლამენტის გახსნის დღეს გავმართავთ. ჩვენი პროტესტი მანამდე გაგრძელდება, სანამ ჟვანია და სააკაშვილი არ გადადგებიან," - აცხადებს შალვა ნათელაშვილი, ოღონდ, იმას აღარ აკონკრეტებს, საკანონმდებლო ორგანოს სხდომათა დარბაზში თავისი პარტიის ემბლემაზე გამოხატულ მერანს შეაჭენებს თუ ყავა-ნამცხვრითა და "კოკა-კოლას" ბოთლებით შეიჭრება.

გიორგი ასანიშვილი

ასლან აბაშიძის მომხრეებმა იარაღი ჩააბარეს

ასლან აბაშიძის 37-მა მხარდამჭერმა ხულოს რაიონის პოლიციას ცეცხლსასროლი ავტომატური იარაღი ყოველგვარი საფასურის გარეშე ჩააბარა. ხულოს რაიონში გაერთიანებული ოპოზიციური მოძრაობის "ჩვენი აჭარის" ხელმძღვანელის ვახტანგ აბულაძის ინფორმაციით, რაიონის მოსახლეობის ნაწილი გაგებით მოეკიდა პრეზიდენტ სააკაშვილის მოწოდებას 1990-იან წლებში აჭარის ხელისუფლების მიერ რეგიონის მკვიდრთათვის დარიგებული ავტომატური იარაღის ჩაბარების შესახებ.

მისივე თქმით, "ასლან აბაშიძის მომხრეებთან ოპოზიციის აქტიურმა მოქმედებამ პირველი შედეგები გამოიღო" და ასლან აბაშიძის შეგნებულმა მომხრეებმა ყოველგვარი საფასურის გარეშე, ნებაყოფილობით ჩააბარეს ავტომატური იარაღი პოლიციის რაიონულ განყოფილებას.

ვახტანგ აბულაძის მონაცემებით, რაიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მზადაა, ნებაყოფილობით აღასრულოს საქართველოს პრეზიდენტის მოწოდება, მაგრამ "აღორძინების" რაიონული ორგანიზაციის ლიდერები მოსახლეობაში საპირისპირო აგიტაციას ეწევიან.

ორი სიტყვით

თბილისი. პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება "მრგვალი მაგიდის" ლიდერმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ საქართველოს გენერალური პროკურატურის შენობასთან საპროტესტო აქცია გამართა. აქციაში მონაწილეობდნენ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წარმომადგენლები, უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მათი მხარდამჭერები. აქციის მონაწილეთა მოთხოვნაა, გენერალურმა პროკურატურამ სასწრაფოდ დაკითხოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც, როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, მართლმსაჯულებას გაურბის. მანანა არჩვაძე-გამსახურდია კატეგორიულად მოითხოვს, ედუარდ შევარდნაძემ პასუხი აგოს 1991-1993 წლებში საქართველოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო. ამ თემაზე საგანგებო ბრიფინგის გამართვას მანანა არჩვაძე-გამსახურდია ხვალ სახალხო დამცველის ოფისში აპირებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. 2004 წლის მოწვევის პარლამენტმა პირველსავე სხდომაზე, შესაძლოა, "პარლამენტის ახალი რეგლამენტი" დაარღვიოს. ახალი რეგლამენტის მიხედვით, პარლამენტში ოპოზიციის და "პოზიციის" ტრიბუნა აღარ უნდა არსებობდეს და დეპუტატებს სიტყვით გამოსვლა მხოლოდ ერთი ტრიბუნიდან მოუწევთ, თუმცა, ჯერჯერობით, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ერთ-ერთი ტრიბუნის დემონტაჟი არ მიმდინარეობს. ამავე დროს, პარლამენტის სხდომათა დარბაზს უკვე ამზადებენ 2004 წლის მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომისთვის, რომელიც 22 აპრილს გაიმართება. მთავრობის მიერ პარლამენტისათვის გამოყოფილი თანხით, რევოლუციის შედეგად დაზიანებული, დარბაზში მდგარი რვავე მიკროფონი შევა ექსპლუატაციაში. სულ, დარბაზში 16 მიკროფონი იმუშავებს - პარლამენტის თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, პრეზიდენტის, მთავრობის და ტრიბუნის. სრულყოფილი რადიოფიცირებისთვის საჭირო აპარატურას კი პარლამენტი მოგვიანებით შეიძენს. **მედია-ნიუსი**

ოფიციოზი

საქართველოს მთავრობის განკარგულება №14

2004 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი

"საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2004 წლის 14 აპრილის სხდომაზე განხილული "ქვეყნის პურპროდუქტებით უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების პროექტი.
2. განკარგულების პროექტი ხელმოსაწერად წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს მთავრობის განკარგულება №15

2004 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი

"საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტის განხილვის თაობაზე.

1. მოწონებულ იქნეს "საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი.
2. ბრძანებულების პროექტი ხელმოსაწერად წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტს.
3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს მთავრობის დადგენილება №26

2004 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი

პენსიონერთა მიმართ ბოლო წლებში დაგროვებულ საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივი დაფარვისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 2004 წელს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯები დაიგეგმა 401,7 მილიონი ლარით. აქედან 36,5 მილიონი ლარი გათვალისწინებულია საპენსიო დავალიანებათა დასაფარავად.

პენსიონერთა მიმართ ბოლო წლებში დაგროვებულ საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივი დაფარვისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა განსახორციელებლად საქართველოს მთავრობა ადგენს:

1. საპენსიო დავალიანებათა ეტაპობრივად დაფარვის მიზნით 2004 წლის აპრილიდან არამომუშავე 14 ლარის მიმღებ პენსიონერებს დაუწესდეთ დანამატი 3 ლარის, ხოლო 2004 წლის მაისიდან - 4 ლარის ოდენობით.
2. მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებით ღონისძიებათა განსახორციელებლად დანამატი დაუწესდეთ ასევე იმ არამომუშავე 14 ლარის მიმღებ პენსიონერებს, რომელთა მიმართაც არ არსებობს საპენსიო დავალიანება. 2004 წლის აპრილიდან დანამატი განისაზღვროს 3 ლარის, ხოლო 2004 წლის მაისიდან - 4 ლარის ოდენობით.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (გ. წერეთელი) და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა (ლ. ჭიპაშვილი) განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები ამ დადგენილების შესასრულებლად.
4. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს მთავრობის დადგენილება №25

2004 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოსა და უკრაინას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ.

1. შეიქმნას საქართველოსა და უკრაინას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ ჟვანია - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, კომისიის თავმჯდომარე

ჯამბულ ბაკურაძე - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის საკითხებში

ნიკა გილაური - საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

ირაკლი რეხვიაშვილი - საქართველოს ეკონომიკის მინისტრი

თამარ სულუხია - საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრი

დავით შერვაშიძე - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №307

2004 წლის 16 აპრილი ქ. თბილისი

თ. მაჭავარიანის საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მოქალაქეთა მიღებისა და წერილებზე მუშაობის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს თამილა მაჭავარიანი საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მოქალაქეთა მიღებისა და წერილებზე მუშაობის სამსახურის უფროსის თანამდებობიდან მიმდინარე წლის 19 აპრილიდან საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №308

2204 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი

ი. ზოდელავას ქალაქ თბილისის მერის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ.

გათავისუფლდეს ივანე ზოდელავა ქალაქ თბილისის მერის თანამდებობიდან საკუთარი ინიციატივით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 95-ე მუხლის საფუძველზე.

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს მთავრობის დადგენილება №27

2004 წლის 19 აპრილი ქ. თბილისი

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს თანდართული დებულება.
2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზურაბ ჟვანია

(დებულება იხილეთ B7 გვერდზე)

განცხადება

ქალაქ თბილისის მერია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

19 აპრილი

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მერია და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო აცხადებენ კონკურსს თბილისში ეროვნული ერთიანობის აღმნიშვნელი მონუმენტის დადგმასთან დაკავშირებით.

კონკურსის მიზანია ეროვნული თანხმობის იდეის მატარებელი მონუმენტის საუკეთესო პროექტის გამოვლენა.

მემორიალი დაიდგმება რუსთაველის გამზირზე - პარლამენტის შენობის მთავარი ფასადის მიმდებარე ტერიტორიაზე.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს.

საკონკურსო ნამუშევრების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 20 მაისი, 18.00 სთ.

ნამუშევარი საჯარო განხილვისათვის გამოიფინება 22-26 მაისს.

26 მაისს გამოცხადდება კონკურსის შედეგები.

კონკურსთან დაკავშირებული ყველა დამატებითი ცნობის მიღება შესაძლებელია მისამართზე:

დავით აღმაშენებლის გამზ., № 89/24. ტელ.: 94 06 81

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარაძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ზურაბ ჭიაბერაშვილი თბილისის მერია

პირველი გვერდიდან

ამის მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილი მორიგ არაორდინარულ გადაწყვეტილებას იღებს და ზურაბ ჭიაბერაშვილს დედაქალაქის თავკაცის სავარძელს სთავაზობს. იმის მიუხედავად, რომ "24 საათთან" საუბარში ცესკო-ს ყოფილმა თავმჯდომარემ პირდაპირ განაცხადა, რომ მას "ურთულესი გამოცდა ელის წინ", იგი პრეზიდენტის შემოთავაზებას მაინც დათანხმდა.

თავად საქართველოს პრეზიდენტმა ზურაბ ჭიაბერაშვილს "ფორა" ექვსი თვე მისცა. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კი ზურაბ ჭიაბერაშვილმა მიხეილ სააკაშვილს კორუფციასთან მებრძოლი ქალაქი, ძირფესვიანად აღკვეთილი უკანონო მშენებლობები და ახლადდაგებული საავტომობილო გზები უნდა ჩააბაროს. ამასთან ერთად, მიხეილ სააკაშვილის თქმით, ზურაბ ჭიაბერაშვილმა უნდა იზრუნოს სოციალური პრობლემების მოგვარებისთვის და შემოიყვანოს ახალი ავტობუსები, რომლებიც სამარშრუტო ტაქსებზე გაცილებით იაფი იქნება. მოკლედ, მიხეილ სააკაშვილმა რამდენჯერმე გაუმეორა ცესკო-ს ყოფილ თავმჯდომარეს, რომ **"ექვსი თვის თავზე დედაქალაქს ახალი მერის მუშაობის შედეგი უნდა დაეტყოს."**

ამასობაში, უთავკაცოდ დარჩენილმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად ცესკო-ს მდივანი, "ნაციონალი" დიმიტრი ქიტოშვილი აირჩია. საგულისხმოა, რომ ცესკო-ს სხდომა საკმაოდ მოულოდნელად დაინიშნა. ცესკო-ს წევრთა უმრავლესობისთვის ისიც კი არ იყო ცნობილი, რომ დილის თერთმეტი საათისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის კანცელარიაში ზურაბ ჭიაბერაშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება შეიტანა.

დღის ორი საათისთვის დაგეგმილ სხდომაზე თავად ჭიაბერაშვილი არ გამოცხადებულა. შესაბამისად, კომისიის წევრებმა ვერ მოისმინეს, თუ რა არგუმენტებით ამაგრებდა ზურაბ ჭიაბერაშვილი საკუთარ თხოვნას.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ზურაბ ჭიაბერაშვილს ახალი თანამდებობა ბევრ ახალ საფიქრალს გაუჩენს.

თუმცა, სულ მალე ეს არგუმენტები ყველასათვის ცნობილი გახდა, რადგან, დაახლოებით, ერთ საათში ყველა საინფორმაციო საშუალებამ ახალი და მოულოდნელი ინფორმაცია ელვის სისწრაფით აიტაცა.

მას მერე, რაც დიმიტრი ქიტოშვილმა ზურაბ ჭიაბერაშვილის სავარძელში გადაინაცვლა, მისი ადგილი "ნაციონალმა" ზურაბ ნონიკაშვილმა დაიკავა. ასე რომ, ცესკო თავმჯდომარის გარეშე სულ რამდენიმე საათით დარჩა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს უფლებამოსილება მას შემდეგ შეუწყდება, რაც ცესკო-ს ახალ თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტი დანიშნავს.

თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ კი, თბილისის ყოფილი მერი ვანო ზოდელავა აცხადებს, რომ პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს. მისი თქმით, იგი კვლავ გააგრძელებს პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან მუშაობას, პირველი ეტაპისთვის კი, შესაძლოა, დედაქალაქის რომელიმე რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი გახდეს. სავარაუდოდ, ეს იქნება ან კრწანისის, ან დიდუბის რაიონები, სადაც განმეორებითი მაჟორიტარული არჩევნები უნდა გაიმართოს.

"ვარდების რევოლუციის შემდეგ მე ერთ-ერთმა პირველმა დავწერე გადადგომის შესახებ განცხადება. მას შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და, როგორც ჩანს, პრეზიდენტმა ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო," - ამბობს ზოდელავა, რომელიც კვლავ იმეორებს, რომ დედაქალაქის მერობა არჩევითი თანამდებობა უნდა იყოს და იმედოვნებს, რომ დაკარგულ სავარძელს კვლავ დაიბრუნებს...

ოღონდ - მერის არჩევნების შემდგომ.

ქუთაისის მერი არ მიდის, მაგრამ წასულია

ქუთაისის მერს ნუგზარ ფალიანს ოპოზიციამ, მერიის წინ დანაპირები მიტინგი მოუწყო. მიტინგზე, დაახლოებით, 700-მდე ადამიანმა მოიყარა თავი. ისინი მერისგან დაუყოვნებლივ გადადგომას მოითხოვდნენ.

ბექა სისაური
ქუთაისიდან

"ბიძიკო, რას გეტყვი იცი? მაგალითად, მე ფალიანის ვერც ქუთაისში ყოფნას ვრგძნობდი და ვერც მის გადახვწას, მაგრამ მიტინგზე იმიტომ მოვედი, რომ ასეთი ვითარების შეცვლა მსურს. რევოლუცია მთელ საქართვლოში მოხდა და წინა ხელისუფლების უმაქნისი მერი რატომ მაინც-დამაინც ქუთაისში უნდა ვიგუოთ?" - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ბორის ხაჭაპურიძემ.

მომიტინგეებს სულ სამი მოთხოვნა ჰქონდათ: გადადგეს ქუთაისის მერი, აღიძრას სისხლის სამართლის საქმეები იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაც ფალიანმა მერობის პერიოდში ჩაიდინა, უახლოეს ხანში ჩატარდეს მერისა და საკრებულოს ვადამდელი არჩევნები. **"ფალიანმა არ გაითვალისწინა არც ერთი ჩვენი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ჩვენ გვექნებოდა 24 საათიანი შუქი, ნორმალური გზები, უფასო სასწრაფო დახმარება და კარგი ინფრასტრუქტურა. ამის ნაცვლად მან წლების განმავლობაში გაფლანგა, გაანიავა, შეჭამა მოსახლეობის ფინანსები. ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, ქალაქმა თავისი სიტყვა უთხრას დამაქცევარ მერს. ამისათვის კი ყველამ ერთად უნდა დავუძახოთ - "ნუგზარ, წადი!"** - განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" რეგიონული ორგანიზაციის ლიდერმა კახა გვანცელაძემ

მერიის წინ გამრთულ მიტინგს სტუდენტებიც შემოუერთდნენ და ფალიანის გადადგომა მათაც მოითხოვეს. **"სახელმწიფო უნივერსიტეტი თქვენ გვერდით დგას, ქუთაისის მერი უნდა გადადგეს. ჩვენთვის სულერთია, ვინ იქნება მის ნაცვლად, რადგანაც მასზე გაცილებით მეტ საქმეს ნებისმიერი კანდიდატი გააკეთებს,"** -განაცხადა მიტინგზე გამოსვლისას ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა. მიტინგის მსვლელობისას მიმდინარეობდა სახელდახელო გამოკითხვა ერთადერთი კითხვით - "ეთანხმებით თუ არა ფალიანის გადადგომას". ამავე დროს ცალკე მიმდინარეობდა ქუთაისის მერის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება. ფალიანის მიმართ კვლავ კატეგორიულ ტონს ინარჩუნებდნენ "წინააღმდეგობის მოძრაობის" ლიდერები. **"ჩვენ ერთად უნდა ვუთხრათ ნუგზარ ფალიანს - წადი, მან ჩვენი ნდობა ვერც ერთი პროცენტით ვერ გაამართლა. მიხარია, რომ ქუთაისმა გაიღვიძა და ხალხი თავისი ღირსების დასაცავად გამოვიდა. ჩვენ გვინდა ისეთი მერი, რომელსაც ქუთაისიდან გაქცევა არ დასჭირდება,"** - განაცხადა "დემოკრატიის ხელშეწყობის ცენტრის" დირექტორმა გიგა შუშანიამ.

საპროტესტო აქცია ქუთაისში.

საღამო ხანს კი მიტინგის ორგანიზატორებიდან ოთხმა პირმა ქუთაისის მერის მისაღებში შიმშილობა დაიწყო.

რწმუნებული დათო მუმლაძე კი, ჯერჯერობით, არაეფექტურად ცდილობს ქალაქში არსებული სახელისუფლებო კრიზისის მოგვარებას. გუშინ იგი მოშიმშილეებს შეხვდა და შიმშილობის შეწყვეტა სთხოვა. "წინააღმდეგობის მოძრაობის" ლიდერების განმარტებით, მუმლაძე ფალიანს ტელეფონით დაუკავშირდა, მას ქალაქში ჩამოსვლა და ვითარების განსამუხტად კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მოსთხოვა.

"ქუთაისს სჭირდება საქმიანი მთავრობა და საკრებულო, ამისათვის ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. ძალიან მალე უნდა შეიკრიბოს საკრებულო, აირჩიონ თავმჯდომარე. ფალიანმა კი, ან უნდა შეცვალოს მართვის სტილი, ანდა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება. მის მიერ მუშაობის ასე გაგრძელება, მართლაც, არ შეიძლება," - განაცხადა მუმლაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

ბრძოლა აფხაზური დეპუტაციის ნანგრევებზე

პირველი გვერდიდან

ზემოთ დასახელებული 11 დეპუტატი ერთმანეთს საკადრო საკითხშიც დაუპირისპირდება - აფხაზეთის ავტონომიისთვის განკუთვნილი ვიცე-სპიკერის კვოტაზე საერთო კანდიდატურა არ არსებობს.

დღეისთვის ეს თანამდებობა, როგორც ცნობილია, ვახტანგ ყოლბაიას უკავია. ამ პოსტის ხელში ჩასაგდებად იბრძვის ანზორ წოწონავაც, რომელიც ხმამაღლა აცხადებს, რომ სპიკერატში ადგილის შენარჩუნებას ყოლბაია "დეპუტატების დაშინებით ცდილობს". თუმცა, როგორც ჩანს, ანზორ წოწონავა ხვდება, რომ მისი პოზიციები შედარებით სუსტია და ყოლბაიასთან "დუელის" გადავადება უნდა.

"მიზანშეუწონელია პარლამენტის ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე აფხაზეთის დეპუტაციის წარმომადგენლის დანიშვნა მაშინ, როდესაც აჭარის კრიზისი მოსაგვარებელია. საქართველოში ორი ავტონომიაა და, შესაბამისად, პარლამენტის სპიკერატში, აფხაზეთის წარმომადგენელთან ერთად, აჭარის წარმომადგენელიც უნდა იყოს," - აცხადებს მასმედიასთან საუბარში ანზორ წოწონავა.

თუმცა, საეჭვოა, ხელისუფლებამ ეს "არგუმენტები" გაითვალისწინოს და საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობის დაკომპლექტება აჭარის პრობლემის დარეგულირებამდე გადადოს.

ყოლბაიასა და წოწონავას ორთაბრძოლის ბედს, ალბათ, ის გადაწყვეტს, რომელი მათგანი უკეთ იმუშავებს კულუარებში და მოახერხებს ხელისუფლების გულის მოგებას. ანგარიშგასაწევი იქნება ისიც, ვის მხარეზე დადგებიან აფხაზეთის არასამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებიც მთლიანად იზიარებენ დღევანდელი ცენტრალური ხელისუფლების კურსს. ალბათ, არც ის უნდა გამოირიცხოს, რომ შესაბამისი პოლიტიკური დაკვეთის მიღების შემთხვევაში, მათ ძველი მოთხოვნა გაიხსენონ და აფხაზეთის დეპუტაციისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა მოითხოვონ. ამ თვალსაზრისით, სიმპტომატურია, რომ არასამთავრობო და პოლიტიკური ორგანიზაციების გაერთიანებულმა საბჭომ "ნომერ მეორე" ულტიმატუმი უკვე გაიხსენა და "აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აუცილებლობაზე" კვლავ ალაპარაკდა.

ამრიგად, გამორიცხული სულაც არ არის, რომ მოვლენების შესაბამისად განვითარების შემთხვევაში, ყოლბაიასაც და წოწონავასაც ვიცე-სპიკერობაზე ოცნება საერთოდ უკან დარჩეთ.

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

"საქართველოს ბანკის" აქციონერთა საერთო კრებამ 2003 წლის შედეგები შეაჯამა

გაიმართა "საქართველოს ბანკის" აქციონერთა საერთო კრება, რომელმაც 2003 წელს ბანკის საქმიანობის შედეგები შეაფასა. აღინიშნა, რომ გასული წლის შედეგების მიხედვით "საქართველოს ბანკმა" შეინარჩუნა და გაიუმჯობესა ბაზარზე ერთ-ერთი ლიდერის პოზიციები, რაც სწორად დასახული სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელებამ უზრუნველყო.

ბანკის ყველა ფინანსურ მაჩვენებელში ზრდის ტენდენციაა. 2003 წელს "საქართველოს ბანკის" მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილმა თანხამ 7.846.649 ლარი შეადგინა, რაც კომერციული ბანკების მიერ ბიუჯეტში შეტანილ თანხებთან მიმართებაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია; ამას გარდა, მიმდინარე წლის I კვარტალში უკვე 2 მილიონი ლარია შეტანილი ბიუჯეტში და სავარაუდოდ, წლის ბოლოსათვის "საქართველოს ბანკის" მიერ საქართველოს ბიუჯეტში შეტანილი თანხა 10 მილიონ ლარს გადააჭარბებს.

"საქართველოს ბანკის" ფინანსური მაჩვენებლების საერთაშორისო სტანდარტებით აუდიტირება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, გაფორმდა ხელშეკრულება აუდიტორულ კომპანია "Ernst&Young Audit LLC"-თან რამაც აამაღლა "საქართველოს ბანკის" საერთაშორისო აუდიტირების სტანდარტი. საქართველოს ეროვნული ბანკის გეგმიურმა შემოწმებამაც აგრეთვე დაადასტურა ბანკის უმაღლესი კატეგორია.

რაც მთავარია, "საქართველოს ბანკმა" გასულ წელს მიიღო წმინდა მოგება 9,2% მილიონი ლარი, რაც წინა წლებთან შედარებით 29%-ით მეტია. წმინდა მოგების 27,3%, ანუ 2 მილიონ 500 ათასი ლარი განაწილდება აქციონერებზე, რაც თითო აქციაზე 25% შეადგენს და რეკორდულია ქართული ბანკების ისტორიაში. მოგების 72,7%, რაც 6 მილიონ 654 ათას ლარს შეადგენს, მიმართულია ბანკის კაპიტალის ზრდისათვის.

ბანკის უმთავრესი აქციონერები არიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გერმანიის საინვესტიციო კომპანია და 1700 სხვა ქართველი აქციონერი, რომელთაგან ბევრი თვით "საქართველოს ბანკის" თანამშრომლები არიან და რომლებიც ამ შედეგებს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

აქციონერთა საერთო კრებაზე გამოსვლისას "საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ/პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ აღებულმა კურსმა სასიკეთოდ უნდა იმოქმედოს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაზე, აღურიცხავი ბრუნვის მასშტაბების შემცირებასა და ფულადი ნაკადების სულ უფრო მზარდი ნაწილის საბანკო არხებში მოქცევაზე.

კირსან ილუმჟინოვი მზად არის, თბილისში ჩამოვიდეს

ვერიკო თევზაძე

შესაძლოა, ფიდე-ს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი თბილისში ჩამოვიდეს და მაისში ჩასატარებელ საჭადრაკო მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებები აწარმოოს. ეს ინფორმაცია ცნობილი გახდა გუშინ ღამით, როცა ქართველ მოჭადრაკეებსა და ზურაბ ჟვანიას შორის დახურული შეხვედრა დასრულდა. ჯერჯერობით, კვლავ გაურკვეველია, სად ჩატარდება ჩემპიონატი - თბილისში თუ ბათუმში. არც შეჯიბრების ჩაშლის ალბათობაა გამორიცხული.

არ გადაისინჯება და კვლავ ძალაში რჩება ქვეყნის ძალოვანი უწყებების და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ფიდე-სთვის გაგზავნილი ოფიციალური წერილები იმის შესახებ, რომ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება ვერ გასცემს უსაფრთხოების გარანტიებს იმ შემთხვევაში, თუ ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი ბათუმში ჩატარდება.

რაც მთავარია, ჟვანიამ ორი დღე ითხოვა იმისთვის, რომ **"ჩემპიონატის თბილისში ჩასატარებლად სხვა საშუალებები მოიძიოს"**. კერძოდ, საუბარი ეხება ახალი ორგანიზატორის, ანუ თანხების მოძიებას საჭადრაკო ფორუმის ფინანსურად უზრუნველსაყოფად.

ზურაბ აზმაიფარაშვილის განმარტებით, იგი წუხელ ესაუბრა ილუმჟინოვს: **"ბატონი კირსანი მზადაა, საქართველოს მთავრობას მოუსმინოს. იმაზეც თანახმაა, რომ ჩემპიონატი თბილისში ჩატარდეს, ოღონდ, ყველაფერ ამას უნდა ერთვოდეს ასლან აბაშიძის კეთილი ნება. თუ აბაშიძე ჩემპიონატის თბილისში ჩატარების წინააღმდეგ გამოვა, ფიდე უძლური იქნება, ვინაიდან კირსან ილუმჟინოვისა და ასლან აბაშიძის ხელმოწერით გაფორმებულია ოფიციალური დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ჩემპიონატი ბათუმში ტარდება."**

კულუარებში გავრცელებული ხმების მიხედვით, ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილს ჩემპიონატთან დაკავშირებით ორმაგი დატვირთვა ენიჭება. ჯერ ერთი, მან უნდა დააფინანსოს შეჯიბრება (რომელიც შეიძლება თბილისში ჩატარდეს). მეორე, პატარკაციშვილმა შუამავლის როლი უნდა ითამაშოს თბილისსა და ბათუმს შორის, რათა აბაშიძე ფიდე-ს ჩემპიონატის თბილისში ჩატარებას დათანხმდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბადრი პატარკაციშვილი ასეთ არაოფიციალურ ინფორმაციას უარყოფს, რეალობა ეჭვების გაფანტვის საფუძველს მაინც ვერ იძლევა. პატარკაციშვილი გუშინ ჟვანიას დახურულ კარს მიღმა ესაუბრა. შეხვედრის წინ მან განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, 20 აპრილს, პრემიერ-მინისტრთან ერთად ბათუმში გაემგზავროს. რამდენიმე საათით უფრო ადრე კი ყველა საუბრობდა პატარკაციშვილის 20 აპრილის ბათუმურ ვიზიტზე. შეხვედრის დასრულების შემდეგ პატარკაციშვილმა პრესას აუწყა, რომ 20 აპრილს იგი ბათუმში აღარ მიემგზავრება. ფაქტია, რომ საქმეები ჯერ კიდევ საკმაოდ აწეწილ-დაწეწილია. ბატონი ბადრი ოდნავ უხასიათოდაც გამოიყურებოდა. შესაძლოა იმიტომაც, რომ კანცელარიის ლიფტიდან გამოსვლისას, ჟურნალისტებმა და ოპერატორებმა იგი ლამის წააქციეს...

საქართველოს ხელისუფლების მიერ ფიდე-სთვის გაგზავნილ ოფიციალურ წერილებს რეკომენდაციის სახე აქვს. აქედან გამომდინარე, თუ მოჭადრაკეების თანხმობა იქნება, ფიდე-ს თავისუფლად შეუძლია, რომ ჩემპიონატი ბათუმში ჩაატაროს. თუ მსოფლიო საჭადრაკო ფორუმი საერთოდ ჩაიშალა, საქართველოს მთავრობას ჯარიმის სახით 300 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

ნავთობბაზარზე კვლავ აღურიცხავი პროდუქციის წილი ლიდერობს

პირველი გვერდიდან

გეგმის მისაღწევ მეთოდებს მერე

შეიმუშავებს.

მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმა ნავთობპროდუქტების შემოსავლების ნაწილში გარღვევით დასრულდა, რის გამოც ეკონომიკურმა გუნდმა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პრემიერ-მინისტრის საკმაოდ სერიოზული საყვედურიც დაიმსახურა. ზურაბ ჟვანიას უკმაყოფილების მიზეზი უფრო სერიოზულია - ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით არსებული კონტრაბანდული საქონელი. ექსპერთა შეფასებით, "კონტრაბანდა კატასტროფულ მასშტაბებს აღწევს".

ექსპერტთა გაანგარიშებით, ბოლო დროს ქვეყანაში მოხმარებული საავტომობილო ბენზინის - 44 პროცენტი, დიზელის საწვავის - 23 პროცენტი და ნავთის 11 პროცენტი განბაჟდა. გამოკვლევების შედეგად ისიც დადგინდა, რომ თუ ნავთობსექტორიდან გადასახადები წარმატებულად იქნა ამოღებული, საგადასახადო შემოსავლები 30 პროცენტით გაიზრდება. შეგახსენებთ, რომ შარშან ნავთობპროდუქტების შემოსავლების ნაწილში მთავრობამ მხოლოდ 108 მილიონი ლარის მობლიზება მოახერხა.

გაუკონტროლებელი საზღვრები, არალიცენზირებული ნავთობსახდელები, სუროგატები, საეჭვო შენარევებით დამზადებული ნავთობპროდუქტები, ტრანზიტად გაფორმებული ტვირთების რეალიზება ქვეყნის ტერიტორიაზე, მეზობელ ქვეყნებთან შედარებით "აუტანელი საგადასახდო განაკვეთები" - ეს ყველასთვის კარგად ნაცნობი კონტრაბანდის ხელშემწყოფი ფაქტორები ჯერ კიდევ სერიოზული პრობლემებია.

ექსპერტების განცხადებით, ახლა მიმდინარეობს მუშაობა იმის დასადგენად, თუ რომელი კომპონენტი სჭარბობს კონტრაბანდაში, თუმცა, გია ხუხაშვილის ვარაუდით, აღურიცხავი პროდუქციის დიდი წილი სწორედ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნაერთებზე მოდის და არა გაუკონტროლებელი საზღვრებიდან შემოსულ კონტრაბანდაზე. **"ფაქტია, რომ მინიმუმ 12-15 ათასი ტონა საეჭვო წარმოშობისაა. ჩემი გათვლებით, სწორედ საეჭვო მინარევების კომპონენტი სჭარბობს. სუროგატების დამზადების მაჩვენებელმა კატასტროფულად აიწია",** - აცხადებს ხუხაშვილი. ამ პრობლემის მოგვარებას ფინანსთა სამინისტრო ლიცენზირებისა და კონტროლის მექანიზმების გამკაცრებით აპირებს.

სტატისტიკური მონაცემებით, ბენზინის ყოველთვიური საშუალო მოხმარება 35 ათას ტონას შეადგენს. ოფიციალურად კი 18 ათასი ტონა ფიქსირდება.

ნანა ბასელიძე, ფოტოტიპი

აღურიცხავი პროდუქციის წილი ბაზარზე კვლავ დიდია. ფინანსთა სამინისტროში კი ირწმუნებიან, რომ 161,5-მილიონიანი პროგნოზი, რომელიც მოხმარების საშუალო მაჩვენებლებზე დაყრდნობითაა გათვლილი, რეალურად შესრულებადია. ამის ორ ძირითადად მიზეზად დიდ პოტენციალსა და პოლიტიკური ნების არსებობას ასახელებენ. ფინანსთა სამინისტროში იმასაც ამტკიცებენ, რომ ამ ეტაპისთვის საკმაოდ ბევრი რამაა გაკეთებული ნავთობპროდუქტების ბიზნესის გასათეთრებლად. ფინანსთა სამინისტროში ამ პრობლემის მოგვარების სისტემურ მიდგომაზე საუბრობენ: უკვე შექმნილია ფინანსური პოლიცია, აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიურო, საბაჟო-საგადასახადო დეპარტამენტებში იზრდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

"მთავარი ბერკეტი ადმინისტრირების გაუმჯობესება და პერმანენტული კონტროლია", - ასეთია ფინანსთა სამინისტროს მიდგომა. მათივე მტკიცებით, პასუხისმგებლობები და კონტროლის სფეროები ასე თუ ისე განაწილებულია. საზღვრების გაკონტროლება საბაჟოს კომპეტენციაა, სივრცეში კონტროლი ევალება საგადასახადო დეპარტამენტს, ფინანსურ პოლიციას და აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიუროს. **"ჩვენ მუდმივად უნდა ვაკონტროლოთ ობიექტები, თუ რას და როგორ ყიდიან. დროის გარკვეულ მონაკვეთში თითოეული ავტოგასამართი სადგურიდან სისტემატურად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია საგადასახადო დეპარტამენტსა და ფინანსურ პოლიციას",** - განაცხადა საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით გალეგაშვილმა.

"ჩვენ დარღვევებს სივრცეში ვეძებთ და ვაპირებთ, რეგულარულად ვამოწმოთ, თუ რამდენად ფლობენ ლიცენზიებს და რამდენად ეკოლოგიურად სუფთა ნავთობპროდუქტებს ყიდიან", - აცხადებს ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი.

"ყოველგვარი წინასწარი ამოღება, გადაქაჩვა და მსგავსი მანიპულაციები აკრძალულია და აბსოლუტურად გამორიცხული. საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტებმა თავისი საქმე უნდა აკეთონ, ანუ გადასახადის გადამხდელები უნდა დაიბეგრონ იმ ოდენობით და იმ დროს, როგორც განსაზღვრულია კანონით", - აცხადებს ანთელიძე.

ოფიციალური მონაცემებით, მიმდინარე წელს განბაჟებული ნავთობპროდუქტების მაჩვენებლი შარშანდელთან შედარებით 34 ათას 473 ტონით გაიზარდა. ფინანსთა სამინისტროში ამ მაჩვენებლებს ქვეყანაში გატარებული ანტიკონტრაბანდისტული ღონისძიებების შედეგად მიიჩნევენ, რაშიც, რა თქმა უნდა, საკუთარი უწყების წარმატებულ მუშაობასაც გულისხმობენ. წარმატებულ მუშაობაში, პირველ რიგში, სპეციალურად კონტრაბანდასთან მებრძოლი ახალი სამსახურების (ფინანსური პოლიცია და აქციზური საქონლის მონიტორინგის ბიურო) შექმნას, საბაჟო-საგადასახდო დეპარტამენტებში მიმდინარე ადმინისტრაციულ და სტრუქტურულ ცვლილებებს ასახელებენ. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ შემოსავლების ზრდა საგადასახადო-საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრირების გაუმჯობესებით, ლეგალიზაციის მაჩვენებლის ზრდითაა გამოწვეული და არანაირად არ შეიძლება ეს შედეგები მოხმარების გაზრდას მივაწეროთ. **"ნავთობპროდუქტები არ განეკუთვნება ელასტიურ პროდუქტებს; ასე რომ, მოხმარება ასე თუ ისე სტაბილურია",** - აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ზურაბ ანთელიძემ. ექსპერტების შეფასებით, ოფიციალური მაჩვენებელი რეალურ მოხმარებასთან შეადარებით "ზღავში წვეთია". სტატისტიკური მონაცემებით, ბენზინის ყოველთვიური საშუალო მოხმარება 35 ათას ტონას შეადგენს. ოფიციალურად კი 18 ათასი ტონა ფიქსირდება.

ამ სეგმენტის პოტენციალი არაერთხელ დაითვალა ამერიკის სავაჭრო პალატისა და USAID-ის მხარდაჭერით. შარშან ექსპერტთა ჯგუფმა გამოიანგარიშა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ნავთობპროდუქტებიდან ყოველწლიურად 200 მილიონ დოლარს კარგავდა. უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტების გათვლებით დადგინდა, რომ სახელმწიფოს მხოლოდ ნავთობსექტორიდან წელიწადში 250 მილიონი დოლარის მიღება შეუძლია. ექსპერტებმა ნავთობპროდუქტებიდან მისაღები შემოსავლების ქვედა ზღვარად 140 მილიონი დოლარი დასახელეს. სახელმწიფო კი ამ სეგმენტიდან მხოლოდ 50 მილიონი დოლარის ოდენობის შემოსავლებს იღებდა. გამოიკვეთა პრობლემები და

Fitch Ratings-ი მსოფლიო ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლებს აქვეყნებს

მსოფლიო ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 2004 წელს 3,6%-მდე გაიზრდება. პროცენტული მაჩვენებლის ამგვარი ზრდა, ექსპერტების განცხადებით, ამერიკისა და იაპონიის ეკონომიკის სწრაფი სტაბილიზაციით არის გამოწვეული, რომელმაც ყველანაირ სავარუდო მაჩვენებელს გადააჭარბა; მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკაში არსებული დისბალანსისა და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური შეუსაბამობის გამო მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები ბუნდოვანია.

ეს პროგნოზი სარეიტინგო კომპანია Fitch Ratings-მა თავის ყოველთვიურ კვლევაში გამოაქვეყნა. "მსოფლიო ეკონომიკური ზრდა მთელი ძალით მიმდინარეობს, მაგრამ პროცესი შეიძლება შეფერხდეს." როგორც სააგენტოს ექსპერტები აცხადებენ, შემაფერხებელი ფაქტორი შესაძლებელია გახდეს შეერთებული შტატების ეკონომიკური ზრდის პროცესის შენელება ან ამერიკის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა გასულ ფინანსურ წელთან შედარებით.

ექსპერტები მსოფლიო ეკონომიკური აქტივობის ცენტრებად შეერთებულ შტატებს, ინდოეთს, ჩინეთსა და რუსეთს ასახელებენ. მათი განცხადებით, შეერთებული შტატების წვლილი მსოფლიო ეკონომიკის ზრდაში 30-40%-ს შეადგენს და ბევრი ეკონომიკურად პროგრესირებადი ქვეყანა სწორედ ამერიკაში ექსპორტის ხარჯზე მოძლიერდა.

რაც შეეხება ევროზონას, ექსპერტები ნაკლებად ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებენ, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 1,8%-დან 1,6%-მდე დაიწევს. როგორც Fitch-ი იუწყება, ერთიანი ვალუტის - ევროს გამყარებამ ევროზონაში ინფლაციის პროცესი შეაჩერა, მაგრამ არანაირი გავლენა არ იქონია ამ ვალუტის მიმოქცევის ზონაში შემავალი ქვეყნების ეკონომიკის აღდგენის პროცესზე. ექსპერტების განცხადებით, გერმანიაში, საფრანგეთსა და იტალიაში უნდა გატარდეს სერიოზული სტრუქტურული რეფორმები, რის საშუალებასაც შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა არ იძლევა და, სავარაუდოდ, ევროპა აუტსაიდერის პოზიციაზე დარჩება.

ორი სიტყვით

თბილისი საქართველოს ბაზარზე ხორბლის ფასი ისევ მაღალია. პურის მეწარმეების თქმით, მათ წარმოებას პროდუქციის ფასის შენარჩუნება კვლავ უჭირს. როგორც სააგენტო "მედია-ნიუსს" პურის მეწარმეთა კავშირი "სოლიდარობის" თავმჯდომარემ ვახტანგ ზენაიშვილმა განუცხადა, მეწარმეები განწყობილნი არიან, ახალ მოსავლამდე პურზე ძველი ფასი შეინარჩუნონ, მაგრამ თუ ამის შემდეგ ხორბალი არ გაიაფდება, არ არის გამორიცხული, რომ პური ისევ გაძვირდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ **GSM** 1800 დიაპაზონის ლიცენზიის მიღებაზე გამოცხადებული კონკურსი აპრილის ნაცვლად ნოემბერში ჩატარდება. როგორც "ინტერ-პრესს" კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში განუცხადეს, **GSM** 1800 დიაპაზონის ლიცენზიის მიღებაზე კომისიამ ტენდერი 2 თვის წინ გამოაცხადა. კონკურსის მიმართ ინტერესი როგორც ადგილობრივმა, ასევე რუსულმა და უცხოურმა ოპერატორებმა გამოიჩინეს, თუმცა დროის სიმცირის გამო მათ საბუთების შეგროვება ვერ შეძლეს, ამიტომ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, კონკურსის ვადა 12 ნოემბრამდე გადაეწია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ყაზახეთის ქალაქ ასტანაში დღეს მუშაობა დაიწყო რკინიგზების თანამშრომლობის ორგანიზაციის (ОСЖД) წევრი ქვეყნების რკინიგზების გენერალურ დირექტორთა კონფერენციის მე-19 სხდომამ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზისთვის" აბონენტებთან ანგარიშსწორების საბანკო სისტემაზე გადასვლამ გაამართლა. ბუნებრივი აირის საფასურის ამოღების მაჩვენებელმა 37-38 პროცენტი შეადგინა და ეს მაშინ, როდესაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 17-18 პროცენტს შეადგენდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად, ეროვნული ვალუტის კურსი ამერიკულ დოლართან მიმართებაში შემდეგნაირად დაბალანსდა: 1 აშშ დოლარი - 1,9750 ლარი. **მედია-ნიუსი**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

22 აპრილს, 11.00-დან 17.00-სთ-მდე:
ვაზისუბნის III მიკრორაიონის II კვარტლის, ვაზისუბნის IV მიკრორაიონის II კვარტლის მაცხოვრებლებს.

22 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:
მიცკევიჩის ქუჩის მაცხოვრებლებს.

ბიზნესი და ბეგარა

ქართველ ბიზნესმენებს მეზობელი ქვეყნების ბიზნესმენებზე ბევრად დიდი საგადასახადო ტვირთი აწევთ

საქართველოს ხელისუფლება საგადასახადო ცვლილებების განხორციელებას უახლოეს ორ თვეში გეგმავს. ამ თემაზე მომუშავე კომისიაში უკვე მოხდა ძირითად პრინციპებზე შეთანხმება, თუმცა მთავრობა აპირებს, საგადასახადო ლიბერალიზაციის პრეზენტაციას დიდი პიარ-აქციის სახე მისცეს და ამიტომ ცვლილებების დეტალებს საგულდაგულოდ ასაიდუმლოებს, "გაჟონილ" ინფორმაციას კი ოფიციალურად არავინ ადასტურებს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ კომისიის სამუშაო მაგიდაზე იმთავითვე იდო მეზობელი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობის შესახებ მონაცემები, რომლებთან შედარებითაც საქართველოში დღეს არსებული საგადასახადო ტვირთი მართლაც საკმაოდ დიდია.

თამარ ივანიძე

ცალკეული გადასახადების მიხედვით სიტუაცია ამგვარია:

საშემოსავლო გადასახადი საქართველოში დღეს, მოგეხსენებათ, დიფერენცირებულია, ანუ შემოსავლების მიხედვით ზრდადია. თუ საშუალო შეძლების მქონე ადამიანის ხელფასს - 309 ლარს ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველო გაცილებით მეტად ბეგრავს თავისი მოქალაქის მიერ მიღებულ 309-ლარიან შემოსავალს, ვიდრე მისი მეზობლები, კერძოდ:

საქართველოში 309 ლარი 19,16 პროცენტით იბეგრება, სომხეთსა და აზერბაიჯანში ანალოგიური შემოსავალი - 10 პროცენტით, რუსეთში კი - 13 პროცენტით.

სხვათა შორის, როგორც სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, სწორედ ამ ციფრებმაც გადაწყვიტა საქართველოში საშემოსავლო გადასახადის საგრძნობლად შემცირების ბედი, რის შესახებაც გადაწყვეტილება კომისიაში პრაქტიკულად შეთანხმებულია.

სოციალური გადასახადის თვალსაზრისით საქართველო მეზობელი ქვეყნების "შუაში" მერყეობს: საქართველოში სოციალური გადასახადი 33 პროცენტია, სომხეთში - 18, აზერბაიჯანში - 31, რუსეთში კი დიფერენცირებულია და საშუალო მაჩვენებელი 35,6 პროცენტს შეადგენს; სხვათა შორის, ამ გადასახადთან მიმართებაშიც საქართველოს ხელისუფლება "დადებით ძვრებს" გეგმავს.

დამატებითი ღირებულების გადასახადი ყველა ზემოთ აღნიშნულ ქვეყანაში თითქმის თანაბარია: საქართველოში, სომხეთსა და რუსეთში 20 პროცენტია და მხოლოდ აზერბაიჯანშია 18 პროცენტი, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ გარკვეული სახეობის პროდუქციაზე, კერძოდ - კვების პროდუქციაზე, საბავშვო გამოცემებზე, პერიოდულ გამოცემებსა და სამედიცინო პროდუქციაზე რუსეთში 10-პროცენტიანი დამატებითი ღირებულების გადასახადი მოქმედებს.

მოგების გადასახადი საქართველოში "ზომიერი" აღმოჩნდა მეზობელ ქვეყნებთან შედარებით: საქართველოში, როგორც მოგეხსენებათ, მოგების გადასახდის განაკვეთი 20 პროცენტია, იგივე განაკვეთი მოქმედებს სომხეთში, აზერბაიჯანში მოგების გადასახადის განაკვეთი 25 პროცენტია, რუსეთში კი - 24. აქედან გამომდინარე ძნელი სავარაუდოა, რომ მოგების გადასახადის შემცირებაზე წავიდეს საქართველოს ხელისუფლება. სამაგიეროდ, უკვე ცნობილია, რომ გარდა ცალკეული გადასახადების განაკვეთებისა, შემცირდება თავად გადასახადების სახეობათა რაოდენობა; თუმცა ამის ფონზე არ არის გამორიცხული დარჩენილი სახეობებიდან ზოგიერთის განაკვეთის ზრდაც - ყოველ შემთხვევაში, როგორც "24 საათისთვის" არის ცნობილი, დღგ-სა და აქციზთან დაკავშირებით ასეთი ვარიანტებიც განიხილება.

ვინ ითვისებს ყველაზე უკეთ ელექტრონულ კომერციას?

თორნიკე შარაშენიძე

"ეკონომისტ ინტელიჯენსის" გამოკვლევის მიხედვით, დანია პირველ ადგილზეა ელექტრონული კომერციის გამოყენებაში. მეექვსე ადგილზე ჩამოქვეითდა აშშ, რომელიც აქამდე მესამე პოზიციაზე იმყოფებოდა. მისი ადგილი ახლა შვედეთს უჭირავს, რომელიც აქამდე ლიდერობდა.

საერთოდ "ეკონომისტ ინტელიჯენსი" ელექტრონულ კომერციას მთელი მსოფლიოს მასშტაბით კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებს. ჯგუფის თქმით, იზრდება მოთხოვნილება ინტერნეტსა და პროგრამულ უზრუნველყოფაზე. ელექტრონული კომერციის განვითარებას ხელს უწყობენ მთავრობები. ისინი დაინტერესებულნი არიან, რომ მათი ბიზნესსექტორები უფრო აქტიურად ჩაერთონ გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პროცესში. საამისოდ კი ელექტრონული კომერცია ყველაზე იაფი და მოხერხებული გზაა.

ყველაზე დიდ ყურადღებას ელექტრონული კომერციის განვითარებას ახალი და განვითარებადი სახელმწიფოები უთმობენ. მაგალითად, ესტონეთმა, რომელიც 1 მაისიდან ევროკავშირს უერთდება, ახლახან ჩაატარა გამოკვლევა და შეამოწმა ელექტრონული კომერციის ათვისების დონე.

პირველი ათეული:

1. დანია (აქამდე მეორე ადგილზე იყო);
2. ბრიტანეთი (3);
3. შვედეთი (1);
4. ნორვეგია (7);
5. ფინეთი (6);
6. აშშ (3);
7. სინგაპური (12);
8. ჰოლანდია (3);
9. ჰონგ კონგი (10);
10. შვეიცარია (8).

"ფეროს" გაკოტრება არ ემუქრება!

ავსტრიული "დეკომეტალი" ლიდერ ექსპორტიორს ბოლომდე დაიცავს

ამ მხრივ საქართველოში დღემდე დაგროვილი გამოცდილება ნამდვილად არ არის სახარბიელო, ვინაიდან ძნელად თუ მოიძებნება უცხოელი ინვესტორი, რომელსაც საქართველოში საქმიანობისას სერიოზული წინაააღმდეგობა არ შეხვედრია. ამდენად, დღევანდელ ვითარებაში ინვესტორთათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას ორმაგად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ბოლო დროს ქართული საზოგადოებისა და მასმედიის ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოექცა საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ერთ-ერთი ყველა წარმატებული მაგალითი - ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რაც არც არის გასაკვირი: "ფერო" ერთადერთი ქართული საწარმოა, რომელსაც მსოფლიო ბაზრის 6% უპყრია და, შესაბამისად, ქართული საექსპორტო წარმოების ფლაგმანია. ამ მაჩვენებელზე წარმოების გაყვანა მისმა ახალმა მფლობელმა - ავსტრიულმა კომპანია "დეკომეტალ ინტერნეშნლ თრეიდინგმა" შესძლო. ფოლადის საერთაშორისო მრეწველობის ერთ-ერთი ლიდერი, საერთაშორისო ბაზარზე ჯერ კიდევ 1846 წლიდან დამკვიდრებული "დეკომეტალი" "ფეროში" მხოლოდ შარშან ზაფხულში შევიდა, მაგრამ მიღწეული შედეგებით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რის დასტურადაც მსოფლიო ბაზარზე ზესტაფონის ქარხნის უკვე მოპოვებული წილი და 6-თვიან პერიოდში პროდუქციის გასამმაგებული რაოდენობაც მიუთითებს.

როგორც ყველა წარმატებული ქართული საწარმო, "ფეროც" ტრადიციულად უამრავი საფინანსო თუ პოლიტიკური ინტერესთა ჯგუფის არეალში იყო მოქცეული და ამ დაპირისპირებათა გამო არაერთხელ უკიდურესადაც იზარალა. საწარმოს მუშაობაში მრავალგზის უხეშად ჩარევამ ქარხნის საბოლოოდ განადგურების საფრთხეც არაერთხელ გახადა რეალური. თუმცა, როგორც ჩანს, არცთუ შორეული წარსულის გაკვეთილები მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი და "ფეროს" საქმიანობის შეფერხებას დღესაც მონდომებით ცდილობენ.

ქართული მედიისა და ზოგადად საზოგადოებისთვის უკვე კარგად არის ცნობილი ის სქემები, რომლითაც არაერთ წარმატებულ ქართულ საწარმოს გამოუყვანეს წირვა. ვალებით ხელოვნურად დატვირთული, შემდეგ გაკოტრების პირას მიყვანილი ან სულაც გაკოტრებული, კაპიკებად ან სულაც უფასოდ გაჩუქებული ქართული საწარმოები არაერთი საეჭვო რეპუტაციის მფლობელის ხელში აღმოჩნდა, რომლებმაც, საბოლოდ ამ საწარმოთა უმეტესობა გაანადგურეს კიდეც. სავარაუდოდ, ასეთივე სქემის განხორციელება იყო დაგეგმილი ზესტაფონის "ფეროშიც". ნლების განმავლობაში, ქარხნის ძირითადი მესაკუთრის - სახელმწიფოს წაყრუების პირობებში, არსებული კანონმდებლობის სრული უგულებელყოფით დადებული კონტრაქტებით დაგროვილი ვალების გასტუმრება დღეს ქარხნის ახალ, წარმატებულ მესაკუთრეს - კომპანია "დეკომეტალს" უხდება. ამის თვალსაჩინო მაგალითია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც "ფეროს" ბრიტანული კომპანია "რონლის" სასარგებლოდ 750 ათასი დოლარის გადახდა ეკისრება. კომპანია "დეკომეტალის" წარმომადგენელი ილია კოკაია ამ გადაწყვეტილებას არასამართლიანად მიიჩნევს, რადგან სამართლებრივი დავა ამ საკითხზე თავიდანვე კანონის უხეში დარღვევით წარიმართა. ამავე დროს "დეკომეტალი", როგორც კანონმორჩილი კომპანია, კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ თავიდან ბოლომდე აგებს პასუხს "ფეროს" აბსოლუტურად ყველა ფინანსურ ვალდებულებაზე. თუმცა, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო უსამართლობასთან შეგუებას არ აპირებს და ბოლომდე, ყველანაირი კომპრომისის გარეშე დაიცავს საწარმოს ინტერესებს, თუ მათ შელახვა დაემუქრება.

ამის გათვალისწინებით, "ფეროს" ახალი მეპატრონე და საწარმოს მენეჯმენტი კატეგორიულად გამორიცხავენ "ფეროს" გაკოტრების შესაძლებლობას და ამის გარანტად "დეკომეტალის" უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტსა და გამოცდილებას მიიჩნევს. ცხადია, ავსტრიელები თავის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ შენაძენს ღვთის ანაბარა არ მიატოვებენ და ბოლომდე იბრძოლებენ მისი წარმატებული მოღვაწეობის გაგრძელებისთვის, რაც აშკარად მისასალმებელია იმ გულგრილობის ფონზე, რასაც ლიდერი ექსპორტიორი საწარმოს მიმართ საქართველოს ხელისუფლება იჩენს.

კოალიციის ყველაზე დიდი დანაკლისი - ესპანელები მიდიან

ორშაბათს, ერაყის შიიტთა ლიდერმა მოქთად ალ-სადრმა თავის მომხრეებს მოუწოდა, ესპანელებს თავს აღარ დაესხან. გუშინ ამის შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია "ალ-არაბია" ავრცელებდა. შიიტთა ლიდერის ეს განცხადება ესპანეთის ახალი პრემიერ-მინისტრის ერაყიდან ესპანური კონტინგენტის უმოკლეს ვადებში გაყვანის გადაწყვეტილებას მოჰყვა. ალ-სადრმა კოალიციის ყველა წევრს ურჩია, ესპანეთის მაგალითს მიბაძონ.

ნიკა თარაშვილი

კვირას ესპანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ხოსე ლუის საპატერომ განაცხადა, რომ ერაყიდან 1400-კაციან ესპანურ კონტინგენტს უმოკლეს ვადაში გამოიყვანს. ასეთი გადაწყვეტილება საპატერომ იმით ახსნა, რომ ერაყში სიტუაცია დღითიდღე რთულდება, ხოლო გაერო-ს რეზოლუციის მიღება, რომელიც ამ ქვეყანაში კოალიციის სამხედრო ძალების დარჩენას დააკანონებს, მეტად სათუოა. გუშინვე არაბული ტელეკომპანია "ალ-ჯაზირა" ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ესპანელები ერაყს ორ კვირაში დატოვებენ. თუმცა, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ამისათვის ესპანეთს თვე-თვენახევარი მაინც დასჭირდება.

აღსანიშნავია, რომ საპატეროს სოციალისტურმა პარტიამ არჩევნები სწორედ ერაყიდან ესპანელთა გამოყვანის დაპირებით მოიგო. არჩევნების მეორე დღესვე საპატერო აცხადებდა, რომ ესპანეთის სამხედრო კონტინგენტი მხოლოდ 30 ივნისამდე, ხელისუფლების ერაყელთათვის გადაცემის სავარაუდო თარიღამდე დარჩებოდა ერაყში. თუმცა, ამავდროულად, ამბობდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გაერო ერაყში სიტუაციაზე კონტროლის პასუხისმგებლობას აიღებდა, მაშინ ესპანეთი, შესაძლოა, დარჩენილიყო კიდეც ოკუპირებულ ქვეყანაში. კვირას მიღებული გადაწყვეტილების მიუხედავად, საპატერო ხაზს უსვამს, რომ ესპანეთი ყველა საერთაშორისო ვალდებულებას შეასრულებს და კვლავაც მოკავშირეების ერთგული იქნება. საპატეროს გადაწყვეტილებას ემხრობა ესპანეთის თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა, გარდა ყოფილი მმართველი - სახალხო პარტიისა. სახალხო პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა და ყოფილი პრემიერ-მინისტრის აზნარის სავარაუდო მემკვიდრემ მარიანო რახოიმ საპატეროს ნაბიჯს ბრძოლის ველიდან გამოქცევა უწოდა. მისი აზრით, ესპანეთის ჯარების გამოყვანა ერაყიდან ძალიან ცუდ პრეცედენტს შექმნის და ტერორისტებს ეროვნულ მთავრობებზე ზეწოლით თავისი მიზნების მიღწევის იმედს ჩაუსახავს.

ესპანეთის გადაწყვეტილებამ კოალიციის ქვეყნები და, პირველ რიგში, აშშ შეაშფოთა. ვრცელდებოდა ხმები, თითქოს, აშშ ესპანეთის ახალ მთავრობაზე ზეწოლას ახორციელებდა. ორშაბათს, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიგელ ანხელ მორატინოსმა საჯაროდ განაცხადა, რომ მას ამ თემაზე აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან საუბარი მართლაც ჰქონდა. მისი სიტყვებით, აშშ, რასაკვირველია, უკმაყოფილოა ერაყიდან ესპანეთის ჯარების გამოყვანით, მაგრამ მაინც აპირებს მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნებას ახალ მთავრობასთან. "ვერ დავმალავ, რომ გარკვეული უკმაყოფილება იყო სახელმწიფო მდივნის მხრიდან, მაგრამ მან მითხრა, რომ გადაწყვეტილების პოლიტიკური მოტივაცია ესმის. მან, ამასთანავე, გამოთქვა სურვილი, ჩემთან და მთელ მთავრობასთან ახლო ურთიერთობები შეინარჩუნოს," - ქვეყნის ერთ-ერთ რადიოსადგურთან ინტერვიუში აღნიშნა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა. მორატინოსი ამ კვირას აშშ-ში გაემგზავრება და შეხვედრებს სახელმწიფო მდივანთან და ეროვნული უშიშროების მრჩეველთან კონდოლიზა რაისთან გამართავს. სავარაუდოდ, შეხვედრების მიზანი ესპანეთის ჯარების ერაყიდან გამოყვანის ვადებიც იქნება.

სამხედრო თვალსაზრისით, თითქოსდა, დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს 1400 ჯარისკაცი, მაგრამ ესპანეთის გადაწყვეტილება უსიამოვნო პრეცედენტს ქმნის და დღევანდელ, 34-წევრიანი კოალიციის ერთიანობას საფრთხეს უქმნის. მან შეიძლება "დომინოს ეფექტიც" გამოიწვიოს და სხვა წევრების მიერ ანალოგიური გადაწყვეტილების მიღება დააჩქაროს. ეროვნული უშიშროების საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის მრჩეველი კონდოლიზა რაისი ამის თაობაზე აცხადებდა: "ჩვენ ვიცით, რომ კიდევ არსებობენ ისეთები, ვინც ფიქრობს, გადაწყვეტილება შეცვალოს... დღეს (ერაყში) 34 ქვეყნის ჯარია. მე ვფიქრობ, ცვლილებები იქნება". უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ესპანელთა მაგალითს შეიძლება პორტუგალიელებმაც მიბაძონ. ცნობილია, აგრეთვე, რომ ყაზახეთიც აღარ აპირებს ერაყში თავისი სამხედროების ყოფნის ვადის გაგრძელებას.

თუმცა, როგორც ერაყში ამერიკული ადმინისტრაციის უფროსი პოლ ბრემერი აღნიშნავს, უცხოელი სამხედროების გარეშე უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქვეყანაში შეუძლებელი იქნება. მისი სიტყვებით, 30 ივნისისთვის, ანუ ერაყელთათვის ხელისუფლების გადაცემის თარიღისათვის, ადგილობრივი ძალები ქვეყანაში მართლწესრიგის დასაცავად არ იქნებიან მზად. "უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში მიმდინარე მოვლენები გვიჩვენებენ, რომ ერაყის უსაფრთხოების ძალებს სერიოზული პრობლემები აქვთ და მათ დასაძლევად გარედან დახმარებას საჭიროებენ," - ხაზი გაუსვა პოლ ბრემერმა და ამასთანავე დასძინა, რომ აშშ-ს სამხედრო ძალები ქვეყანაში ერაყელთათვის ხელისუფლების გადაცემის შემდეგაც უნდა დარჩნენ.

ეს მოვლენები, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ერაყში დაღუპულთ თუ მძევლად აყვანილ უცხოელთა რიცხვი ყოველდღე იზრდება, შეუძლებელია, აშშ-ს საზოგადოებრივ აზრზე არ აისახოს. თუმცა, პოლიტიკოსებიცა და ექსპერტებიც ერთხმად აღიარებენ, რომ ბუშის ადმინისტრაციას ერაყის მიმართ მკაცრ პოლიტიკას უკვე ვეღარაფერი შეაცვლევინებს.

კიმ ჩენ ირის გასაიდუმლოებული ვიზიტი პეკინში

ბოლო დროს პეკინში მაღალი რანგის პოლიტიკოსთა ჩასვლა გახშირდა. თუმცა, თუ წინა კვირას ჩინელები სტუმრად მყოფ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის მთელი პომპეზურობით ხვდებოდნენ და თითქმის ყველა, ასე თუ ისე გავლენიანი საინფორმაციო საშუალების ყურადღება პეკინში გამართულ შეხვედრებზე იყო გადატანილი, გუშინ "უცნობი", მაღალი რანგის სტუმრის ვიზიტი სრული ბურუსით იყო მოცული. ვიზიტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი საინფორმაციო სააგენტოებს შეუმჩნეველი მაინც არ დარჩენიათ.

პირველი, ვინც უცნობის ვინაობა "გამოააშკარავა", სამხრეთ კორეელი ჟურნალისტები იყვნენ. მათი მტკიცებით, მაღალი რანგის სტუმარი ჩრდილოეთ კორეის სახალხო რესპუბლიკის მეთაური კიმ ჩენ ირია. მოგვიანებით, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ კომუნისტური ჩრდილოეთ კორეის მმართველი, 40-კაციანი ამალის თანხლებით, პეკინში სპეცმატარებლით ჩავიდა. სააგენტო "როიტერი" ანონიმურ ჩინურ წყაროებზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა ჩინეთის მეთაურთან ჰუ ძინთაოსთან სადილობა უკვე მოასწრო და მასთან ერთად კორეის ნახევარკუნძულზე შექმნილი ბირთვული კრიზისის მშვიდობიანი დარეგულირების გზები განიხილა. კიმ ჩენ ირი ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყოფილ ლიდერს და ამჟამად შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელ ძიან ძემინსაც შეხვდა. სავარაუდოდ, ამ შეხვედრის დროსაც ჩრდილოეთ კორეის ყბადაღებული ბირთვული პროგრამა განიხილებოდა. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ამბიციებთან დაკავშირებით, ვიცე-პრეზიდენტი ჩეინიც ბევრს საუბრობდა ჩინური ტურნეს დროს.

მიმომხილველთა აზრით, ფხენიანს, ალბათ, თავისი უძველესი კომუნისტი მოკავშირის მხრიდან ეკონომიკური და ენერგეტიკული მხარდაჭერის მოპოვებაც სურს. თუმცა, ჩინეთი, ამავდროულად,

კიმ ჩენ ირი

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამის განხორციელების მოწინააღმდეგე ვაშინგტონის მხრიდანაც განიცდის ზეწოლას. ვიცე-პრეზიდენტმა ჩეინიმ გასულ კვირას განაცხადა, რომ დრო არ ითმენს და ეს პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა გადაიჭრას. სხვადასხვა ინფორმაციით, ჩეინიმ ჩინელებს ფხენიანის ბირთვული მისწრაფებების ახალი მტკიცებულებებიც ჩაუტანა. თუმცა, ამ ბრალდებებზე ჩრდილოეთ კორეის ოფიციალურმა ხელისუფლებამ კატეგორიული უარი განაცხადა. ფხენიანი ირწმუნება, რომ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება სერიოზულად არის დაკავებული აშშ-ს მოთხოვნების დასაკმაყოფილებელი გზების ძიებით.

ჩრდილოეთ კორეის ბირთვული კვლევების გამო, რეგიონში კრიზისული ვითარება 2002 წლის ოქტომბერში შეიქმნა. მაშინ ვაშინგტონმა ჩრდილოეთ კორეა, საერთაშორისო შეთანხმებების უგულებელყოფით, ბირთვული მასალების შექმნაში დაადანაშაულა.

ორი კომუნისტური ქვეყნის ლიდერის ამჟამინდელმა შეხვედრამ ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამაზე მიმდინარე მოლაპარაკებები უნდა გააგრძელოს. შეგახსენებთ, რომ ჩინეთი აღნიშნულ მოლაპარაკებებში მთავარი მედიატორის როლს ასრულებს. ამ თემაზე ექვსმხრივი მოლაპარაკებები პეკინში თებერვალშიც გაიმართა. თუმცა, აშშ-ს, რუსეთის, იაპონიის, ჩინეთისა და ორივე კორეის მონაწილეობით გამართულ შეხვედრას კონკრეტული შედეგი არ გამოუღია.

შესაძლოა, მოლაპარაკებების უშედეგობა იმითაც არის განპირობებული, რომ ჩრდილოეთ კორეელები მეტად კატეგორიულები არიან. ისინი აცხადებენ, რომ ქვეყანა ბირთვულ პროგრამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა, თუ თავდაუსხმელობის მყარი გარანტიები ექნებათ. კორეელ კომუნისტებს არანაირი სურვილი არ აქვთ, ქვეყანა მეორე ერაყად იქცეს. ამგვარი ფიქრის საფუძველს კი აშშ-ს მიერ ჩრდილოეთ კორეის "ბოროტების ღერძის" ქვეყნების - ერაყისა და ირანის გვერდით მოხსენიება აძლევთ.

აბუ ვალიდი ჩეჩნეთში მოკლეს

ორი დღის წინ ცნობილი არაბი ტერორისტის აბუ ვალიდის სიკვდილის შესახებ მისმა ძმამ განაცხადა. რუსმა სამართალდამცველებმა საუდის არაბეთის მოქალაქეს აბუ ვალიდს თებერვალში მოსკოვის მეტროპოლიტენში მოწყობილი ტერაქტის ორგანიზებაში დასდეს ბრალი. მაშინ აფეთქების შედეგად 40 ადამიანი დაიღუპა. "ჩემი ძმა ეწამა," - განაცხადა საუდის არაბეთის დედაქალაქ ერრიადში მყოფმა აბდულა საიდ ღამდიმ. "ჩვენ დეტალები არ ვიცით, მაგრამ ნამდვილად გვაქვს ცნობა, რომ იგი ახლახან მოკლეს. ამის შესახებ გუშინ გავიგეთ და ახლა ხალხი მოდის და მის მოწამეობრივ სიკვდილს გვილოცავს." რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურმა კომენტარისაგან თავი შეიკავა.

ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყების შემდეგ საუდის არაბეთიდან და სხვა არაბული სახელმწიფოებიდან მრავალმა მებრძოლმა მიაშურა ჩეჩნეთს.

მარტში არაბულმა ტელეკომპანია ალ-ჯაზირამ უჩვენა ვიდეოკასეტა, სადაც აბუ ვალიდი ტერორისტული აფეთქებების სერიით ემუქრებოდა რუსეთს.

ჩეჩნეთის პრომოსკოვური ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ახმედ კადიროვმა განაცხადა, რომ "არსებობს რეალური" შესაძლებლობა იმისა, რომ აბუ ვალიდი მოკლეს.

"ისინი, ვინც უკანასკნელი დღეების განმავლობაში წინააღმდეგობას გვიწევდნენ, მოკლულ იქნენ. 10-ზე მეტი მეამბოხე ვედენსკის რაიონის ტაზენ-კალესა და ერსენოის სოფლების მახლობლად მოკლეს," - კადიროვის ეს სიტყვები რუსეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს.

კვირას, რუსული სააგენტოების განცხადებით, ფედერალურმა ძალებმა ოთხი ჩეჩენი მებრძოლი ჩეჩნეთის სასაზღვრო რაიონში მოკლეს, რომელთაც ცნობილ ჩეჩენ საველე მეთაურთან შამილ ბასაევთან ურთიერთობა ჰქონდათ.

ამას გარდა, ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში განლაგებულმა რუსულმა ნაწილებმა ვაჰაბისტი მებრძოლი მოკლეს, რომელსაც, რუსეთის უშიშროების სამსახურების თქმით, ინგუშეთის პრეზიდენტ მურატ ზიაზიკოვზე თავდასხმასთან შესაძლოა, კავშირი ჰქონოდა.

გუშინ, საღამოს, რუსულმა ინტერნეტ-გამოცემამ "ლენტა.რუმ" გაავრცელა სამხრეთის ფედერალურ ოლქში პრეზიდენტის წარმომადგენლის ვლადიმირ იაკოვლევის განცხადება. მისი თქმით, აბუ ვალიდის სიკვდილი დადასტურებული არ არის და შესაძლებელია, ეს განზრახ გავრცელებული დეზინფორმაცია იყოს.

სოროსის ფონდმა უზბეკეთში მუშაობა შეწყვიტა

კვირას ცნობილმა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა განაცხადა, რომ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის გამო, უზბეკეთში მისი საქველმოქმედო ფონდი იძულებული გახდა, მუშაობა შეეწყვიტა. მთავრობა ფიქრობს, რომ სოროსის ფონდი უზბეკეთში "ვარდების რევოლუციის" მსგავსად ხელისუფლების შეცვლას ცდილობდა.

ცოტა ხნის წინ, ხელისუფლებამ სოროსის ფონდს, ისევე როგორც სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, ხელახალი რეგისტრაციის გავლა მოსთხოვა. "ყველასათვის მოულოდნელად", სოროსის ფონდს რეგისტრაციაზე უარი განუცხადეს.

"უზბეკეთს სუსტი სამოქალაქო საზოგადოება აქვს და იქ ადამიანის უფლებები დაცული არ არის," - განაცხადა ჯორჯ სოროსმა უზბეკეთში შექმნილ ვითარებაზე საუბრისას. გასულ წელს სოროსმა უზბეკეთში ჯანდაცვის, განათლებისა და ეკონომიკურ პროექტებზე 3.7 მილიონი ამერიკული დოლარი დახარჯა.

ტერორიზმის წინააღმდეგ ომში შეერთებული შტატების ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირე სახელმწიფო უზბეკეთია. ორ ქვეყანას შორის მჭიდრო თანამშრომლობას ხელს ვერ უშლის ტაშკენტის მიერ ადამიანის უფლებების რეგულარული დარღვევა. ამ ურთიერთობებს ჩრდილი ვერც იმ ფაქტმა მიაყენა, რომ განსხვავებული რელიგიური მოსაზრებების გამო დაპატიმრებული პირები მოხარშეს და ისე მოკლეს. შეერთებულ შტატებს უზბეკეთში სამხედრო ბაზა აქვს, რომელსაც ავღანეთში ოპერაციების განსახორციელებლად იყენებს.

თუმცა, უზბეკეთში საყოველთაო უკმაყოფილება მატულობს და ამბობენ, რომ ისლამ ქარიმოვი თბილისში ნოემბერში მიმდინარე მოვლენების გამო, პანიკაში იყო ჩავარდნილი.

თანამდებობიდან გადადგომამდე საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სოროსის ფონდი ქვეყანაში არეულობისათვის ხელისშეწყობაში დაადანაშაულა. მართალია, თავად სოროსმა მის მიერ რევოლუციის დაფინანსება უარყო, მაგრამ "ვარდების რევოლუციის" შემდეგ დსთ-ს ლიდერებმა, თითქმის, უკლებლივ გააძლიერეს კონტროლი ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებაზე და, განსაკუთრებით, სოროსის ფონდის წარმომადგენლობების მუშაობაზე.

ჯორჯ სოროსი

მოკლედ

სლოვაკებმა პრეზიდენტი აირჩიეს

კვირას გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში სლოვაკებმა ივან გასპაროვიჩი აირჩიეს. ევროკავშირი და ნატო გასპაროვიჩის არჩევას მოწონებით შეხვდნენ. მის მოწინააღმდეგე ყოფილ პრემიერ-მინისტრს ვლადიმირ მესიარს, ადამიანის უფლებების შელახვის გამო, რამდენიმე წლის წინ ამ ორგანიზაციებში სლოვაკეთის განევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებაზე უარი განუცხადეს.

გასპაროვიჩი და მესიარი ერთმანეთს მხოლოდ 2002 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დაუპირისპირდნენ. მანამდე ისინი უახლოესი მოკავშირეები იყვნენ. არჩევნების პირველ ტურში მესიარის დაწინაურებამ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში პოპულიზმის მიმზიდველობა დაადასტურა, რადგან ამ ქვეყნებში ძირეული რეფორმების შედეგად ძალიან ბევრი სოციალურად დაუცველად გრძნობს თავს.

მოსახლეობის შედარებით დაბალი აქტიურობის ფონზე (43.5 პროცენტი), პარლამენტის ყოფილმა სპიკერმა გასპაროვიჩმა ხმების 60 პროცენტი მოაგროვა. გაპრეზიდენტებამდე გასპაროვიჩი სამართალს ასწავლიდა უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ, როდესაც მესიარი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი იყო, ამჟამინდელი პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარე გახლდათ და კონსტიტუციის არაერთხელ დარღვევაში ჟურნალისტებმა ისიც ამხილეს.

კადაფი რეფორმების გატარებას გეგმავს

ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ განაცხადა, რომ საკანონმდებლო სფეროში ძირეული ცვლილებების გატარებას აპირებს, მათ შორის, სპეციალური რევოლუციური სასამართლოს გაუქმებას, რომელსაც ადამიანის უფლებების დამცველები განსაკუთრებით აკრიტიკებენ.

პოლკოვნიკმა კადაფიმ ასევე განაცხადა, რომ ადამიანების სასამართლოს ნებართვის გარეშე დაჭერას ბოლო უნდა მოეღოს. მისი თქმით, ლიბიამ წამების წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო კონვენციების რატიფიკაციაც უნდა მოახდინოს.

გასულ თვეს კადაფიმ პირობა დადო, რომ ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციის "ამნესტი ინტერნეიშნლის" შენიშვნებზე რეაგირებას მოახდენს. აღნიშნულმა განცხადებებმა ლიბიის ლიდერის იმიჯი დასავლეთში მკვეთრად გააუმჯობესა. მარტში ლიბიის ლიდერს ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი და აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსანი შეხვდნენ. ეს შეხვედრები ლიბიაში მას შემდეგ შედგა, რაც კადაფიმ განაცხადა, რომ მასობრივი განადგურების პროგრამებს შეაჩერებს. ლიბიის ექსპერტებმა სასამართლო სისტემაში მოსალოდნელი ცვლილებები რევოლუციად შეაფასეს. ფაქტობრივად, უსანქციო ჩხრეკები და დაპატიმრებები, ასევე სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენების დიდი ხნის ტრადიცია დასრულდება. თუმცა, სკეპტიკოსების აზრით, შესაძლებელია, კანონმდებლობა შეიცვალოს, მაგრამ ცხოვრებაში მათი განხორციელება სათუოა.

რუსეთში ბიომეტრული მონაცემების მქონე პასპორტები დარიგდება

სავარაუდოდ, 2006 წლიდან რუსეთში ბიომეტრული მონაცემების მქონე, საზღვარგარეთის პასპორტები დარიგდება. ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განცხადება რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გენერალ-პოლკოვნიკმა ალექსანდრ ჩეკალინმა გააკეთა. "საზღვარგარეთის პასპორტების ახალი თაობის შემოღების შესახებ გადაწყვეტილება რუსეთის ხელისუფლებამ, მაქსიმუმ, 2005 წლის მეორე ნახევარში უნდა მიიღოს, რათა 2006 წლის დასაწყისში მათი დარიგება უკვე დაიწყოს," - აღნიშნა ჩეკალინმა.

მისი თქმით, ჯერჯერობით, განსაზღვრული არ არის, რომელი ბიომეტრული მაჩვენებლები შევა პასპორტში. ჩეკალინის აზრით, პასპორტში ჩამონტაჟდება "ჩიპი, სადაც განთავსდება ინფორმაცია მფლობელის თითის ანაბეჭდების შესახებ და ციფრული ფოტო". "ნებისმიერ შემთხვევაში, ეს პარამეტრები საერთაშორისო დონეზე შეთანხმდება," - დასძინა მინისტრის მოადგილემ.

ჩეკალინის განცხადებით, პასპორტებში ბიომეტრული მონაცემების შეტანის შესახებ გადაწყვეტილება "დიდი რვიანის" ქვეყნების სამიტზე მიიღეს, რათა ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლა უფრო ეფექტური გახდეს.

ჩეკალინმა არ გამორიცხა, რომ მომავალში ბიომეტრული მონაცემები ჩვეულებრივ პასპორტებშიც შევიდეს. "როგორც პასუხისმგებელ თანამდებობაზე მომუშავე პირი, მე ხელისუფლებას შევთავაზებ, რომ ამგვარი მონაცემები ქვეყნის შიგნით მოხმარებისათვის განკუთვნილ პასპორტებშიც შევიდეს," - აღნიშნა ჩეკალინმა. თუმცა, იქვე დასძინა, რომ ამ ეტაპზე ამის არც საჭიროება და არც მატერიალური სახსრები ქვეყანას არ გააჩნია.

"გოლდმანის" პრიზის პირველი ქართველი ლაურეატი

სან-ფრანცისკოში წელიწადში ერთხელ "გოლდმანის" დაჯილდოების ცერემონიალი იმართება. მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტიდან გარემოს დაცვის დარგში გაწეული ღვაწლისათვის სულ ექვს ადამიანს აჯილდოებენ. გუშინ "გოლდმანის" პრიზის მფლობელი პირველად გახდა ქართველი. მანანა ქოჩლაძე ამ პრემიაზე ორმა საერთაშორისო ორგანიზაციამ - "დედამიწის მეგობრებმა" და "გარემოსდაცვითი სამართლის ცენტრმა" წარადგინა. პრემია მან ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კამპანიაში აქტიური მონაწილეობისა და სოფელ დგვარის პრობლემის აღმოჩენისთვის მიიღო.

თამარ დვალი

"გოლდმანის" პრიზი, რომელსაც ნობელის პრემიასთანაც აიგივებენ, 1990 წელს რიჩარდ გოლდმანმა და მისმა მეუღლემ დააარსეს. ამ პრემიით წელიწადში ერთხელ გარემოს დაცვის დარგში გაწეული ღვაწლისათვის ექვს ადამიანს აჯილდოებენ. საქართველოს მოქალაქე წელს პირველად გახდა ამ პრემიის მფლობელი. 32 წლის მანანა ქოჩლაძე პროფესიით ბიოლოგია, თუმცა, უკვე ხუთი წელია, რაც გარემოს დაცვის დარგში მოღვაწეობს; არის არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" წევრი, რომლის მიზანი საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური პროექტების შეფასებაა.

მას შედეგ, რაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მშენებლობა დაიწყო, "მწვანე ალტერნატივა" აქტიურად მუშაობს პროექტის გარემოსდაცვით, სოციალურ და სამართლებრივ მხარეებზე. **"შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი წინა მთავრობა ვერ აცნობიერებდა, რას აწერდა ხელს და რა ხელშეკრულებებს აფორმებდა უცხოურ კომპანიებთან,** - ამბობს მანანა ქოჩლაძე, - **ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მთავრობას არ ჰქონდა უფლება, მიეღო ახალი გარემოსდაცვითი და სოციალური კანონები, თუ ის არ იქნებოდა შეთანხმებული "ბრიტიშ-პეტროლიუმთან". ასეთი რამ, უპირველესად, ქვეყნის სუვერენიტეტს ლახავს და ქმნის იმის საშიშროებას, რომ მოხდეს კანონის ერთ დონეზე გაყინვა. ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული, ვის უნდა გადაეხადა კომპენსაცია ნავთობის დაღვრის შემთხვევაში. პირველი, რაც გავაკეთეთ, იყო ის, რომ ვაიძულეთ "ბრიტიშ-პეტროლიუმი", არ მოეთხოვა იმ კაბალური პირობების შესრულება, რაც ხელშეკრულებაში იყო ჩადებული. ჩვენი ძალისხმევით, 27 სექტემბერს ბრიტიშ-პეტროლიუმმა გამოაქვეყნა დებულება, რომელშიც იგი, გარკვეული შემთხვევებისას, მთელ რიგ ვალდებულებებს იღებდა".**

მანანა ქოჩლაძე

მეორე ყველაზე მთავარი პრობლემა, რაც საქართველოს წინაშე დადგა, მანანა ქოჩლაძის თქმით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხი იყო. მისი აზრით, ამ ნებართვის გაცემა დიდი ზეწოლისა და დარღვევების შედეგად მოხდა. გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომელიც კომპანიამ მოამზადა, არაადეკვატური იყო წალკისა და ბორჯომის რაიონებისთვის. ბორჯომის რაიონში ნავთობსადენი გადის მეწყერსაშიშ - კოდიანა-ცხრაწყაროს მონაკვეთზე. სოფელი დგვარი, რომელიც კოდიანას მთის ქვემოთ მდებარეობს, მეწყერსაშიში ზონაა. სოფლის ზემოთ 900 მეტრში ნავთობსადენის მილია. მშენებლობა ისე დაიწყო, რომ სოფელზე მისი ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი ნახაზებში საერთოდ არ ყოფილა. ეს სოფელი რუკაზეც კი არ იყო აღნიშნული.

"ასეთი პრობლემური სოფლის არსებობის დამალვა ნიშნავს, რომ ნავთობსადენის მშენებლობის და ოპერირების ზემოქმედება სოფელზე არავის შეუსწავლია. ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის შეხვედრაზე მოხსენებით გამოვედი და პირველი ადამიანი აღმოვჩნდი, ვინც ამ სოფლის პრობლემას შეეხო. ამ შეხვედრაზე იყვნენ ქართველები, რომლებიც მიმტკიცებდნენ, რომ ასეთი სოფელი საერთოდ არ არსებობს. პოლიტიკა მიმართული იყო იქეთ, რომ ასეთი პრობლემური ადგილების არსებობა დაემალათ", - მიიჩნევს მანანა ქოჩლაძე. მისივე თქმით, ამ საკითხის გახმაურების შემდეგ სასწრაფოდ შეიქმნა ამ საქმის შემსწავლელი კომისია, თუმცა მას არაფერი გაუკეთებია. ამის გამო, იგი კვლავ აპირებს ამ საკითხის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა და ევროპის რეკონსტრუქციის ბანკის წინაშე დაყენებას.

სამომავლოდ მანანა ქოჩლაძეს დიდი გეგმები აქვს. იგი მიიჩნევს, რომ ეს პრემია და აღიარება მას დაწყებული საქმის უკეთესად გაგრძელებაში დაეხმარება; თუმცა, ყველაზე მეტად იმის სჯერა, რომ ახალი მთავრობა წინამორბედის შეცდომებს არ გაიმეორებს და ეკოლოგიასა და ბუნების დაცვას უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს.

ვეძებთ სამართალს და მივმართავთ გენერალურ პროკურატურას

გუშინ რედაქციაში სამი ექიმი გვესტუმრა - შპს "სამკურნალო კომბინატის" დირექტორის მოადგილე ნანა ბექაია, ენდოკრინოლოგი ასმათ დავითულიანი და სტომატოლოგი ზოია ახვლედიანი. ისინი აღშფოთებულები იყვნენ საბურთალოს "სამკურნალო კომბინატში" განვითარებული მოვლენების გამო, რაც გუშინ საოლქო სასამართლოში განხილვის საგანი გახდა.

ზაზა ფაჩუაშვილი

"სამკურნალო კომბინატში" იგივე სცენარი განვითარდა, რაც მრავალ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც სამეთვალყურეო საბჭო ქალაქის მერიამ დანიშნა. აქაც ახალმა სამეთვალყურეო საბჭომ თანამდებობიდან მოხსნა ძველი დირექტორი, რომლის ადგილზე ახალი დანიშნა. დაიწყო გაუთავებელი სასამართლო პროცესები, რაც დღემდე გრძელდება. მოხსნილი დირექტორის თემურ კალანდაძის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ მათ ბრძოლა უწევთ ფულთან და საქმეში გენერალური პროკურატურის ჩართვას მოითხოვენ. მათ ამ უწყებას საჩივრით სამჯერ მიმართეს და სთხოვეს, - მობრძანდით და შეგვამოწმეთო, - მაგრამ, ჯერჯერობით შედეგს ვერ მიაღწიეს. არადა, სასამართლო სასამართლოს მოსდევს და, როგორც კალანდაძის მხარე აცხადებს, მათ ობიექტურობის გარანტია არ აქვთ.

აი, რას ამბობს ყოველივე ამის შესახებ შპს "სამკურნალო კომბინატის" დირექტორის მოადგილე ნანა ბექაია: "წლის და ექვსი თვის განმავლობაში მოგვიხდა სხვადასხვა სასამართლოებში სიარული. კალანდაძე გაათავისუფლეს 2002 წლის 4 ნოემბერს და იმავე დღეს გაატარეს რეესტრში მისი შემცვლელი ქალბატონი ელისო ნარსია, რომელსაც არ გააჩნია სერტიფიკატი ჯანდაცვის ორგანიზაციაში. რა თქმა უნდა, დაწესებულებაში არიან სერტიფიკატის მქონე პირები, მაგრამ ტენდერი არ ჩატარებულა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო დედაქალაქის მერის მიერ წინასწარ განზრახული აქცია, რათა გაეკოტრებინა ეს დაწესებულება. სხვა რა უნდა გვეფიქრა, როცა ჩვენ ქალაქის ჯანდაცვის არც ერთ პროგრამაში არ ჩაგვსვეს. ჩვენ მხოლოდ შიდა სტანდარტებით ვარსებობთ.

ამასთან, გაათავისუფლეს 22 წლის სტაჟის მქონე მთავარი ექიმი და მის ადგილზე დანიშნეს უსერტიფიკატო ადამიანი. თუ მერიას

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ბექაია, დავითულიანი და ახვლედიანი "24 საათის" რედაქციაში.

დაწესებულების ბედი აწუხებდა, გათავისუფლებულის ნაცვლად, გამოცდილი დირექტორი უნდა დანიშნა. ამიტომ დარწმუნებულები ვართ, რომ ეს მერიისა და მის მიერ დანიშნული სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ჩადენილია სრულიად გამიზნულად.

სამეთვალყურეო საბჭოს ორი წევრი მერაბ მამაცაშვილი (თავმჯდომარე) და ნატა ქართველიშვილი ჩვენი დაწესებულების ტერიტორიაზე ფლობენ ორ მსხვილ კერძო სტრუქტურას და, ცხადია, პირადი ინტერესები ამოძრავებთ, ხოლო მესამე წევრი კახა გოგიჩაიშვილი თბილისის ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის რეზო ურუშაძის ნათესავია. ეს სამი ადამიანი კოლექტივისათვის თავიდანვე იყვნენ უცხო სხეულები. არ დადიოდნენ კრებებზე, არ ეკონტაქტებოდნენ თანამშრომლებს, თუმცა ინტენსიურად აქირავებდნენ ფართობს. საერთო ჯამში მთელი ტერიტორია გააქირავეს. ეს არის უზარმაზარი ფართობი, რომელიც, ოფიციალურად, მხოლოდ 54 ათას ლარად არის გაქირავებული წელიწადში. ეს მაშინ, როცა ვაკეში ამ ფასად ერთ პატარა ოფისს ვერ იქირავებ.

ყოველივე ამის შესახებ საქმის კურსში ჩავაყენეთ ყველა ინსტანცია; მივმართეთ გენერალურ პროკურორს, პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს.

სამწუხაროდ, თბილისის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ლეიბორისტმა იოსებ შატბერაშვილმა საქმე ტენდენციურად, ნარსიას სასარგებლოდ გადაწყვიტა. ეს გასაგებია - ნარსია წინა არჩევნებში ლეიბორისტთა სიაში 22-ე იყო, შარშანდელი არჩევნების დროს კი - მე-7 საფეხურზე აიწია. ჩვენ ვკითხეთ შატბერაშვილს, თუ როგორ მოხდა ეს და როგორ გახდა ნარსია შალვა ნათელაშვილის მრჩეველი. სხვათა შორის, მან პირდაპირ გვიპასუხა, რომ ნარსია აფინანსებდა ლეიბორისტთა საარჩევნო კამპანიას.

სამართლის ძებნის მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში ჩვენ ვგრძნობდით ზეწოლას.

ჩვენ გავიარეთ ვაკე-საბურთალოს, საოლქო, უზენაესი სასამართლოები. შემდეგ საქმე ისევ ვაკე-საბურთალოს სასამართლოში დაბრუნდა, რომელმაც 5 დეკემბერს თემურ კალანდაძე თანამდებობაზე აღადგინა, მაგრამ დაუყოვნებლივ აღდგენაზე უარი უთხრა.

ვინაიდან მთელი ჩვენი კოლექტივი ვმონაწილეობდით ვარდების რევოლუციაში, გვეგონა, სიმართლესაც ვიპოვიდით და სასამართლოს დაუყოვნებლივი აღსრულება თავად კოლექტივმა ვიკისრეთ. გავაღეთ თემურ კალანდაძის ყოფილი კაბინეტი და მივიწვიეთ კანონიერი დირექტორი. ამის თაობაზე შედგენილ წერილს ხელს აწერს 147 თანამშრომელი. ისინი დღესაც აცხადებენ, რომ უფროსად მხოლოდ თემურ კალანდაძე სურთ. აღსანიშნავია, რომ კალანდაძეს ყოველთვის მხარში ედგა კოლექტივი, რასაც ვერ ვიტყვით ნარსიასა და სამეთვალყურეო საბჭოზე.

დღეს საოლქო სასამართლოში ისევ მოხდა კალანდაძის აღდგენის საკითხის განხილვა. კალანდაძის ადვოკატი ავად იყო, მაგრამ თავმჯდომარემ სასამართლო მაინც არ გადადო. ჩვენ - კოლექტივმა, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დავტოვეთ. განაჩენი დღეს უნდა გამოიტანონ. იმედს ვიტოვებთ, რომ სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს, თუმცა ნარსიას შეძლებულობის გამო, ცოტა შეშფოთებულებიც ვართ. რა ვქნათ, დავრწმუნდით, რომ ფული გვებრძვის. ამიტომ, მოვითხოვთ პროკურატურის რევიზიას".

"უწყლო ქალაქის" გასაჭირი

პირველი გვერდიდან

60-70 პროცენტი მაინც სასწრაფო შეცვლას საჭიროებს", - ამბობს "რუსთავწყლის" დირექტორი ბონდო გონგაძე. მისი ინფორმაციით, ავარიულმა შემთხვევებმა მოიმატა და ცენტრალური მილების შეკეთებისთვის სამი სამაშველო ბრიგადა ჰყავთ მობილიზებული.

ცენტრალურ მილებსა და წყლით მომარაგებას "რუსთავწყალი" უზრუნველყოფს, განტოტვილ მილებსა და შიდა გაყვანილობაზე პასუხისმგებელობა კი რუსთავის მერის მერაბ ტყეშელაშვილის მიერ გასულ წელს შექმნილ შპს "რუსთავწყალი 2002"-ს აქვს დაკისრებული. მისი დირექტორის მოსე ალადაშვილის განმარტებით, საწარმოს ძირითად დანიშნულებას შიდა მილების შეცვლა წარმოადგენს. **"ასეა, მაგრამ დღევანდელი დაფინანსებით წარმოუდგენელია ამ სამუშაოების შესრულიბა და ჩვენი საწარმო, ძირითადად, ავარიული მილების გამოცვლითაა დაკავებული,** - ამბობს ბატონი მოსე, - **ასეთი შემთხვევები ქალაქში ძალიან გახშირებულია. ზოგჯერ ისეც ყოფილა, ერთი მილის შეკეთების შემდეგ ის ადგილი მეორე დღეს მუშებს ხელმეორედ ამოუთხრიათ, რადგან მისი "მეზობელი" მილის შეკეთება გამხდარა საჭირო. ამიტომ, სადაც ამის საშიშროებაა, სამუშაოების დამთავრების შემდეგ მილების ჩამარხვას რამდენიმე ხნით ვაყოვნებთ".**

რუსთაველების უმრავლესობისთვის "რუსთავწყალი 2002-ის" შექმნა საცხოვრებელ სახლებში "მრავალტანჯული" მილების შეცვლასთან ასოცირდებოდა, თუმცა - ამაოდ. **"პრივატიზების შემდეგ ბინები მოსახლეობის საერთო საკუთრებად იქცა. მართალია, ჩვენი საწარმოს მოვალეობა მილების შეცვლაა, მაგრამ ხარჯები მოსახლეობამ უნდა აანაზღაუროს. რამდენიმე ბინაში შევცვალეთ და წყლით მომარაგების საკითხი 100 პროცენტით გადაიჭრა; წყალი მეცხრე სართულზეც კი აღწევს",** - ასე ხსნის ვითარებას მოსე ალადაშვილი. ძნელია, მოსახლეობას, რომელიც წყლის გადასახადს სულზე 33 თეთრსაც ვერ იხდის, ამ თანხების გაღება მოსთხოვო. "რუსთავწყალი 2000"-ში კი გვითხრეს, - განტოტვილი მილების შეცვლის ხარჯების 50 პროცენტიც მოსახლეობამ უნდა დაფაროსო.

ფაქტია, ავარიული მილები მოწამვლის საშიშროებას ქმნის. "რუსთავწყლის" დირექტორის განცხადებით, ეს საშიშროება განსაკუთრებით მაშინ იზრდება, როცა სასმელი წყლისა და კანალიზაციის მილების ერთდროული დაზიანება ხდება. ამან, შეიძლება, ადამიანი საიქიოსაც გაისტუმროს. სწორედ ამგვარი საშიშროების არსებობის გამო, გახდა იძულებული ქალაქის ხელისუფლება, მეოცე მიკრორაიონის რამდენიმე კორპუსისთვის წყალი ორი კვირით გადაეკეტა.

საქალაქო საავადმყოფოს ინფექციურ განყოფილებაში დაგვამშვიდეს, - წყლით მოწამვლის ფაქტები რუსთავში არ დაფიქსირებულაო. სანიტარული ზედამხედველობის რუსთავის საქალაქო ინსპაქციის მთავარი ექიმი ნუნუ ხიმშიაშვილიც, ფაქტობრივად, იგივეს ამტკიცებს. **"რუსთავის წყლის დალევა შეიძლება, მას ყოველ დღე ქიმიურ-ბაქტეროლოგიურად ვამოწმებთ,** - აცხადებს იგი, - **განსაკუთრებით ზაფხულში ვფრთხილობთ. რაიმე დარღვევის შენიშვნის შემთხვევაში კი, "რუსთავწყალს" ვატყობინებთ. ასეთი შემთხვევები უყურადღებოდ არ რჩება. ამ მხრივ, ქალაქის მაცხოვრებლებს შეუძლიათ, თავი უსაფრთხოდ იგრძნონ".**

რუსთაველებს კი აღარც ფიცის სწამთ და ბოლოც აღარ აკვირვებთ. **"დილის ცხრა საათზე ავსებულ სათლში თორმეტ საათზე რომ ჩაიხედავ, ძირი ლამით აქვს დაფარული",** - ჩივის ქალბატონი მარინე, რომელიც ქალაქის გარეუბანში მეცხრამეტე მიკრორაიონში ცხოვრობს და მეცხრე სართულზე წყალს ხელით ეზიდება.

მილების სიძველის გამო, წყალს მოსახლეობა მხოლოდ ორი-სამი საათით იღებს, ისიც - დილით, თუმცა მიწოდების არც ზუსტი და არც მიახლოებითი გრაფიკი არ არსებობს. ქალბატონი ლია, როგორც რუსთაველ დიასახლისთა უმრავლესობა, წყლის ონკანს დილის ხუთი საათიდან შესცქერის: **"ჯერ იმის შიში მაქვს, წყალი რომ არ მოვიდეს, მერე იმისი, დიდი წნევით თუ მოვიდა, სადმე მილი არ გახეთქოს და ბოლოს თუ მოვიდა, დროზე უნდა მოვიმარაგო და ონკანი დავკეტო, მეზობლებსაც რომ აუვიდეთ ზემო სართულებზე. ალბათ, არ დაიჯერებთ, მაგრამ იშვიათად ღამის ორ საათზეც ისეთი ძალით მოდის წყალი, ვფიქრობ, - გვეშველა, რაღაც სასიკეთოდ შეიცვალა-მეთქი, - მეორე დღეს კი ყველაფერი ჩვეულებრივად გრძელდება".**

მაღალსართულიან კორპუსებში წყალი, მაქსიმუმ, მეოთხე სართულამდე თუ ადის, ისიც - "ახალი ხილივით", გაზაფხულზე. ბატონმა ბონდომ აღნიშნა, რომ წელს უკვე დაიწყება ცენტრალური მილების შეცვლა, რის შემდეგაც ქალაქი, სავარაუდოდ, სართიჭალის წყლით მომარაგდება. ეს შესაძლებელს გახდის, წყლის მიწოდება ხუთი-ექვსი საათით გაიზარდოს და მაღალ სართულებზეც ავიდეს. მეცხრე სართულზე მცხოვრებნი წინაპართა მეორედ მოსვლას უფრო დაიჯერებენ, ვიდრე ამ უკანასკნელ დაპირებას. თუმცა, იდეა მაინც კარგია, რადგან მდინარე ხრამი სათავეს ჯავახეთის ქედიდან იღებს, აზერბაიჯანისკენ მიედინება და მისი დაქანებული ნაკადის ამოსაქაჩად ელექტროენერგიის დიდი ოდენობაა საჭირო. ჩვენი ელექტროენერგიის ამბავი ყველას კარგად მოეხსენება. პარალელურად, "რუსთავწყალს" ენერგომომმარაგებელთა მიმართ მრავალათასიანი დავალიანება აქვს და, ამ პირობებში, იმის გარანტიას, რომ ქალაქს წყალი ყოველდღიურად, თუნდაც გრაფიკით ექნება, ვერავინ იძლევა.

"უწყლო დღეები", როგორც ტერმინი რუსთავში, დიდი ხანია, დამკვიდრდა. "გაჭირვება მიჩვენე და გაგცევას გიჩვენებო", - ნათქვამია. ქალბატონი მანანა თოდრიას ქუჩის მაცხოვრებელია და ხანდახან იძულებულია, წყლის მოპოვების უცნაურ გზასაც მიმართოს. **"ამათ იმედზე ჩემს მტერს არ ვუსურვებ ყოფნას. როცა უწყლოდ ვრჩები, თბილისში ჩემს ბიძაშვილს ვურეკავ და "მარშუტკას" ატანს ერთ ბიდონ წყალს. გაჭირვებას რა ვუთხარი, თორემ ამათ წყალს რა დამალევინებდა",** - ამბობს იგი.

დარბევა ორხევში

კვირას ორხევში მდებარე ძაღლების თავშესაფარი დაარბიეს. ორმოცდაშვიდივე ძაღლი, რომელიც იქ ცნობილი პიანისტის, რუსუდან ხუნწარიას უშუალო პატრონაჟის ქვეშ ცხოვრობდა, დღეს, შეიძლება, ქუჩაში აღმოჩნდეს. თავშესაფრის ტერიტორიიდან გატანილია ყველა ვოლიერი, მეტალის ყველა კონსტრუქცია, რომლის მოხსნაც განსაკუთრებული ტექნიკის გარეშე იყო შესაძლებელი. "24 საათთან" საუბარში ქალბატონი რუსუდანი მომხდარს იმ ტერიტორიაზე თავშესაფრის არსებობის წინააღმდეგ მიმართულ მორიგ გამოხდომას უწოდებს: **"ეს ტერიტორია თავის დროზე "საქარქფონდმა" გადმოგვცა სარგებლობაში. ეს იყო ფონდის სამეურნეო ტერიტორია, სადაც ზურაბ წერეთლის სახელოსნოს კუთვნილი და სხვა ნივთები ინახებოდა. როგორც ჩანს, არსებობენ ადამიანები, ვისთვისაც აქაურობა ჯართის თვალსაზრისით არის საინტერესო. ამიტომ, ისეთ პირობებს მიქმნიან, რომ აქედან წავიდე. ამ ორი კვირის წინათ ჩამიკეტეს შესასვლელი კარი და იძულებული გავხდი, სამმეტრიან ღობეზე გადავმძვრალიყავი. ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც აქ ხდება. ვოლიერები გერმანიის საელჩოს დახმარებით დავაყენეთ აქ. შაბათს მივედი, ძაღლებს საჭმელი მივუტანე და ყველაფერი ხელუხლებლად იყო. გუშინ მივედი და იქაურობა გაძარცული დამხვდა. მსგავსი რამ არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა".**

24 საათი

რა შეიცვლება სოციალურ სფეროში

საქართველოს მთავრობის "ეროვნული გადარჩენის პროგრამის" სოციალური დაცვის მიმართულება აქცენტს არსებული საპენსიო სისტემის რეფორმირებაზე, მის ეტაპობრივ გადაყვანაზე პენსიის დიფერენცირებულ - დაგროვებით სახეზე, ბაზისური პენსიისა და სოციალური დახმარებების მისამართულობის გაზრდასა და მისი მოცულობის საარსებო მინიმუმთან დაახლოებაზე აკეთებს.

მაკა ჯაიანი

ამისთვის განსაზღვრულია სოციალური დაცვის ჩარჩო კანონის შემუშავება და საპენსიო სისტემის რეფორმირება; სოციალური დაცვის სფეროში სარგებლის მიმღებთა აღრიცხვიანობის სისტემის გამკაცრება, პერსონიფიცირების განხორციელება; მოსახლეობის საბაზისო პენსიის დავალიანებების გასტუმრება, ეტაპობრივი ზრდა და მისი დაახლოება საარსებო მინიმუმთან; ერთიანი სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემის შექმნა და კერძო სოციალური დაზღვევის ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა; ღარიბი და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (შშმპ) ყოფის გაუმჯობესებისკენ და საზოგადოებაში მათი რეინტეგრაციისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება; მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემის განვითარება, დახმარების გაცემა საარსებო მდგომარეობის შეფასების პრინციპით; ზოგადი სოციალური დახმარების გაზრდა საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად.

სოციალური დაცვა დასაქმების გონიერი პოლიტიკის გარეშე წარმოუდგენელია. ამ კუთხით სახელმწიფოს სტრატეგია ქვეყნის მოსახლეობის ადგილზე დასაქმება, დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება და შრომის უსაფრთხოების ამაღლებაა. ეს გულისხმობს: დასაქმების ეროვნული, რეგიონული და სპეციალური პროგრამების შემუშავებას; შრომის ბაზრის შესწავლასა და ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას; უმუშევართა აღრიცხვა-რეგისტრაციასა და მონიტორინგს; უმუშევრის შემწეობის მიმღებ პირთა განსაზღვრა, უმუშევართა შემწეობების ეტაპობრივ ზრდასა და დაახლოებას საარსებო მინიმუმთან; პროფორიენტაციულ საქმიანობას, პროფესიული მომზადება-გადამზადების ორგანიზებასა და მობილური სამუშაო ძალის შექმნას; დასაქმების კერძო სააგენტოების რეგისტრაციასა და მათ საქმიანობაზე ზედამხედველობას; შრომითი მიგრაციის რეგულირებას; საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზებას უმუშევართა დროებითი დასაქმების მიზნით.

იძულებით ადგილნაცვალ პირთა სოციალური დაცვის მიზნით, მთავრობა პირველი რიგის ამოცანად მიიჩნევს დევნილთა ოჯახების ხელახალი, სრულყოფილი ანკეტირების ჩატარებას, რაც აღრიცხვიანობას მოაწესრიგებს და შემწეობების დაუმისამართებელ, არამართლზომიერ განაწილებას აღმოფხვრის. გამოთავისუფლებული თანხებით ნავარაუდევია სოციალურად დაუცველ დევნილთა ოჯახების დახმარების გაზრდა. "მთავრობის ამოცანაა დევნილთა მომზადება დაბრუნების პროცესის უმტკივნეულოდ წარმართვისათვის," - ნათქვამია დოკუმენტში, დაბრუნების პროცესის განხორციელებამდე კი, სახელმწიფოს ამოცანად დევნილთა განსახლების, მათი საცხოვრებელი პირობებისა და დასაქმების მიმართულებებით მუშაობა რჩება.

თბილისის პროკურატურა ნარკოტიკების წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

ფიქრობს.

რატომ გახდა აღნიშნული პრობლემა მაინცდამაინც დღეს აქტუალური დედაქალაქის პროკურორისთვის და შეიძლება თუ არა იგი ქალაქის პროკურატურისა და პოლიციის უკვე ღია დაპირისპირებად შეფასდეს, ზუსტად ამის თქმა, ალბათ, გაგვიჭირდება, თუმაც თავად გრიგალაშვილი საკუთარი აღშფოთების მიზეზს და პოლიციის მუშაობით უკმაყოფილებას ასე ხსნის:

"პოლიციის მიერ ამ მიმართებით გაწეული მუშაობა არაეფექტურია, არასაკმარისია და შექმნილი რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას", - განაცხადა თბილისის პროკურორმა და ნათქვამის დასამტკიცებლად სტატისტიკა მოიშველია.

გრიგალაშვილის ინფორმაციით, 2003 წლის პირველ კვარტალში თუ სასამართლოში 101 ნარკოდანაშაულის საქმე წარიმართა, 2004 წლის იმავე პერიოდში თბილისის საგამოძიებო ორგანოების მიერ 61 პირის მიმართ სულ 57 ნარკოდანაშაული იქნა გამოძიებული და სასამართლოში გადაგზავნილი.

პროკურორის განცხადებით, დასახელებული 57 საქმიდან 31 სისხლის სამართლის საქმე აღძრული იყო ე.წ. "ყაყაჩოს თესლის" აღმოჩენის ფაქტზე, რის გამოც პასუხისმგებლობა დაეკისრათ იმ პირებს, რომლებიც ყაყაჩოს თესლის რეალიზაციას მის აკრძალვამდე ეწეოდნენ. მართალია, პროკურორის თქმით, პოლიციამ მიიჩნია, რომ ეს პირები ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზატორები იყვნენ, მაგრამ თავად სხვაგვარად ფიქრობს: **"ეს არ შეიძლება ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის ფაქტად ჩაითვალოს"**, - ასეთია გრიგალაშვილის დღევანდელი შეფასება. არადა, საგამოძიებო ორგანოების მიერ გამოძიებულ ყველა საქმეს სასამართლოში გადასაცემად პროკურატურა ამტკიცებს და

ლევან ნორჩალაძის ფოტო

ქალაქის პროკურორი ნარკორეალიზატორების წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება.

თუ აღნიშნულ საქმეებში მართლაც ჰქონდა ადგილი რაიმე კანონდარღვევას, მაშინ პასუხისმგებლობა, პოლიციასთან ერთად, პროკურატურასაც უნდა დაეკისროს; თუმცა ამ საკითხზე გუშინდელ პრესკონფერენციაზე აქცენტი არ გაკეთებულა.

არ შეიძლება ვალერი გრიგალაშვილს არ დაეთანხმო იმაში, რომ პოლიციას განსაკუთრებით უჭირს თუ არ სურს იმ მსხვილი ნარკორეალიზატორების გამოვლენა, რომლებსაც ნარკოტიკული ნივთიერებით ვაჭრობა წლების მანძილზე ხელობად აქვთ ქცეული, მაგრამ დღემდე ხელშეუხებლობის გარანტიით სარგებლობენ და, ფაქტობრივად, არც ერთ მათგანს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია.

"ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზატორთა გამოვლენას ხელს უშლის ისიც, რომ ე.წ. "ნარკობარიგები" ჯერ კიდევ უშუალო დანაშაულებრივ კავშირში იმყოფებიან ზოგიერთ უღირს პოლიციელთან და თანამდებობის პირებთან", - ამბობს ქალაქის პროკურორი და უახლოეს მომავალში თავად აპირებს თბილისელი "ნარკობარიგების" წინააღმდეგ სპეცოპერაციის" ჩატარებას. სხვათა შორის, რამდენიმე მსხვილ ნარკორეალიზატორზე ინფორმაციები ქალაქის პროკურატურაში უკვე გააჩნიათ, თუმცა გასაგები მიზეზის გამო ამ ეტაპზე პროკურორი მათი დასახელებისგან თავს იკავებს.

სამაგიეროდ, ვალერი გრიგალაშვილმა ნარკობიზნესის წინააღმდეგ ქალაქის პოლიციის მუშაობის უსუსურობის დასამტკიცებლად ჟურნალისტებს კიდევ ორი ფაქტი დაუსახელა: **"ერთ შემთხვევაში ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციის ფაქტად დაფიქსირდა ცოლის მიერ ქმრისთვის ნარკოტიკული ნივთიერების გადაცემა (ორივე მათგანი დაპატიმრებულია), ხოლო მეორე შემთხვევაში - ექიმის მიერ ავადმყოფისათვის ნარკოტიკის არადანიშნულებისამებრ გადაცემა"**, - ამბობს პროკურორი, რომელმაც კარგად იცის, რომ თბილისში ნარკოტიკული ნივთიერება შემოდის როგორც წითელი ხიდიდან და ორჯონიკიძიდან, ასევე აჭარის გავლით - საფრანგეთიდან და გერმანიიდან. ევროპიდან საქართველოში ახალი ნარკოტიკული საშუალებები - ტერპიკოდი და სუბოტექსი შემოდის. ისინი, ძირითადად, ღამის ბარებში იყიდება.

ერთი სიტყვით, ქალაქის პროკურატურა ნარკორეალიზატორებთან ბრძოლისათვის აქტიურად ემზადება და შედეგს უახლოეს მომავალში გვპირდება.

"ჩვენ გავაჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ზოგიერთი თანამდებობის პირი არა მხოლოდ მფარველობს ამ ბიზნესს, არამედ თავად არის ნარკოტიკის უშუალო მომხმარებელი; ამიტომ ქალაქის პროკურატურა იძულებულია, თავის თავზე აიღოს მისთვის უჩვეულო ფუნქცია და ნარკოტიკების გამსაღებლების წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატაროს. თბილისი უნდა გახდეს ქალაქი ნარკოტიკების გარეშე. ქალაქის პროკურატურა კანონით მინიჭებულ ყველა საშუალებას გამოიყენებს, რომ ეს ასე იყოს", - ცოტა არ იყოს დაუჯერებელ დაპირებას იძლევა თბილისის პროკურორი.

ქალაქის პროკურორის შეხედულებას ქვეყანაში ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის არასათანადოდ მიმდინარეობის თაობაზე გამოეხმაურა შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე.

"საჭიროა მეტი ძალისხმევა და მონდომება, რომ ქვეყანაში ნარკომანიის პრობლემა აღმოიფხვრას. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ერთობლივი ძალი-

ჯარისკაცის ცემაში მონაწილეთა ვინაობა დგინდება

გუშინ ფოთი-თბილისის საავტომობილო მაგისტრალი დაბა ყულევში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის რიგითი ჯარისკაცის ბესიკ კოკაის ახლობლებს ჰქონდათ გადაკეტილი. გზატკეცილზე შეკრებილები პროკურატურას ბრალდებებს უყენებდნენ და გულგრილობასა და უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ. მათი მტკიცებით, პროკურატურამ უყურადღებოდ დატოვა ჯარისკაცის ცემის ფაქტი და მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

საქმე ისაა, რომ ხუთი დღის წინ დაბა ყულევში დისლოცირებულ სამხედრო ნაწილში მომსახურე ჯარისკაცი ბესიკ კოკაია სამხედროებმა სასტიკად სცემეს. ნაცემი ჯარისკაცი ხეზე მიაბეს და სამხედრო ნაწილში დაბრუნდნენ. ნაცემი და ხეზე მიბმული კოკაია შემთხვევითმა გამვლელებმა ნახეს და უგონო მდგომარეობაში მყოფი ფოთის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

ამ ეტაპზე ჩვენთვის ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ კოკაია დაახლოებით ათამდე ჯარისკაცმა დაუნდობლად სცემა. მომხდარის მიზეზები და დეტალები, ჯერჯერობით, არ ხმაურდება.

ის, რომ ჯარისკაცების ცხოვრებაში მსგავსი ფაქტები იშვიათი არ გახლავთ, ყველასათვის ცნობილია. ისიც არ არის ახალი, რომ მსგავსი შემთხვევები არ ხმაურდება და დამნაშავეებიც დაუსჯელები რჩებიან. სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მომხდარი ინციდენტები კვლავ ამ ინციდენტში მონაწილე ჯარისკაცების ახლობლების აქციებითა და პროკურატურის მიმართ გამოთქმული ბრალდებებით ხმაურდება. ამ შემთხვევაშიც ბესიკ კოკაიას ახლობლებმა, როგორც თავად აცხადებენ, პროკურატურის ყურადღება მხოლოდ აქციის გამართვისა და გზის გადაკეტვის შემდეგ დაიმსახურეს.

"მანამდე ჩვენთან არავინ მოსულა და არც ცემის ფაქტით დაინტერესებულა ვინმე", - აცხადებენ ბესიკ კოკაიას ახლობლები. ექიმების თქმით კი, ფოთის ჰოსპიტალში მყოფი ბესიკ კოკაიას ჯანმრთელობის მდგომარობა კვლავ მძიმეა.

მთავარი სამხედრო პროკურორი პაატა ჯახუტაშვილი კატეგორიულად უარყოფს დაბა ყულევში დისლოცირებული სამხედრო ნაწილის რიგითის - ბესიკ კოკაიას ოჯახის წევრების ბრალდებას, რომ კოკაიას ცემის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. როგორც მთავარი სამხედრო პროკურორი აცხადებს, ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე სოხუმის (დევნილი) სამხედრო პროკურატურაში შესაბამისი შეტყობინების შესვლისთანავე აღიძრა და გამოძიება უახლოეს ხანში დასრულდება.

"მომხდართან დაკავშირებით საქმის კურსში ვარ. კოკაიას ცემის ფქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე დროულად აღიძრა. დაზარალებულმა თავდაპირველად გამომძიებელს ჩვენება არ მისცა. საქმეს სოხუმის რეგიონის სამხედრო პროკურატურა აწარმოებს. მომხდარის მიზეზები და ინციდენტში მონაწილეთა ვინაობა დგინდება. მე უკვე გავეცი მითითება - უმკაცრესად დაისაჯოს ყველა ის სამხედრო მოსამსახურე, ვინც ბესიკ კოკაიას ცემაში მონაწილეობდა", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გენერალური პროკურორის მოადგილემ, მთავარმა სამხედრო პროკურორმა პაატა ჯახუტაშვილმა.

24 საათი

მოწმეთა დაკითხვა გრძელდება

საოლქო სასამართლოში გამართულ გიორგი სანაიას მკვლელობაში მსჯავრდებულის გრიგოლ ხურცილავას განახლებულ სასამართლო პროცესზე გუშინ დიდი ხნის განმავლობაში იკითხებოდა სანაიას მკვლელობის საქმის გამომძიებელი სოსო ლიპარტია. მას საქმესთან დაკავშირებულ კითხვებს არა მხოლოდ მოსამართლე და გრიგოლ ხურცილავას ინტერესების დამცველი ადვოკატი უსვამდნენ, არამედ გამომძიებელს დაზარალებულის - გიორგი სანაიას მეუღლის ხათუნა ჩხაიძის მიერ დასმულ კონკრეტულ კითხვებზეც უწევდა პასუხების გაცემა. შეგახსენებთ, ხათუნა ჩხაიძე გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე არც ერთ სასამართლო სხდომას არ დასწრებია (პროტესტისა და უნდობლობის მოტივით). ის პროცესში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ჩაერთო. **"ხელისუფლების შეცვლასთან ერთად, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის იმედი მომეცა, ამიტომ გადავწყვიტე, მონაწილეობა მივიღო სასამართლო პროცესებში"**, - ასეთი გახლდათ მოკლულის მეუღლის არგუმენტი.

ხათუნა ჩხაიძის მხრიდან გიორგი სანაიას საქმის გამომძიებლის მისამართით დასმული მრავალი კითხვის პასუხი გუშინ ერთი და იმავე შინაარსის გახლდათ: **"გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის გამოძიება ობიექტურად, ყველანაირი წესისა და ნორმის დაცვით ჩატარდა"**, - ასეთ მოკლე პასუხს იძლეოდა დასმულ კითხვებზე საქმის გამომძიებელი. რატომ არ გაიზიარა და არ მიიღო მან მტკიცებულებად ნათელა ქართველიშვილის ჩვენება, რომელიც გამოძიების ვერსიას ეწინააღმდეგებოდა, პასუხი ასევე მოკლე და კონკრეტული იყო - **"ქართველიშვილის ჩვენება გამოძიების მიერ გასაზიარებელი არ იყო და არც გავიზიარე"**.

ერთი სიტყვით, დაზარალებული გუშინ კვლავ გამოძიების მიერ განეკუთვნება და სასჯელიც დაკავებულს მძიმე ელის - 8-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. გიორგი ბარამიძის თქმით, ელიოსიძე უარყოფს მისთვის აღმოჩენილი ნარკოტიკების შენახვას მათი შეგნებულად თუ შეუგნებლად დაშვებულ შეცდომებსა და დანაშაულზე საუბრობდა, რასაც გამომძიებელი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა.

გუშინდელ სასამართლო პროცესზე პარლამენტარი ელენე თევდორაძეც უნდა დაკითხულიყო, თუმცა გაურკვეველი მიზეზის გამო ის საოლქო სასამართლოში ხელმეორედ ჩვენების მისაცემად არ გამოცხადებულა.

პროცესზე დაიკითხა უშიშროების საბჭოს მდივნის ყოფილი მოადგილე რუსუდან ბერიძე. მისი გუშინდელი ჩვენება გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში დაკითხვისას მიცემული ჩვენების იდენტური აღმოჩნდა. რუსუდან ბერიძემ დაადასტურა გრიგოლ ხურცილავას განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ დაკავების მეორე დღეს, საგამოძიებო ოპერაციის - დაკითხვის ჩატარებამდე საპყრობილეში შეხვედრისას, ხურცილავამ მას მკვლელობის მოტივი დაუსახელა.

"იმ პერიოდში, როცა ხურცილავა დაუპატიმრეს, გავრცელდა ხმები, რომ საპყრობილეში მას პატიმრებისგან საფრთხე ემუქრებოდა. მასთან ამის გამო მივედი. ხურცილავამ თვითონ გადაწყვიტა მკვლელობის შესახებ საუბარი და დეტალურად მომიყვა იმ ღამის ამბები. მე ხურცილავა ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელ ადამიანად მომეჩვენა," - ასეთი იყო რუსუდან ბერიძის ხანმოკლე ჩვენება.

ერთი სიტყვით, საოლქო სასამართლოში გიორგი სანაიას მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული მოწმეების დაკითხვა გრძელდება და, სავარაუდოდ, ეს პროცესი დიდხანს გასტანს, თუმცა ჯერ კიდევ პასუხგაუცემელია უამრავი კითხვა, რომელიც გიორგი სანაიას მკვლელობას უკავშირდება და რომლის გამომჟღავნების იმედიც დაზარალებულს აქვს.

24 საათი

მინისტრი პოლიციის მიღწევებს ამზეურებს

საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების სათავეებში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოსული პირველი პირები თავიანთ უწყებათა მუშაობის სრულ გამჭვირვალობას, მართალია, გვპირდებოდნენ, თუმცა, ცხადია, არავინ ელოდა, რომ პოლიციის მიერ ჩატარებული თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ოპერაციის შესახებ თავად შინაგან საქმეთა მინისტრისგან მივიღებდით ინფორმაციას.

ბესო ბალაკაძის ფოტო

ბარამიძე შს სამინისტროს ულირსი კადრებისგან გაწმენდას აგრძელებს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ ჟურნალისტებთან ურთიერთობის სრულიად ახალი სტილი დანერგა და თუ ყოველდღიურად ვერა, საკმაოდ ხშირად მაინც უკითხავს მათ ეგრეთ წოდებულ "პოლიციურ კრეპსს", ანუ ამა თუ იმ კონკრეტულ დღეს მომხდარ თუ გახსნილ დანაშაულთა და პოლიციელთა მიერ გატარებულ ღონისძიებათა ნუსხას, რომელსაც მანამდე გაზეთების რედაქციები თუ ტელეკომპანიები ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით იღებდნენ ხოლმე. შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინდელ ბრიფინგზეც პოლიციის მორიგი მიღწევები გამოამზეურა. კერძოდ, 18 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს თბილისის პოლიციის სამმართველოს კორუფციასა და ეკონომიკურ დანაშაულთან მებრძოლი განყოფილების ყოფილი ინსპექტორი, ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების განკარგულებაში მყოფი, პოლიციის ლეიტენანტი, 28 წლის სარდიონ ელიოსიძე. დაკავების ოპერაცია თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩაზე ჩატარდა. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ნარკოტიკული ნივთიერება - ერთი აბი "სუბიტექსი" და 1310 აშშ დოლარი. ელოისიძის მანქანის ჩხრეკა უფრო შედეგიანი აღმოჩნდა - იქ პოლიციამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკი - 6 გრამი ანუ 14 აბი "სუბიტექსი" აღმოაჩინა. პოლიციელებმა კვირასვე გაჩხრიკეს ყოფილი კოლეგის ბინა და იქ 7 გრამ იმავე დასახელების ნარკოტიკს მიაგნეს. მინისტრის თქმით, სარდიონ ელიოსიძისთვის აღმოჩენილი ნარკოტიკების საერთო რაოდენობა - 8,4 გრამი "სუბიტექსი" - განსაკუთრებით დიდ ოდენობას რეალიზაციის მიზნით და ამბობს, რომ თავად არის ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი. მან ასევე აღიარა, რომ დაკავების მომენტშიც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იყო.

ელიოსიძის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურა იძიებს.

სხვათა შორის ასევე სუბიტექსის რეალიზაციას ეხება მინისტრის მიერ დასახელებული მეორე ფაქტი; კერძოდ, პოლიციამ 17 აპრილს, საწყალოსნო კომპლექს "ლაგუნა-ვერეს" მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევ ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად დააკავეს ვინმე კარლო ქეცბაია, რომელსაც პირადი ჩხრეკისას 7 აბი "სუბიტექსი" აღმოაჩნდა, უკვე ბინის ჩხრეკისას კი პოლიციამ 42 აბს მიაგნო. კარლო ქეცბაიამ აღიარა, რომ ნარკოტიკები მან გერმანიიდან ჩამოიტანა სარეალიზაციოდ. ზემოთ დასახელებულ ორ ფაქტს შორის, სავარაუდოდ, გარკვეული კავშირი უნდა არსებობდეს, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს.

გუშინდელ ბრიფინგზე გიორგი ბარამიძე პანკისის ხეობასაც შეეხო, მისი ნაამბობის თანახმად, გუშინ, დილით, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე პანკისის ხეობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა იარაღის სამალავი აღმოაჩინეს.

როგორც მინისტრმა განაცხადა, სამალავიდან ამოღებულია სხვადასხვა სახის იარაღი, დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი მოწყობილობები, კერძოდ, "აკს" სისტემის 5 ერთეული ავტომატი, 1 ერთეული "მუხა", ღამის ხედვის ხელსაწყო, 40 ერთეული ავტომატის მჭიდი, 7 ხელყუმბარა "ფ-1" და ერთი ხელყუმბარა "რგდ".

გარდა ამისა, მინისტრის განცხადებით, 17 აპრილს, პანკისის ხეობის სოფელ დუისში, პოლიციელებმა სპეცოპერაცია ჩაატარეს და ყაჩაღობისა და მკვლელობისთვის ძებნილი ელიზბარ ხანგოშვილი დააკავეს, თუმცა სპეცოპერაციის მიმდინარეობისას ხანგოშვილმა სამართალდამცველებს წინააღმდეეგობა გაუწია, რის გამოც ბორტმოქმედი ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით თავში დაჭრეს. ის თბილისში გადმოყვანისას გარდაიცვალა.

ბარამიძის მონაცემებით, ამ ეტაპზე პანკისში კონტროლირებადი ვითარებაა, თუმცა იქ ჯერ კიდევ არის დარჩენილი იარაღი, რომლის მოძიებაცა და ამოღებაც, მინისტრის თქმით, კვლავ გაგრძელდება.

24 საათი

აფინანსებს ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო", პროექტს ახორციელებს გაზეთი "24 საათი"

თბილისის 67-ე საშუალო სკოლის VIII კლასის მოსწავლეების წერილები მთავრობას

ნათია მეფარიშვილი

მე თხოვნით მივმართავ ქალაქის მთავრობას, რომ მიხედოს უპატრონო ბაღებს, რომლებიც ჯერ ერთი, ქალაქს აბინძურებენ და მეორე, ქალაქში გავლა ზოგჯერ საშიშია, რადგან ძაღლები მომრავლდა. მაგალითად, ჩემი ახლობლის კართან ყოველთვის არიან უპატრონო ძაღლები, რომლებიც ათასგვარ ბაქტერიებს ყრიან და იქ მცხოვრებ ხალხს სახლში შესვლასაც უშლიან. მე გთხოვთ, რომ მიხედოთ მათ და ქალაქში შეიქმნას უპატრონო ძაღლების თავშესაფარი.

ჯიმშიაშვილი ანა

არავისთვის არის საიდუმლო, რომ დღევანდელ საქართველოში ბევრი პრობლემაა.

ერთ-ერთი მათგანია ქალაქში დაყრილი ნაგავია. საარჩევნო პლაკატები კი ან არ გააკრან, ან დროულად ჩამოხსნან.

მე ვთხოვ შესაბამის უწყებას, რომ მიიღონ ზომები. აგრეთვე, ქალაქის ქუჩებში ხშირი იყოს პატარა ურნები. ურნები აუცილებლად უნდა იყოს ხალხმრავალ ადგილებში, მაგალითად ზოოპარკში.

სისუფთავის დასაცავად ქალაქში პირველი ნაბიჯი ხელისუფლებამ უნდა გადადგას და მერე ხალხიც სერიოზულობით მოეკიდება ამას.

მამია ტოროშელიძე

წერილი ბატონ მერს

ბატონო მერო, მე ვცხოვრობ ვარკეთილში, ვარკეთილის მთავარ გზებზე რომ არაფერი ვთქვათ, შიდა ქუჩები, სულ დამტვრეულია, ქუჩებს ღამე ლამპიონები არ ანათებს, დანაგვიანებულია ეზოები, ქუჩები, შედარებით ძველი სახლები დაზიანებულია და შეკეთებას საჭიროებს, ყველა კორპუსის სახურავი დაზიანებულია და შესაკეთებელი,. ხოლო მე-3 მასივის შედარებით შიდა უბნებში, თუკი შუქნიშნებს გზაჯვარედინებზე გააკეთებდნენ, უმჯობესი იქნება, რადგან რამდენიმე შემთხვევა მოხდა, როცა ავტომანქანები ერთმანეთს დაეჯახნენ და ძალიან ცუდი შედეგით დასრულდა.

სტეფანე ავეტისოვი

ქალაქის მერს!

ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებს ფიზკულტურის დარბაზში არ გაგვაჩნია წესიერი ბურთები. გვაქვს ბურთები, მგრამ ისინი ხშირად იხევა და წესიერად ვერ ვთამაშობთ. გთხოვთ, სკოლები მოამარაგოთ სპორტული ინვენტარით. ჩვენ მოზარდები ვართ, ყველა ვერ დავდივართ ფასიან სექციებში და ფიზკულტურის გაკვეთილი ჩვენი სპორტული ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია.

მედეა ორაგველიძე

რუსთავის გზატკეცილზე ტყე-პარკია. იქ ოცამდე ჯიხური იდგა. ამ გზით მე ყოველდღე სკოლაში დავდივარ, ერთხელ ჩვენი "მარშრუტკაც" გაჩერდა სხვა მანქანებივით - ხალხი ტიროდა, რადგან მათ საარსებო წყარო წაართვეს...

მეორე დღეს იქ არც ერთი ჯიხური აღარ იდგა, ჩემი აზრით, ხელისუფლებას ჯერ მათთვის სხვა ადგილი უნდა გამოეყო, სამუშაოდ და მერე აეღოთ ჯიხურები. ქალაქში ისედაც ამდენი მათხოვარია. მე ვთხოვ მთავრობას, რომ ეს ადამიანები დაასაქმოს და ასე უსახსროდ არ დატოვოს.

გიორგი ცუხაშვილი

ბატონო პრეზიდენტო!

მე ვარ ქ. თბილისის №67 საშუალო სკოლის მე-8ა კლასის მოსწავლე. მე მინდა, რომ საქართველო იყოს ძლიერი და ერთიანი. ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი, სამაჩაბლო და შეიძლება, რომ აჭარაც დავკარგოთ. ძალიან გთხოვთ, რომ მიიღოთ გადამჭრელი ზომები და საქართველო გააერთიანოთ და გაამთლიანოთ.

ნინო ბიწაძე

თბილისის მერს

მე-8ა კლასის მოსწავლე მოგმართავთ თხოვნით, რომელიც ძალიან მაწუხებს. ეს არის ჩემი ქალაქის ბედი. ვცხოვრობ ძველ უბანში. როდესაც სკოლაში მივდივარ, ვხედავ ქუჩაში მრავალ ნაგავსაყრელს. ეს იმით არის გამოწვეული, რომ არ დადის ნაგვის მანქანა. ხალხს შორი მანძილიდან უხდება ნაგვის ჩამოტანა ბუნკერამდე. ვისაც არ შეუძლია, ქუჩაში ყრის. გაჩენილია უამრავი ბუზი და მღრღნელი, რომელიც ავადმყოფობის საწყისია. იმედია, ჩემს თხოვნას შეასრულებთ და გაასუფთავებთ ქუჩებს.

ჩემი დიდი თხოვნა იქნება, რომ მდინარეები გაასუფთაონ, მაგალითად, მტკვარი სულ დაბინძურებულია ნაგვით და ბევრი სხვა რამითაც. კანალიზაცია გაიყვანონ თბილისის გარეთ და იქით ჩაუშვან მტკვარში.

მარცა ავრელიანაშვილი, ფოტოები

ნინო ფერაძე

ქალაქის მერს

67-ე სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე გთხოვთ მიხედოთ მიწისძვრით დაზარალებულ სახლებს, რათა საფრთხე არ შეექმნათ გამვლელებს. ამას წინათ, აღმაშენებლის ქუჩაზე ჩამოვარდნილი ლოდის გამო დაიღუპა ადამიანი. ასეთი შემთხვევები რომ არ მოხდეს, გთხოვთ, შეაკეთოთ ისეთი სახლები, რომელიც მსუბუქი მანქანის გავლისას ზანზარებს. ასეთი სახლია ჩემიც და სხვა სახლებიც. მუდმივად შიშში ცხოვრება შეუძლებელია.

რეზო შანშიაშვილი

ბატონო მერო!

ვსწავლობ ქ. თბილისის 67-ე საშუალო სკოლის მე-8ა კლასში, მოგმართავთ თხოვნით, რომ მიხედოთ ჩვენს ქალაქს, ჩემი სკოლა და ჩემი სახლი მდებარეობს მერიასთან ახლოს, ჩვენი უბნის ბავშვები გულდაწყვეტილები ვართ, რადგან სათამაშო ადგილი არ გვაქვს. ძალიან დიდ მადლობას მოგახსენებთ იმიტომ, რომ ქალაქი გაათავისუფლეთ გარემოვაჭრეებისაგან.

ბატონო მერო, ძალიან გთხოვთ პუშკინის ნომერ 17-ში ჩამონგრეულ სახლსაც მიხედოთ, როდესაც ამ სახლს ჩავუვლი, საშინელი გრძნობა მეუფლება და ასე მგონია ჩემი სკოლის შენობასაც იგივე ელის. ჩემი სკოლის შენობას სჭირდება რემონტი. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი თხოვნა.

სალომე ჭანჭალეიშვილი

67-ე საშუალო სკოლის მე-8ა კლასის მოწაფე სალომე ჭანჭალეიშვილი გთხოვთ, მიხედოთ გაჭირვებულ უპატრონო ბავშვებს და პენსიონერებს პენსია გადაუხადოთ, უპატრონო ცოფიან ძაღლებს მოუაროთ და უპატრონოთ, თორემ იკბინებიან და მარტო მე არ ვფიქრობ ასე. მეტროში არის ქურდობა, ყაჩაღობაა სახლებში და სხვა.

ლიკა გამრეკელი

მინდა ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და თქვენი ყურადღება მივაპყრო საქართველოში არსებულ ერთ-ერთ და ჩემი აზრით, უმთავრეს პრობლემას, რასაც მოზარდთა მომავალი ჰქვია.

ადამიანი უნდა ირჩევდეს პროფესიას მისწრაფებისამებრ, რომ გამოვიდეს სპეციალისტი. ჩვენი თაობისთვის ეს შეუძლებელია, ახლავე არსებობს ბავშვების დაყოფა. არის მოზარდთა ნაწილი, რომელიც განათლების მისაღებად საზღვარგარეთ მიემგზავრება და არის ბავშვების ის ფენა, რომელსაც ელემენტარულად წიგნის ყიდვის საშუალება არა აქვს. მე უკვე ვფიქრობ, თუ რა პროფესია ავირჩიო, რომ ვირჩინო საკუთარი თავი მაინც, ოჯახზე აღარ ვლაპარაკობ. ქვეყანაში ისეთი პრობლემებია, რომ მოზარდები მომავალს ვერ ხედავენ. ეს ქვეყნის სირცხვილია. მაპატიეთ, რომ ასე მკაცრად ვმსჯელობ, მაგრამ ეს ჩემი აზრი და გულისტკივილია.

სოფიკო ჩიტაშვილი.

ქალაქი ჭორებმა მოიცვა , რომ ბატონი კახა ლომაია აპირებს სასკოლო პროგრამაში ქართულისა და ისტორიის შემცირებას მომავალი წლიდან და ახალი საგნის, სექსოლოგიის შემოღებას.

ჩემი და ჩემი თანატოლების აზრით, ეს სრული აბსურდია. მიგვაჩნია, რომ უკეთესი იქნება მშობლიური ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება კიდევ უფრო რომ გაძლიერდეს. მივმართავ ბატონ კახა ლომაიას კითხვით, მართალია, რასაც ავი ენები ამბობენ?

რაც შეეხება სექსოლოგიის შემოღებას, ქართველებს არასოდეს დაჭირვებიათ სწავლება და ახლაც მამაპაპისეული ცოდნით გავიტანთ თავს.

მარიამ ცანკაშვილი

განათლების მინისტრს

კანონის, ჩვენი უფლებების ცოდნა, ალბათ, არასოდეს ისე ძლიერად არ დაგვჭირვებია, როგორც დღეს. ჩვენს ქვეყანაში დღევანდელ პირობებში კანონი არ მოქმედებს, ხალხი გაურკვეველ მდგომარეობაშია, სახელმწიფოს სტრუქტურა ჩამოუყალიბებელია, ჩვენ, ბავშვებმა არ ვიცით ჩვენი უფლებების შესახებ. ის, რაც შეიძლება შეისწავლო დღეს, გვიანი იქნება ხვალ, რადგან ცოდნას საფუძველი ყრმობის ასაკიდან უნდა ჩაეყაროს. ამიტომ მე მივესალმები იმ ფაქტს, რომ სკოლაში ახალი საგანი "კანონიერების კულტურა" შემოიღეს. კანონიერების გაკვეთილზე ჩვენ თავისუფლად ვმსჯელობთ ჩვენს უფლებებზე, სახელმწიფოში არსებულ კანონებზე. ყველა ეროვნების ხალხს თავისი კულტურიდან გამომდინარე აქვს განსხვავებული კანონები, რომელიც მიუღებელია სხვა სახელმწიფოსთვის. კანონიერების კულტურა ისწავლება თბილისის ზოგიერთ სკოლაში და კარგი იქნებოდა, რომ საქართველოს .ყველა სკოლაში ისწავლონ.

აკაკი ელბაქიძე

დღევანდელ საქართველოში რაც ყველაზე მეტად სჭირდება ქართველ ხალხს, ეს მართალი სიტყვა გახლავთ. მე მივესალმები იმ მოსაზრებას, რომ კანონიერების კულტურას ეცნობოდეს ყველა ჩვენთაგანი, დიდი თუ პატარა. მაშინ. როდესაც ქვეყანაში კანონი უზენაესია, სახელმწიფო ძლიერი და წელგამართულია.

ალბათ, არავის დავიწყებია 2001 წლის 26 ივნისი, ამ ავბედითმა დღემ ქართველ ხალხს დიდი დაღი დაასვა. სწორედ რომ უკანონობის თარეშმა შეიწირა, განათლებული, მისაბაძი ქართველი გიორგი სანაია, ძალიან ძნელია წერო, ისაუბრო, იფიქრო მასზე, როდესაც ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი სახე აქვს, მოგონებები და მხოლოდ მოგონებები. ეს არის ტკივილი, რომელიც არ განელდება, დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

დამკვეთი ძალიან ძლიერი აღმოჩნდა, სიცოცხლე და სიმართლე ისე ჩაკლა, რომ ტრაგედია საზოგადოების გულისტკივილს და არასწორ ვერსიებზე მუშაობას ვერ გასცდა. გამოძიებამ დასაჯა კი ის, ვინც მართლაც დასასჯელი იყო?! თუ არიან ჯალათები, ვინც ხურცილავას ზურგს არიან ამოფარებულები და თავს ბედნიერად და უსაფრთხოდ გრძნობენ.

მართალია, ღვთის მოშიში ვარ და განკითხვა დიდი ცოდვაა, მაგრამ ჩემი აზრით, ეს კარგად ორგანიზებული, საშინელი ტრაგედიაა, ყოფილი ხელისუფლების ბინძური აზრებითა და შემსრულებლის ბინძური ხელებით შეთითხნილი. ამ სხვადასხვა ვერსიების დამუშავებაში, ხომ ხალხის მომხდართან შეგუებაც გამოითვალა. უთქვამთ "დრო ყველაფრის მკურნალიაო", მაგრამ ტკივილი ტკივილად დარჩება. მე მინდა ვთხოვო საქართველოს გენერალურ პროკურორს ბატონ ირაკლი ოქრუაშვილს, რომ გამოძიებამ გაარკვიოს სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, რომ არავინ არავის ზურგს არ ამოეფაროს და ნამდვილი დამნაშავე მართლაც ფარდის მიღმა არ დარჩეს.

დღესდღეობით, ვარდების რევოლუციის შემდეგ, მრავალი ბოროტმოქმედი იქნა დაკავებული და დიდი იმედი მაქვს, რომ საქართველოში კანონზომიერება იზეიმებს და უკანონობას არ შეეწირება ქართველი ერი.

პროგრამა " კანონიერების კულტურა" საქართველოს განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით მიმდინარეობს.

დაგვირეკეთ: 20-24-24 ; ელ. ფოსტა: dkuprava@24hours.ge
მოგვწერეთ: თბილისი ვაჟა ფშაველას 45, გაზეთი "24 საათი" - დალი კუპრავა

შემდეგი გვერდი გამოვა 4 მაისს

www.24hours.ge 24 B

"ანთებული სანთლით" საინგილოში

A1 გვერდიდან

ინგილოური ქართული ენის დიალექტია

სტატისტიკა: აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკური სამმართველოს 1999 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 14 ათას ცხრაასი ქართველი ცხოვრობს. მათ შორის, ისტორიული საინგილოს ტერიტორიაზე, კახის რაიონში - 7 ათას ოთხას ორმოცდაათი, ზაქათალის რაიონში - სამი ათას სამოცდაათი, ბელაქნის რაიონში კი - ათას შვიდას ოთხმოცდაერთი. კახის რაიონი დასახლებულია ქრისტიანული აღმსარებლობის ქართველებით, ბელაქნისა და ზაქათალის რაიონებში კი, ძირითადად, მუსულმანი ქართველობა ცხოვრობს. შესაბამისად, კახის რაიონში მოსახლეობა ქართულ სახელსა და გვარს ატარებს, ხოლო ზაქათალასა და ბელაქანში, მცირე გამონაკლისის გარდა, ძირითადად - აზერბაიჯანულ სახელსა და გვარს.

კახინგილოს ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეებს ჰქვიათ: ბერდია, ნოშრევანი, ლევანი, ნინო, ნათელა; გვარებიც... მათ ხმადაბალ საუბარს მასწავლებელი იმით ხსნის, რომ ერიდებათ თავიანთი კუთხური (ინგილოური) დიალექტის გამო. ბოლო ხანებში ტელევიზია "იმედის" გადაცემების იმედი აქვთ, რომელსაც დაუბრკოლებლად იღებენ, ტელესერიალ "კლონს" კი კახის დიდ-პატარა უყურებს.

კახინგილოს მასწავლებლების და მოსწავლეების თხოვნაა "იმედმა" ქართული ფილმები აჩვენოს. **"ეს ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იქნება, განსაკუთრებით, ქართული ლიტერატურის ეკრანიზაციები და ისტორიული ფილმები,"** - ამბობენ ინგილოები.

კახში წმინდა გიორგის მოქმედი ეკლესიაა და საპატრიარქოს მიერ გარეჯის მონასტრიდან ჩამოსული მამა მათე წირვა-ლოცვას აღასრულებს, ნათლავს, ჯვარს წერს...

ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბადის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებლებთან შეხვედრაზე კი ითქვა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების თვითნებობით ქართველების უფლებები ირღვევა.

"აზერბაიჯანს კარგი პრეზიდენტი ჰყავს, მაგრამ პრეზიდენტი ყველას ვერ მისწვდება. ჩემი დისშვილი ორი წლის ხდება და, გინდათ თუ არა, აზერბაიჯანული სახელი დაარქვითო, - გვეუბნებიან. დაბადების მოწმობა ჯერაც არა აქვს," - გვეუბნება ალიაბადელი ქალბატონი. როგორც აღმოჩნდა, ალიაბადში ეს შემთხვევა კი არა, კანონზომიერება ყოფილა, ძირითადად კი - მცირერიცხოვანი ქრისტიანული მოსახლეობისთვის, რომლებმაც შინაური ცხოველებიც კი მუსულმანური წესით უნდა იყოლიონ.

"საქართველოში აზერბაიჯანელებს მეჩეთები აქვთ და ჩვენც გვინდა ზაქათალაში ქრისტიანული სალოცავი ეკლესია - ადამიანი ერთხელ იბადება და უფლება აქვს ის სწამდეს, რაც თვითონ აირჩია," - თქვა თამამა შალამოვამ. ალიაბადელებს ბიბლიოთეკაც უნდათ, სადაც ქართული წიგნები იქნება.

ბელაქნის რაიონში სამი სოფლიდან ერთადერთია ქართული - ითიტალა. სოფლის გზაზე ქალს პატარები გამოეყვანა: **"ბავშვებს ვაჭმევდი, დროშიანი მანქანა რომ დავინახე, ვიფიქრე, სააკაშვილი ჩამოვიდა-მეთქი და გამოვიქეცი"**. გოგონას ნუნუ ერქვა, ბიჭს - რიმალა. **"ბებია აზერბაიჯანელი ჰყავს და იმან დაარქვა. ისე ჩვენ, ითიტალაში ქართული სახელის დარქმევას არავინ გვიშლის, თუმცა ქრისტიანები არა ვართ"**, - თქვა დედამ და სახლში მიგვიპატიჟა (რა თქმა უნდა, ვერ ვესტუმრე, განათლების მინისტრის საქმიანობის და გადაადგილების სწრაფ ტემპსა და მკაცრ რეჟიმს თუ არ აეწყვე, შეიძლება სადღაც შუა გზაზეც დარჩე!).

ითიტალაში სკოლის წინ მამაკაცები იდგნენ, საქართველოს დროშიანმა მანქანამ მათი ყურადღებაც მიიპყრო. მათ ვესაუბრებოდი და ამ დროს ორთვალა გამოჩნდა. ცოტა შეანელეთ, ფოტოს გადაგიღებთ-მეთქი, - შევძახე მედროგეს. არ გააჩერა. ეგ არ გაგიჩერებთ, ჩვენიანი არ არისო, - "ჩაუშვეს" თანასოფლელებმა. ისინი კი ისეთი კეთილები იყვნენ, რომ თუ მოინდომებდი, ცხრა კარს გაგიღებდნენ და სოფელს ეზო-ეზო დაგატარებდნენ - ეტყობოდათ, რომ საკუთარი ქართველობა უყვართ.

მანქანით საინგილო ორჯერ გადავსერეთ და ეჭვი არ შემპარვია, რომ საქართველოში ვიყავით. კახს რომ გასცდები, აზერბაიჯანული ლანდშაფტი იწყება - შავ-ნაცრისფერი, და რწმუნდები, რომ ღმერთი სიმდიდრეს ვის - მიწაზე და, ვის - მიწის ქვემოთ ჩუქნის.

ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს

სტატისტიკა: კახის რაიონში 7 ქართულენოვანი სკოლა (1321 მოსწავლე) მოქმედებს, ზაქათალის რაიონში - 4 სკოლა (847 მოსწავლე) და ბელაქნის რაიონში ერთი სკოლაა (177 მოსწავლე). დეტალური ინფორმაცია განათლების სამინისტროში გადმოგზავნილია მიმდინარე წლის 7 აპრილს.

ალექსანდრე ლომაია შეხვდა კახინგილოს, ქოთოქლოს, ითიკალას და ალიაბადის სკოლების მოსწავლეებს და მასწავლებლებს. იწყებოდა საზეიმო შეხვედრით. გულწრფელად რომ ვთქვათ, მათთვის ეს, მართლაც, ზეიმი იყო - ქართველი მინისტრი და საქართველოს ელჩი ესტუმრნენ - ეგეც თქვენ! თუ სადმეა, თვალი დაუდგა მტერს!

საკლასო ოთახებში მოსწავლეებთან გასაუბრების შემდეგ განათლების მინისტრი მასწავლებლებს ხვდებოდა. ლომაიასთვის მოულოდნელი იყო კახინგილოს საშუალო სკოლაში "სოროსის" კლასების ნახვა. ისევე, როგორც სხვაგან, "ნაბიჯ-ნაბიჯის" კლასები ლამაზი, მოხერხებული ინვენტარით და სასწავლო ნივთებით გამოირჩეოდა, ბავშვებმა კი თანამედროვე მეთოდიკით სწავლების შედეგიც წარმოადგინეს. უმცროსკლასელები უფრო თამამად საუბრობდნენ, ვერ გეტყვით, ახალი დროის მიერ მოტანილი თავისუფლების თუ სწავლების თანამედროვე მეთოდიკის წყალობით.

პედაგოგებთან შეხვედრებით შემდეგი მდგომარეობა გამოიკვეთა:

სახელმძღვანელოები საკმარისი არ არის.

სტატისტიკა: წიგნების ბოლო პარტია - 11. 600 ერთეული საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და სპორტის კომიტეტმა ისტორიულ საინგილოში მიმდინარე წლის 21 იანვარს გააგზავნა. სახელმძღვანელოები, საელჩოს მეშვეობით, შეიტანეს და ჩამოცალეს სამივე რაიონის განათლების განყოფილებებში. დამკვიდრებული ტრადიციით, სახელმძღვანელოების ჩამოტვირთვა ბელაქნისა და ზაქათალის რაიონების განყოფილებებში სკოლის დირექტორების თანდასწრებით ხდება. გამონაკლისია კახის რაიონი, სადაც წიგნები სკოლებში დაუბრკოლებლად შედის.

განათლების მინისტრმა სკოლებს მოსთხოვა სახელმძღვანელოების რაოდენობის სრული და ზუსტი ჩამონათვალი და აღუთქვა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის მათ სრულად მიიღებენ.

ისტორიის და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების არქონა პრობლემებს ქმნის. ქოთოქლოს სკოლის ისტორიის მასწავლებელი: **"აზერბაიჯანის ისტორია რომ ვასწავლოთ, ამისთვის ვთარგმნით აზერბაიჯანული სახელმძღვანელოდან და ასე კუსტარულად ვაწოდებთ. რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, ის საერთოდ არ ისწავლება. არადა, ბავშვებისთვის საქართველოს ისტორიის ცოდნა ენის ცოდნაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია"**. ალიაბადის სკოლაში კი მასწავლებელმა მინისტრს შესჩივლა: საქართველოს ისტორია სახელმძღვანელოს გარეშე რომ ვასწავლო, მეშინია, რამე უსიამოვნება არ შემემთხვესო.

ოფიციალური ინფორმაცია: სიტყვიერი შეთანხმებისამებრ, ტრადიციულად, იზღუდება ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების, აგრეთვე, სათანადო რუკების გაგზავნა.

ქართული სკოლები ქართული სახელმძღვანელოებით და აზერბაიჯანული სახელმწიფო პროგრამით სწავლობენ, რაც ერთმანეთს არ შეესაბამება.

ალიაბადის ოთხი აზერბაიჯანული სკოლიდან მხოლოდ ერთ სკოლაში დარჩა ქართული განყოფილება სრულად; ორში - რამდენიმე კლასიღაა და ერთში - უკვე გაუქმდა. **"ხელმძღვანელობა ყოველ წელს იმუქრება - ქართული სექტორი გაუქმდებაო; თან მოსამზადებელი განყოფილება მხოლოდ აზერბაიჯანულ სკოლას აქვს. ეს, ძალაუნებურად, იწვევს ქართული განყოფილების კონტინგენტის კლებას,"** - ამბობენ ალიაბადელი მასწავლებლები და ქართულ სკოლას ითხოვენ.

არ არის მეთოდური ლიტერატურა და თვალსაჩინოებები; არ არსებობს კომპიუტერული და სხვა სასწავლო ტექნიკა; მოძველებულია ინვენტარი; სკოლების ნაწილი სარემონტოა; მასწავლებლებს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, თორმეტი წელია, არ გაუვლიათ; ითხოვენ გაუქმდეს კლას-კომპლექტები (ამ სასწაულის შესახებ, რომელიც საქართველოშიცაა, ბევრმა არ იცის - ბავშვების სიმცირის გამო, კომბინირებული გაკვეთილები უტარდებათ, მაგ. მესამეკლასელებს - მათემატიკა, მეორეკლასელებს - შრომა და ა.შ.).

ქართულენოვანი ტექნიკუმი არ არის, კომუნისტების დროს კი ზაქათალაში ორი ტექნიკუმი ყოფილა.

იქნებ თბილისში სტუდენტები საერთო საცხოვრებლით უზრუნველყონ...

ამგვარი პრობლემების ნაწილი აზერბაიჯანულ სკოლებსაც აქვთ, მაგრამ იმ პრობლემების მოგვარება, რაც უშუალოდ ქართულ სკოლებს უკავშირდება, განათლების მინისტრმა აღუთქვა იქაურებს: დაგპირდებით მხოლოდ იმას, რისი მოგვარებაც შემიძლიაო.

"დავაშავეთ რამე, აქ რომ დავიბადეთ?!" - იკითხა ერთ-ერთმა ალიაბადელმა.

არა! საქართველოშიც ჭირს უპასპორტოდ საზღვრის გადალახვა; იქაც ბევრისთვის ძვირია პასპორტის აღება; საქართველოშიც ბევრს სჭირდება ორმაგი მოქალაქეობა; საქართველოშიც სარგებლობენ ადგილობრივი ხელმძღვანელები თავიანთი მდგომარეობით და საზოგადოების უცოდინრობით; საქართველოშიც ჩივიან, რომ მიწას არასწორად ანაწილებენ; მიგრაცია საქართველოშიც დიდია და კულტურა კი სიცოცხლეს ითხოვს.

გამოსავალი ცოდნაა. ამიტომაც, განათლების მინისტრის ჩასვლა სიმბოლურია.

P.S. საინგილოდან დაბრუნებულებს "კურიერმა" ორი საყურადღებო ინფორმაცია დაგვახვედრა: პირველი: ჩვენ რომ გვეგონა, ჩვენ გადავაყენეთო, ის პრეზიდენტი, თურმე გაერო-ს "ჩაუხუტებია"; და მეორე: ბოლნისის არაქრისტიან მოსახლეობას (რა თქმა უნდა, ნაწილს!) ქრისტიანული ტაძარი შეუულახავს. რა გაეწყობა, "ძალა აღმართს ხნავსო", - უთქვამთ და, ცოდნა ძალაა, აბა, რა არის!

აკაკის ხე ეკლესიის ეზოში. ივან ბაბა ბულუღაშვილი იყო ქრისტიანობის აღმდგენი საინგილოში. ამ ხემ ქედი მოუხარა ბულუღაშვილს და გადაიხარა, - მოგვითხრობს ლეგენდა. შემდეგ ფესვი გაიდგა და ტანი აიყარა.

ზაქათლელები სამუშაოდან ბრუნდებიან.

ითიტალელები "აბირჟავებენ" და ქართველი მინისტრისა და ელჩის გამოჩენას ელიან.

ნუნუ და რამილა.

შაბათი დილა ბელაქნის ცენტრში.

დავლი ქევრაული ფოტოები

ᲐᲤᲘᲨᲐ

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲔᲑᲘ

კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი
კამერული მუსიკის საღამო
დირიჟორი: შავლეგ შილაკაძე
პროგრამაშია ჰენდელის მესა (პირველი შესრულება)
დას: 19:00 სთ.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

თეატრალური სარდაფი
ჟან-ჟაკ ბრიკერი
"ინსტინქტი"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20:00 სთ.

თავისუფალი თეატრი
ჟან კოქტო
"თეთრი ოთახი"
რეჟისორი: ბ. ქავთარაძე
დას: 19.00 საათზე

პანტომიმის თეატრი
"დუმილის პოეზია"
რეჟისორი: კ. მებუკე
დას: 18:00 სთ.

ძველი სახლი
თეოდორ დოსტოევსკი
იდიოტი
რეჟისორი: სანდრო მრევლიშვილი
დას: 19:00 სთ.

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

ამირანი
მონსტრი
დას: 13:30; 20:00; 22:30 სთ.

ელფი
დას: 16:00; 18:00 სთ.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ

ძველი გალერეა
დათო ხიდაშელისა და ლაშა კინნურაშვილის ნამუშევრების გამოფენა

სალონი "ხელოვნება"
ხელოვნების ნიმუშებისა და საიუველირო ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა

"ქარვასლა"
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ევოლუცია"

"ჰობი"
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების გამოფენა

ბავშვთა ნახატების გალერეა
ბავშვთა ნამუშევრების სააღდგომო გამოფენა

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ბატონებმა ოთარ და როსტომ ჩხეიძეებმა, პირადი მოსაზრებების გამო, უარი თქვეს ლიტერატურული პრემიის "საბას" ნომინანტობაზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲰᲘᲛᲜᲘ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

"ეს არ არის დათო მაღრაძის ის ლექსი, რომელსაც საზოგადოება, ნაწილობრივ, იცნობდა მედიის საშუალებით", - ასე წარადგინა გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა საქართველოს ჰიმნისთვის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოები. კომპეტენტური ჟიურის წევრებმაც და ხმის უფლების გარეშე კონკურსის განხილვებში მონაწილეებმაც უპირატესობა მიანიჭეს ცნობილი პოეტის – დავით მაღრაძის ლექსს "თავისუფლება", რომელშიც გამოყენებულია ორი სტრიქონი აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსიდან.

ჟიურის წევრი და გამარჯვებული – ვახუშტი კოტეტიშვილი და დავით მაღრაძე

გუშინ პირველად გახმაურდა საქართველოს ჰიმნის ტექსტის შესარჩევად მიწვეული ჟიურის წევრების ვინაობა. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში 25 მარტიდან (კონკურსის გამოცხადებიდან) 5 აპრილამდე (განცხადებების მიღების ბოლო დღე) 210 განაცხადი მიიღეს. "ჩვენი აზრით, ოთხკაციანი ჟიური სრულიად საკმარისია სამუშაოდ. ზოგიერთი ლექსის განხილვას, მერწმუნეთ, წუთნახევარიც არ დასჭირვებია", - მინისტრი გიორგი გაბაშვილი მოადგილესთან თამარ ქვარიანთან და გამარჯვებული საქართველოს ჰიმნის მუსიკალური პროექტის ავტორთან კომპოზიტორ იოსებ კეჭაყმაძესთან ერთად ჟიურის მუშაობას ხმის უფლების გარეშე ესწრებოდა, - "ჩვენი მიზანი იყო, მაქსიმალურად კომპეტენტური ჟიური მოგვეწვია".

ჟიურის შემადგენლობა საკმაოდ კომპეტენტური იყო. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვახუშტი კოტეტიშვილი (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), რევაზ თვარაძე (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), რევაზ სირაძე (ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), მანანა ახმეტელი (მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე). გიორგი გაბაშვილის თქმით, კონკურსის ორგანიზატორების სურვილის მიუხედავად, ჟიურის მუშაობაში, ჯანმრთელობის გამო, მონაწილეობა ვერ მიიღო ცნობილმა ლიტერატორმა და მთარგმნელმა ბაჩანა ბრეგვაძემ. ორგანიზატორებმა ჟიურიში რომელიმე პოეტი შეგნებულად არ მიიწვიეს. ეს გადაწყვეტილება მინისტრმა ორგვარად ახსნა: პირველ რიგში, ვინაიდან კონკურსი დახურული პრინციპით გაიმართა (განხილვის მომენტში უცნობი რჩებოდა განაცხადების ავტორთა ვინაობა), სრულიად შესაძლებელი იქნებოდა ჟიურის წევრი ერთ-ერთი განაცხადის ავტორიც ყოფილიყო; და კიდევ: ამ გადაწყვეტილებით, ორგანიზატორებმა თავიდან აიცილეს გარკვეული კოლეგიალური უხერხულობა, რასაც პოეტის მიერ კოლეგების ნამუშევართა შეფასება გამოიწვევდა. "ვამჯობინეთ, ტექსტის შერჩევა ლიტერატურათმცოდნეებისა და კრიტიკოსებისათვის მიგვენდო", - თქვა გიორგი გაბაშვილმა. "თუკი ვინმეს ეჭვი შეეპარება ჟიურის მიუკერძოებლობაში, შეუძლია, შეადაროს ერთმანეთს გამარჯვებული და დაწუნებული განაცხადები, მედია თავისუფალია", - "მიუთითა" მინისტრმა "ინტრიგანებს". უახლოეს მომავალში საქართველოს ჰიმნი (ლექსიცა და მუსიკაც) პრეზიდენტს წარედგინება, რის შემდეგაც მიხეილ სააკაშვილი ჰიმნს დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს გააცნობს. დათო მაღრაძის გარდა, თუ რომელმა ცნობილმა პოეტებმა წარადგინეს კონკურსზე საკუთარი ნამუშევრები, გიორგი გაბაშვილმა ეს ინფორმაცია არ გათქვა.

საქართველოს ჰიმნისთვის შერჩეული ლექსის წარდგენა არ ყოფილა გუშინდელი პრესკონფერენციის ერთადერთი მიზეზი. გიორგი გაბაშვილმა ვიცე-პრემიერთან თემურ ქურხულთან ერთად ახალი კონკურსი გამოაცხადა. პრეზიდენტის განკარგულების მიხედვით, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ქალაქის მერიასთან ერთად დაევალა, ორგანიზება გაუწიოს თბილისში, რუსთაველის გამზირზე ეროვნული ერთიანობის აღმნიშვნელი მონუმენტის დადგმას. "ეს არის უდიდესი ტრაგედიისა და ამასთან ერთად გამარჯვებების ადგილი. ჩვენ ვასრულებთ პრეზიდენტის დავალებას, რომელიც ითვალისწინებს პარლამენტის შენობის წინ ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისთვის მონუმენტის დადგმას", - მინისტრმა გაბაშვილმა ასე უპასუხა შეკითხვას, თუ რატომ ყოვნდება პარლამენტის წინ 9 აპრილს დაღუპულთა პატივსაცემად შეპირებული მემორიალის დადგმა. ახლად გამოცხადებული კონკურსისთვის პროექტებს 20 მაისამდე ჩაიბარებენ (მისამართზე - დავით აღმაშენებლის N89/24 (ტელ: 940681).). მემორიალი პირველ სექტემბერს პარლამენტის წინ დაიდგმება. კონკურსის შედეგები კი 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გამოცხადდება.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ 50 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ

რადიო - პოლიტიკური მისიიდან კომერციულ მიზნებამდე

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

"რადიო თავისუფლების" ქართული რედაქციის 50 წლის გუშინდელი იუბილე არა იმდენად კალენდარული სიზუსტით აღინიშნა, რამდენადაც მას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. საზეიმო მიღებაზე, რომელიც სასტუმრო "მარიოტში" გაიმართა, რადიოსადგურის თანამშრომლებს იუბილეს კოლეგებთან ერთად სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ულოცავდნენ.

ქართული რედაქციის საიუბილეო დღესთან დაკავშირებით თბილისის რედაქციას სათავო ოფისიდან, პრაღიდან ესტუმრნენ. გუშინდელი მიღების სტუმრები იყვნენ: რადიოსადგურის ქართული სამსახურის ხელმძღვანელი რობერტ პარსონსი, მისი მოადგილე ბიძინა რამიშვილი, "თავისუფლების" პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ელიზაბეტ ბორკალი და მარკეტინგის დეპარტამენტის წარმომადგენელი - სნეჟანა პელირანი. მრავალფეროვანი იყო სასტუმროში შეკრებილი ადგილობრივი საზოგადოება: ჟურნალისტები თავისთავად, მთავრობის წევრები, პოლიტიკოსები, ფართო საზოგადოებისთვის ნაცნობი ადამიანები... გასაკვირი არაფერია – რადიოსადგური, რომელსაც თავიდან პროპაგანდისტული იარაღის ფუნქცია ჰქონდა, დღეისათვის საკმაოდ პოპულარულია და წარმატებით უწევს კონკურენციას მასმედიის ადგილობრივ საშუალებებს. სწორედ ეს არის ამ რადიოსადგურის ახალი ამოცანაც. თავიდან კი, ყველაფერი სხვაგვარად იყო.

დღეს აღარავინ მალავს, რომ "რადიო თავისუფლების" (რომელსაც ჯერ "განთავისუფლება" ერქვა) შექმნის, მუშაობის ძირითადი მიზანი საბჭოთა კავშირის რღვევაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა იყო. ამ მიზნით აშშ-ის მთავრობამ დააფინანსა ორი რადიოსადგური ("რადიო თავისუფალი ევროპა" და "რადიო თავისუფლება"), რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდა. "რადიო თავისუფალი ევროპა" ევროპის აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის შეიქმნა, "რადიო თავისუფლება" კი, - საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის. ამჟამად მთელ მსოფლიოში რადიოსადგურს ერთადერთი სახელწოდებით – "რადიო თავისუფლებით" იცნობენ.

"თავიდან რადიოსადგურის მისია იყო ინფორმაციის მიწოდება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც რკინის ფარდის მიღმა არსებობდნენ; სადაც იყო ჩაკეტილი საზოგადოებები, კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმები, ანუ საბჭოთა ბანაკის ქვეყნებზე იყო გათვლილი; იმ ხალხზე, რომელთაც არ ჰქონდათ საშუალება ყველაფერი ოფიციალური წყაროებიდან გაეგო, ამ რადიოტალღებიდან იგებდნენ ყველაფერს. ისმენდნენ ბევრ ისეთს, რაც აქტუალური, მაგრამ დაფარული იყო. ზოგადად რომ ვთქვათ, ეს იყო რადიო, რომელსაც გარკვეულწილად პროპაგანდისტული მისია ჰქონდა. მიმართული იყო იმისკენ, რომ დაეშალა საბჭოთა კავშირი", - ამბობს რადიოსადგურის ქართული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე ბიძინა რამიშვილი, რომელიც საკუთარ თავს "რადიო თავისუფლების" მეორე თაობის წარმომადგენლად მიიჩნევს.

ბიძინა რამიშვილი რადიოსადგურში სამუშაოდ ქართული სამსახურის გახსნიდან საკმაოდ გვიან, 1991 წელს მივიდა. მისივე თქმით, ეს იყო ძალიან

ᲔᲗᲘ ᲑᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

რობერტ პარსონსი (მარცხნივ) და ბიძინა რამიშვილი (ცენტრში) სტუმრებთან

საინტერესო პერიოდი რადიოსადგურის ისტორიაში. ცხადია, საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დღის წესრიგში დადგა რადიოსადგურის საჭიროების საკითხი. აშშ-ს კონგრესმა (რომელიც რადიოსადგურის დამფინანსებელია) განიხილა "რადიო თავისუფლების" საკითხი და გადაწყვიტა, რადიოსადგური შეცვლილიყო, რათა მორგებოდა იმდროინდელ ვითარებას. "რადიო თავისუფლების" თანამშრომლები იხსენებენ, რომ სწორედ იმ პერიოდში რადიოს მუშაობაში უამრავი რამ შეიცვალა. ამ ცვლილებების უპირველესი ნიშნები იყო სხვადასხვა ქვეყნებში საკორესპონდენტო ბიუროების გახსნა, გაჩნდა კორესპონდენტთა უზარმაზარი ქსელი. "მანამდე ეს წარმოუდგენელი იყო. ჩვენი რადიოსადგურის თანამშრომლობისთვის ხალხს იჭერდნენ. თუმცა, ზოგიერთი ახერხებდა. მაგალითად, ვაცლავ ჰაველი კომუნისტური რეჟიმის დროს "რადიო თავისუფლების" კორესპონდენტი იყო. ლეხ ვალენსაც ჩვენთან თანამშრომლობდა. მოკლედ, საბჭოთა კავშირის დაშლის მერე გაჩნდა მეტი საშუალება. ჩვენც 90-იანი წლების დამდეგს გავხსენით ქართული ბიურო, გაგვიჩნდნენ კორესპონდენტები, რომელთა რიცხვიც ყოველწლიურად იზრდება. მათ შორის რეგიონებშიც", - იხსნებს ბატონი ბიძინა რამიშვილი.

შარშანწინ რადიოსადგურმა დაარსებიდან 50 წლისთავი იზეიმა. წელს კი, ქართული, სომხური და აზერბაიჯანული სამსახურების ჯერია. ახალ დროში, რადიოსადგურს მისიაც შეეცვალა და სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, ის ახალ მისიასაც წარმატებით ართმევს თავს. ამჟამად "რადიო თავისუფლების" მიზანია კონკურენცია გაუწიოს ადგილობრივი მასმედიის საშუალებებს. "ჩვენს რადიოს გასართობად არ უსმენენ. უსმენენ სანდო ინფორმაციის გასაგებად", - ვინც "რადიო თავისუფლების" მაუწყებლობას პერიოდულად მაინც ეცნობა, მასში ბიძინა რამიშვილის ეს სიტყვები, მგონი, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲘᲑᲚᲘ

ᲛᲐᲓᲘ ᲡᲔᲠᲔᲑᲠᲘᲐᲙᲝᲕᲐ

ლადო და ბაკურ ბურდულებს დიდი წარდგენა არ სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ მათი ალბომები მილიონიანი ტირაჟებით არ გამოდის და არც ტელე და რადიო-ეთერი წაულეკავთ, ბურდულებს საკუთარი, თუნდაც მოკრძალებული, მაგრამ ერთგული მსმენელი ჰყავთ. უკანასკნელ დღეებში ძმებმა ბურდულებმა (თითოეულმა ცალ-ცალკე) "ფართი"-კონცერტები კლუბ "ჯემ"-ში და "ნოა-ნოა"-ში გამართეს.

ორივე კონცერტი ერთგვარად რეტროსპექტიული ხასიათის იყო. ლადომ კონცერტზე ძველი და ახალი სიმღერები წარმოადგინა, უფრო მეტად კი - ძველი შინაარსები ახალი ფორმებით. ძნელია, ლადოს მუსიკა თანამედროვე შოუ-ბიზნესის კრიტერიუმებით შეაფასო. ალბათ იმიტომ, რომ თავად ლადო მუდმივად ყველასთან და ყველაფერთან ოპოზიციაში იმყოფება და საკუთარ ალტერნატიულ როლშიც უკიდურესადაა შეჭრილი. ლადოს ალბომს მისი მუსიკით დაინტერესებულები, ლამის 20 წელია, ელოდებიან - სულ ტყუილად! მისი ძველი თუ ახალი სიმღერები მეკობრული ჩანაწერების სახითაც კი არ არსებობენ და მხოლოდ ლადოს "ფართი"-ებზე თუ შეძლებ მათ მოსმენას.

კლუბ "ჯემ"-ში გამართულ Lado's party-ზე ბურდულმა ორმაგი პროგრამა წარმოადგინა. პირველი ნაწილი აკუსტიკური სიმღერებისგან შედგებოდა ავტორის შესრულებით, მეორე ნაწილში კი მას ბასისტი თამუნა აქუბარდია შეუერთდა.

პირადად მე, კონცერტმა ბევრი ძველი სიმღერა გამახსენა, რომელიც თავის დროზე, თითქმის, საკულტო მნიშვნელობის იყო. საბჭოთა კავშირის ნგრევის თუ ეროვნული აღტკინების წლებში ასეთი მუსიკისთვის და, საერთოდ, ცხოვრების წესისთვის ადამიანებს სასტიკად უსწორდებოდნენ. დღეს ისინი სენტიმენტალურადაც კი ჟღერენ. თუმცა, რადიკალურად შეცვლილმა კონტექსტმა ბევრ მათგანს აქტუალობა სულაც არ დაუკარგა და, მიუხედავად ლადოს არაკონფორმისტული მისწრაფებებისა, კარგი პროდიუსერი მათ, ალბათ, ძალზედ ეფექტურ თანამედროვე ფორმასაც მოუძებნიდა.

ლადოს კონცერტს მისი უმცროსი ძმის ბაკურის კონცერტი მოჰყვა კლუბ "ნოა-ნოა"-ში. ბაკურმა საკუთარი შემოქმედების საუკეთესო სიმღერები წარმოადგინა, რომელთა დიდი ნაწილი მის ახლად გამოსულ ალბომში შევიდა. ალბომს "თითქოს" ჰქვია და სამართლიანადაც - რადგან ამ სათაურის მქონე სიმღერა ალბომში, ვფიქრობ, ყველას სჯობია. ალბომში შესული დანარჩენი სიმღერებიც სხვადასხვა დროის ჰიტებია. თუმცა, ალბომის ყველაზე გამორჩეული და გახმაურებული სიმღერა მაინც "ფეთქავს" გახლავთ, რომელიც გუშინდელი კონცერტის დაწყებამდე ტელეკარაოკეს ობიექტიც გახდა. სავარაუდოდ, ეს სიმღერაზე გადაღებული ხარისხიანი, გემოვნებიანი და მახვილგონივრული კლიპის დამსახურებაც უნდა იყოს.

ლადო ბურდული თავის ამპლუაში

ბაკურ ბურდული კონცერტზე მარტო არ ყოფილა. იგი, თითქმის, მთლიანად განახლებულ ჯგუფთან ერთად წარდგა: გიტარა - გიორგი მარი; დასარტყამი - გურამ მაკალათია; ბას-გიტარა - გიორგი გობეჯიშვილი; კლავიში, ბექ-ვოკალი - ანი კაჭკაჭიშვილი;. გარდა ამისა, მან საკმაოდ მხიარული დუეტი წარმოადგინა ახალგაზრდა მუსიკოს დათო გაბუნიასთან ერთად. ეს უკანასკნელი ცნობილი კინოფილმის "რეკორდის" მოტივებზე იყო აგებული. ბოლოს ბაკურმა პრემიერაც შემოგვთავაზა. სულ ერთი კვირის დაწერილი "ვასწორებთ საათებს" მან "ბის"-ზეც კი გაიმეორა.

მიუხედავად იმისა, რომ ლადოსა და ბაკურ ბურდულების მუსიკა ერთმანეთს საერთოდ არ ჰგავს, ორივე კონცერტზე, დაახლოებით, ერთი და იგივე მსმენელი მივიდა. თითქმის, ყველას პირადად თუ არა სახეზე მაინც ვიცნობ.

ერთი ხარვეზი ორივე კონცერტზე თვალშისაცემი იყო. სამწუხაროდ, გახმოვანების თვალსაზრისით, ჩვენი კლუბები, როგორც ჩანს, დიდ პრობლემებს აწყდებიან. ამის გამო, ცოცხალ კონცერტებზე ნახევარ სიამოვნებასაც ვერ იღებ. ასე რომ, სულ არ უნდა გაგიკვირდეს იმ მუსიკოსების, რომლებიც აუტანელ "საუნდთან" ბრძოლას ფონოგრამებს ამჯობინებენ. ალბათ, მუსიკის ნამდვილ მოყვარულებს სერიოზულად გვმართებს იმაზე დაფიქრება, თუ როგორ შევუქმნათ ნორმალური სამუშაო პირობები გადაშენების გზაზე დამდგარ "ცოცხალ" მუსიკოსებს.

ბიბლიოთეკარი პირველი ლედი, წიგნი და ამერიკა

18-დან 25 აპრილამდე ამერიკაში ბიბლიოთეკების ეროვნულ კვირეულს აღნიშნავენ. ამ ერთი კვირის განმავლობაში ბიბლიოთეკარები ყველანაირად ცდილობენ, მოსახლეობა კომპიუტერულ თამაშებს, ინტერნეტსა და ტელეეკრანებს მოსწყვიტონ, ბიბლიოთეკებში შეიტყუონ და კვლავაც გაახსენონ, რომ წიგნის კითხვა ამ ქვეყნად ყველაზე სასიამოვნო, ინტიმური და შეუცვლელი შემეცნებითი პროცესია.

იგივე მიზნით, უკვე 16 წელია, ტარდება გამოკითხვა ცნობილ ადამიანებს შორის ყველა სფეროდან მათი საყვარელი წიგნებისა და ავტორების გამოსავლენად. ანუ, მოქმედებს მრავალგზის აპრობირებული და ეფექტური მეთოდი – აუდიტორიაზე გავლენა ე.წ. "ვარსკვლავის ფაქტორით" მოახდინო. ცნობილ სახეებზე ორიენტირებულ პუბლიკას დაანახო, რომ წიგნებს მათი პოპ-კერპებიც კითხულობენ, და წიგნის კითხვის პროცესს ამით ერთგვარი რეკლამა გაუკეთო.

წელს გამოკითხვაში - "ვინ რას კითხულობს" - ქვეყნის "მთავარი ბიბლიოთეკარი", აშშ-ს პირველი ლედი, **ლორა ბუში** მონაწილეობს. მის საყვარელ წიგნებში შედის დოსტოევსკის "ძმები კარამაზოვები", ტრუმენ კეპოტის "მუსიკა ქამელეონებისთვის" და ტონი მორისონის პულიცერის პრიზით დაჯილდოებული ნაწარმოები "საყვარელი".

გლენა ნოუელი, ქალბატონი, რომელმაც სიის შეედგენა 16 წლის წინათ დაიწყო, აცხადებს: "როგორც ბიბლიოთეკარს, ლორა ბუშს რჩევას ბევრი ეკითხება. ამიტომაც, მან საგანგებოდ სხვადასხვა გემოვნების დასაკმაყოფილებელი სია შეადგინა".

წლევანდელ გამოკითხვაში, ასევე, მონაწილეობს ბრიტანეთის ყოფილი პრემიერი **ჯონ მეიჯორი**. ის საყვარელ ნაწარმოებად ენტონი ტროლოპის The Palliser Novels-ს ასახელებს, როგორც "ვიქტორიანული ეპოქის პოლიტიკური ცხოვრების შესანიშნავ აღწერას და სასიამოვნოდ საკითხავ წიგნს".

ცნობილი ამერიკელი პოეტი **ბილი ქოლინზი** არჩევანს პიტ დექსტერის "მატარებელზე" აჩერებს და აცხადებს: "ამ რომანით დექსტერი პროზის შექმნის განსხვავებულ მეთოდს გვთავაზობს. არავითარი შესავალი, არავითარი აღწერა, წმინდა წყლის მოქმედება და საფრთხის მუდმივი შეგრძნება".

მწერალი **ჯეიმს ლი ბერკი** კი ტენესი უილიამსის "ტრამვაი სახელად სურვილს", უილიამ ფოლკნერის "ხმაური და მძვინვარებას" და ჯეიმს კეინის "მილდრედ პირსს" ირჩევს.

გამოკითხვაში მონაწილეობს კიდევ ერთი ცნობილი ავტორი **ჯონათან ფრენზენი**. მან ჰალდორ ლაქსნესის "დამოუკიდებელი ხალხი" და კრისტინა სტიდის "კაცი, რომელსაც ბავშვები უყვარდა" გამოჰყო. ფრენზენის აზრით, ეს წიგნები "მეოცე საუკუნის დაუფასებელი და სათანადო აღიარებას მოკლებული შედევრებია".

ხოლო იმ მკითხველებს, რომელთაც ვარსკვლავების ლიტერატურულ გემოვნებაში გარკვევა კიდევ უფრო ვრცლად სურთ, შეუძლიათ წინა წლების გამოკითხვებსაც გადახედონ. მაგალითად, ამერიკის ახლანდელი პირველი ლედის მეუღლე **ჯორჯ ბუში** სიაში, "ვინ რას კითხულობს", 1999 წელს ფიგურირებდა, როდესაც ის ჯერ კიდევ ტეხასის გუბერნატორი იყო. მაშინ ჯორჯ ბუში აღნიშნავდა, რომ ბავშვობის პერიოდში ისტორიული მოღვაწეებისა და ბეისბოლის მოთამაშეების ბიოგრაფიების კითხვა უყვარდა. ისტორიული წიგნების კითხვა მას დღემდე სიამოვნებს. თუმცა, არანაკლები ინტერესით ეცნობა გამოცემებსაც თანამედროვე ეკონომიკისა და სოციალური სტრუქტურების შესახებ. წიგნების ნუსხაში მისი ფავორიტი, ისტორიულ-პოლიტიკური გამოცემების გარდა, ორი, საზოგადოდ, საყვარელი გამოცემაც შედის: როალდ დალის "ჯეიმსი და გიგანტური ატამი" და რადიარდ კიპლინგის "სწორედ ასეთი მოთხრობები".

ლორა ბუში წიგნის ფესტივალზე

1999 წლის "ვარსკვლავებს" შორის გახლდათ **მუჰამედ ალიც**, რომელიც საზოგადოებას ყურანის კითხვისკენ მოუწოდებდა. **ბრაიან ადამსი** იმავე წელს საყვარელ წიგნად ემილი ქერის მიერ კანადის დასავლეთ სანაპიროს შესახებ შექმნილ Klee Wyck-ს ასახელებდა, **შიმონ პერესი** კი – ოქტავიო პასის In Light of India-ს.

თუ ცოტა წინ წავალთ და 2003 წლის გამოკითხვის შედეგებსაც გადავხედავთ, ასეთ სურათს მივიღებთ:

ლორდი ჯეფრი არჩერი, ბრიტანელი რომანისტი და პოლიტიკოსი – ჩარლზ დიკენსის "ორი ქალაქის ამბავი".

ენდი გარსია, მსახიობი – გილერმო კაბრერა ინფანტეს "სამი დამწყვდეული ვეფხვი". "ცოდნის ძიების პროცესში კითხვა ყველაზე ფუნდამენტურ შედეგს იძლევა", - დასძენს ის იქვე.

სენატორი ჯონ მაქკეინი, ქართველებისთვის კარგად ცნობილი პოლიტიკოსი – ერნესტ ჰემინგუეი "ვისთვის რეკავს ზარი".

ბოლოს კი, ყოველწლიური გამოკითხვის ანბანურ საძიებელშიც შევიდეთ და ზემოთ ჩამოთვლილ ცნობილ ადამიანებს რამდენიმე ვარსკვლავი ალალბედზე სელექციის მეთოდის გამოყენებით დავუმატოთ:

აიზეკ აზიმოვი – ჩარლზ დიკენსის "პიკვიკის ჩანაწერები".

არტ გარფანკელი – უილიამ სტაირონის The Confessions of Nat Turner.

იოკო ონო – ნაომი უოლფის "სილამაზის მითი".

კოფი ანანი – ჰერმან ჰესეს "სიდჰარტა".

ბრუკ შილდსი – მაიკლ კანინგჰემის "საათები", ტრეისი შევალიეს "გოგონა მარგალიტის საყურით".

ბილ კლინტონი – ჯეიმს ფენიმორ კუპერის "უკანასკნელი მოჰიკანი", გაბრიელ გარსია მარკესის "მარტოობის ასი წელიწადი".

არტურ მილერი – რობერტ ჰიუზის Fatal Shore.

ედმუნდ მასკი – რობერტ ჯეიმს უელერი "მედისონის საგრაფოს ხიდები".

დევიდ ბრუბეკი – ფრენც უერფელის Forty Days of Musa Dagh.

ბილ გეიტსი და უაინონა რაიდერი – ჯ.დ. სელინჯერი "თამაში ჭვავის ყანაში"

ჩარტლონ ჰესტონი – მარკ ტვენის "ჰეკლბერი ფინი"

ბუტროს ბუტროს გალი – ჰაროლდ ლასკის "პოლიტიკის გრამატიკა".

დევიდ ბოუი – მარტინ ემისის "ფული".

ტონი ბლერი – ჯ.რ.რ. ტოლკიენის "ბეჭდების მბრძანებლის" ტრილოგია, ვალტერ სკოტის "აივენჰო".

დევიდ კოპერფილდი – ჩარლზ დიკენსის "დევიდ კოპერფილდი".

მელ გიბსონი – რეი ბრედბერის "ფარენჰეიტი 451"

ვუპი გოლდბერგი – ჰარპერ ლის "ნუ მოკლავ ჯაფარას".

დერილ ჰანა – როალდ დალის "ჩარლი და შოკოლადის ქარხანა"

ენტონი ჰოპკინსი - ფ. სკოტ ფიცჯერალდის "დიდი გეტსბი"

კევინ სპეისი – რანიერ მარია რილკეს "წერილები ახალგაზრდა პოეტს"

სტივენ სპილბერგი – რობერტ ლუის სტივენსონის "განძის კუნძული"

კარლი საიმონი – ფ. სკოტ ფიცჯერალდის "ნაზია ღამე", ლევ ტოლსტოის "ანა კარენინა".

მორგან ფრიმენი – ჰერმან მელვილის "მობი დიკი".

დაე, ილაპარაკონ

მიუხედავად იმისა, რომ ჰოლივუდის საკულტო რეჟისორის, კვენტინ ტარანტინოს ფილმმა "მოკალი ბილი" კრიტიკოსების დიდი მოწონება არ დაიმსახურა – ძირითადად, უმა თურმანი დაიწუნეს, ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი DVD (ციფრული ვიდეო დისკი) პირველსავე დღეს ორ მილიონ ცალად გაიყიდა. მისი გამომშვები ფირმა "მირამაქსი" აბსოლუტურად ბედნიერია, და კვენტინი და უმაც ხარობენ.

არადა, რა არ უძახეს ფილმის შემოქმედებს! როცა მათ ნიჭზე გაიარ-გამოიარეს, ჯერი ზნეობრივ სახეზე მიდგა. ნეტა, რატომ გაუკვირდათ, რომ კვენტინ ტარანტინოს "თავისი დიტრიხი", უმა თურმანი ძალიან მოსწონს? მე რომ მკითხოთ, არც ტარანტინოა უმსგავსო კაცი. ბედად, ორივე საკმარისად გონიერია და ამ ლაპარაკს გაგრძელება არ მოჰყოლია: კი, მოსწონთ ერთმანეთი, მერე, რა?

აი, ჯენიფერ ლოპესი კი დიდ ჭკუას აშკარად ვერ იკვეხნის. სატელევიზიო შოუში Inside მან ისეთი სასწაულები ილაპარაკა, რომ მის დიდებულ გამონათქვამებს მიჩვეული საზოგადოებაც კი გაოგნებულია. ჯერ თქვა, რომ ბენ აფლეკისა და მისი დაცილების თავი და თავი პაპარაცები არიან. უნდა ითქვას, რომ მშვენიერი ჯენიფერი ყოველთვის სიამოვნებით უქნევდა გავას, ძირითადად, შორიდან, რადგან ერთხელ გერმანელმა ტელეჟურნალისტმა მისი საამაყო ნაწილი ახლოდან და გაუფრთხილებლად გადაიღო, და ყველაზე ავად განწყობილ ხალხსაც გულით შეებრალა პატარა ჯეი ლო. ჰო, რაც ჯეი ლოს შეეხება – მან განაცხადა, რომ ძალიან ნანობს, რომ ეს სახელი დაირქვა, ოღონდ რატომ – ეს არ უთქვამს, ან ვერ ჩამოაყალიბა, კაცმა არ იცის.

აღსანიშნავია, რომ ჯენიფერს (რადგან თავისი მეტსახელი არ მოსწონს, ჩვენც ნუ დავუძახებთ) კითხვებიც არანაკლებ საინტერესო დაუსვეს, მაგალითად, როგორ მიესალმები უფალს, ოდესმე სამოთხეში რომ მოხვდეო. "ვეტყვი: შენ მე უკვე ყველაფერი მომეცი," თქვა დაუფიქრებლად 33 წლის ქალმა. "მთავარია, რომ აქ პაპარაცები არ არიან". აუჰ!

როგორც ინტერნეტ-სამსახურ "ანანოვას" ანგარიშიდან გაირკვა, მთელი შოუს განმავლობაში ჯენიფერი თავის საყვარელ "ცუდ სიტყვებს" ამბობდა, კერძოდ, - Fucking Whore - გადავთარგმნო? ამას ყოველწუთს იმეორებდა, და მის გასაკიცხად "ანანოვამ" საერთოდ დამაგდებელი არგუმენტი მოიყვანა: "...იგინებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში დედამისიც იჯდა".

საზოგადოებას ვარსკვლავების სისულელე აშკარად მოსწონთ. მედიების სოციოლოგი, ვინმე ლოთარ მიკოსი, ამის დასტურს გადაცემა "სტარ დუელში" ხედავს, სადაც, მრავალ სხვა სიკეთესთან ერთად, ცნობილი ადამიანები თავდადებით ცდილობენ, იმღერონ – ძირითადად, წარუმატებლად. ნინა ჰაგენი კიდევ ჯანდაბას, მაგრამ სხვები...

თუმცა, ვერონა ფელდბუში ძალიან ბრძნულად მოიქცა. მან მაყურებლებს იმედი გაუცრუა და განაცხადა, რომ არ იმღერებს. იჯდა და ხმას არ იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის თანახმად, RTL-ის "სტარ დუელში" სიმღერა უნდა შემოეძახა. სიტუაციის გამოსასწორებლად პანკ-როკის შემსრულებელმა ნინა ჰაგენმა დასძახა, ვერონა ფელდბუშის მკერდი თამაშიდან გავარდაო, რამაც დიდი ტაშისკვრა და სიხარული გამოიწვია. ამაზე პასუხად ვერონამ (რომელიც სულ უფრო მომწონს) ამოიოხრა, ვაგლახ, ჩემს დეკოლტეს სიმღერა არ შეუძლიაო. უნდა ითქვას, რომ ამით არაფერი დაუკარგავს: ამ არამომღერალმა დეკოლტემ ტელეარხს 3,7 მილიონი მაყურებელი შესძინა.

ვერონა ფელდბუში

ბოლო დღეებში დეკოლტე მტკივნეული თემა გახდა. მის გამო ჰოლივუდის ორმა ვარსკვლავმა, ერთიმეორეზე ლამაზმა ჯულია რობერტსმა და კეტრინ ზეტა-ჯონსმა ერთმანეთი კინაღამ დახოცესო, წერს "ნეტაიტუნგი". ორივეს ახალ ფილმში, "ოუშენის თორმეტ მეგობარში" იღებენ, და დავის საგანი დიზაინერთა მიერ შეკერილი კაბები აღმოჩნდა.

საქმე ისაა, რომ ჯულიამ კეტრინის სამოსი უფრო ელეგანტურად ჩათვალა. "ბილდი" წერს, რომ "მას შემდეგ, რაც კეტრინის გარდერობი დაათვალიერა, ჯულიამ საერთოდ აღარ ისურვა თავისი კაბების ჩაცმა". ის კი ვერ გათვალა ჯულიამ, რომ კეტრინის დეკოლტე სხვაა და მისი - სხვა... ამ თუ სხვა მიზეზის გამო – ეგ არავინ ვიცით – ეს ორი ქალი ხშირად დაეტაკება ხოლმე ერთმანეთს: 2001 წელს American Sweethearts-ის გადაღებების დროსაც სკანდალი დატრიალდა.

სკანდალების მოყვარული ვარსკვლავებისგან განსხვავებით, მათი კოლეგა, ნიკოლ კიდმანი, ამჟამად თავისი დეკოლტეთიც და ყოფითაც ძალიან კმაყოფილია – ყოველ შემთხვევაში, მედია ამას ერთსულოვნად გასძახის. ამის მიზეზად ჟურნალისტები იმას ასახელებენ, რომ ნიკოლი, 135 მილიონი ევროს მფლობელი, გასულ წელს 21 მილიონი ევროთი გამდიდრდა და ავსტრალიის ყველაზე მდიდარ ვარსკვლავადაა დასახელებული. მას სიდნეიში, კალიფორნიაში, ლონდონსა და ნიუ იორკში სახლები და ბინები აქვს, და ამიტომ მისი წიწინი, ზოგჯერ მარტოობა და კაეშანი მეძალებაო, ლუკმა-პურს ადევნებული ჟურნალისტების აზრით, ცოტა სასაცილოდ ჟღერს.

მართლაც, სასაციოლოა, თან თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ არავინ იცის დანამდვილებით, ვინ მარტოა, და ვინ - არა. ასე, ზამთრის მიწურულს მთელი გერმანია ცრემლად იღვრებოდა და აღშფოთებული იქნევდა მუშტებს, ჩვენს ლამაზ ჰაიდი კლუმს ვიღაც ვირისთავმა, მილიონერმა ფლავიო ბრიატოლემ რამდენი გაუბედა, სხვა ქალთან წავიდა და ორსული გოგო მიატოვაო. მერე ბულვარულმა პრესამ გაიხარა, ჰაიდიმ ნიუ იორკში მომღერალ სილთან დაიჭირა საქმე და მის შვილს ის მიხედავს, და საერთოდ, კაცმა არ იცის, ვისგან ელის ჰაიდი შვილსო. ახლა კი გერმანულ გაზეთ "აქტუელში" სტატია გამოქვეყნდა, სადაც წერია - ფლავიოსა და ჰაიდის ნაცნობების სიტყვებზე დაყრდნობით, - რომ "ეს ყველაფერი სისულელე იყო. ისინი კვლავ სასტიკად შეყვარებულები არიან და დაქორწინებას გეგმავენ".

აბა, რა ამბავი ატეხეს? "უბრალოდ, ჰაიდის ორსულობის დროს მოსვენება უნდოდა".

მაგარი მოსვენებაა, ღმერთმანი...

წლის ადამიანები

ჟურნალ "თაიმის" ბოლო ნომრის გადახედვა ნამდვილად ღირს. სპეცგამოშვებაში მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ასი მოღვაწის ვინაობაა გამოვლენილი. ლიდერების და რევოლუციონერების, მსახიობებისა და შოუბიზნესის მოღვაწეების, ტიტანების, მეცნიერებისა და მოაზროვნეების, გმირებისა და კერპების კატეგორიებში მრავალი საინტერესო გვარი ფიგურირებს. რაც მთავარია, წლის თითოეულ გმირს "თაიმის" მიმომხილველების არანაკლებ საინტერესო დახასიათებებიც "მოჰყვება".

მაგალითად, ლიდერებისა და რევოლუციონერების კატეგორიაში გამარჯვებულ ჯორჯ ბუშს "კაზინოს რადიკალ მოთამაშეს" უწოდებენ, მის დემოკრატ მეტოქეს ჯონ კერის – "დემოკრატების დიდ გამაერთიანებელს", ბილ და ჰილარი კლინტონებს კი – დემოკრატების გალერეის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებს".

რევოლუციონერებისა და ლიდერების კატეგორიაში ასევე ლიდერობენ: ოსამა ბინ ლადენი, კოფი ანანი, კონდოლესა რაისი, ვლადიმირ პუტინი და ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის ინასიო ლულა და სილვა – "განვითარებადი მსოფლიოს ახალი სპიკერი". ამ ჭრელ კონტინგენტს "თაიმი" ერთი განმარტებითი ფრაზით აერთიანებს: "მათ მსოფლიოს ახალი მიმართულება მისცეს და იმედი ჩაუსახეს. ანდა პირიქით, თავიანთი ქმედებით, დედამიწა ამოაყირავეს".

კინო და მუსიკის ვარსკვლავებით არის დაკომპლექტებული "გმირებისა და კერპების" კატეგორიაც. ნელსონ მანდელას, დალაი ლამასა და იორდანიის დედოფალ რანიას გვერდით, ამ ნუსხაში ლიდერობენ ბონო და დევიდ ბექჰემი, ლენს არმსტრონგი და არნოლდ შვარცნეგერი, ოფრა უინფრი და მელ გიბსონი. მათგან ზოგს "თაიმი" გამბედაობისა და სხვების შთაგონებისთვის გამოარჩევს, ზოგს კი ფიზიკური გმირობისთვის.

რაც შეეხება შოუბიზნესის მოღვაწეებს, სიურპრიზებს "თაიმი" არც მათ კატეგორიაში გვთავაზობს. ჟურნალის მიმომხილველების მიერ არჩეული თითოეული გმირი, მართლაც, წლის ადამიანია. ვთქვათ, პიტერ ჯექსონი – თავისი "ბეჭდების მბრძანებლითა" და 11 "ოსკარით"; ჯეი ქეი როულინგი, "ჰარი პოტერი" და მკითხველთა მილიონიანი არმია; მელ გიბსონი და მისი "ქრისტეს ვნებანი", რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა, ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით პირველ ადგილზეა. იქვეა არქიტექტორი ფრენკ გერი, რომელმაც ლოს ანჯელესის ცენტრში უოლტ დისნეის საკონცერტო ჰოლი ააგო – უმშვენიერესი შენობა უნიკალური აკუსტიკით. წლის ადამიანებში შედის ექსცენტრიული დიზაინერი ჯონ გალიანოც თავისი წლევანდელი კოლექციებით; ნიკოლ კიდმანი და შონ პენი – ბოლო ხანს შექმნილი გამორჩეული კინოპერსონაჟებით; ნორა ჯონსი და "აუთქასთი" – სუპერპოპულარული ალბომებითა და "გრემის" ჯილდოებით.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალ "თაიმსს" ასევე გამოქვეყნებული აქვს "საუკუნის ასი მოღვაწის" სია. მათგან წლევანდელ ასეულში მხოლოდ ოთხი ადამიანი მოხვდა – იოანე პავლე მეორე, ნელსონ მანდელა, ოფრა უინფრი და ბილ გეიტსი.

მოკლედ

"მიუნხენ 1860"-ს ვანენბურგი გაწვრთნის

"მიუნხენ 1860"-ის ხელმძღვანელობას მობეზრდა გაუთავებელი წარუმატებლობა და მწვრთნელი შეცვალა. ამიერიდან ბუნდესლიგის ერთ-ერთ უძველეს კლუბს ჯერალდ ვანენბურგი გაწვრთნის. ვანენბურგმა ამ პოსტზე შეცვალა ფალკო გეტსი, რომელმაც "ჰამბურჰთან" დამარცხების შემდეგ დატოვა თანამდებობა. მიუნხენელებმა ეს მატჩი 0:2 წააგეს.

ვანენბურგი "მიუნხენ 1860"-ის ღირსებას 1998-2000 წლებში იცავდა. ჰოლანდიელი 2001 წელს მთავარი მწვრთნელის ასისტენტადაც მუშაობდა, რის შემდეგაც ჰოლანდიაში დაბრუნდა და "ეინდჰოვენის" ჭაბუკთა გუნდი ჩაიბარა.

გერმანიის ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა. "მიუნხენ 1860" სატურნირო ცხრილში მე-15 ადგილზეა. გასავარდნ ზონასთან მას ერთი ქულა აშორებს. "ლომებმა" ბოლო ექვსი საშინაო მატჩი წააგეს. ამასთან, კლუბმა დაკარგა თავისი საუკეთესო ფორვარდი ბენჯამინ ლაუტა, რომელმაც ფეხი მოიტეხა და თავის გუნდს სეზონის ბოლომდე ვეღარ დაეხმარება.

ვანენბურგი გუნდს ამ სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს.

ავსტრალია პრატის გარეშე

ფედერაციის თასის გათამაშების მეორე რაუნდში რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ ავსტრალიის გუნდს თავის მეორე ჩოგანი ნიკოლ პრატი დააკლდება. პრატი ამ მატჩში მონანილეობას არ მიიღებს. ამის მიზეზი მუცლის კუნთის ტრავმაა. პრატს ის ჩარლტონის ტურნირზე გაუმიზეზდა, როცა წყვილთა თანრიგში ნახევარფინალურ შეხვედრაზე გამოვიდა.

ავსტრალიის ნაკრების კაპიტანმა ივონ გულაგონგ კოულიმ განაცხადა, რომ ერთეულთა თანრიგში პრატის ნაცვლად სამანტა სტოსური ითამაშებს. მეორე მატჩში კი ალისია მოლიკი გამოვა კორტზე.

"ამას წინათ სამანტა მოხვდა 100 საუკეთესო ჩოგბურთელს შორის, რაც მის სწრაფ პროგრესზე მეტყველებს. ალისია მოლიკს კი დღეს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია, - განაცხადა გულაგონგ კოულიმ, - რუსები ჩვენთან შეხვედრაში სერიოზული ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოექცევიან, რადგან ისინი შინ ხვდებიან გუნდს, რომელიც ქაღალდზე მასზე სუსტია. ეს კი ჩვენ უპირატესობას გვანიჭებს".

ბოულინგი

"ბოულინგი იმთავითვე თამაშია ამად კარგი"

ალექსანდრ ალექსიძის ფოტო

ბოულინგით მთავრობაც ერთობა

ბოულინგის სარგებლობაზე ბევრი ვისაუბრეთ და, ვფიქრობთ, გაგიჩნდათ სურვილი, ყოველ მეორე დღეს თუ არა, შეძლებისდაგვარად, ხშირად გაერთოთ ამ უჩვეულო თამაშით. გარწმუნებთ, სპორტულ ფორმასაც შეინარჩუნებთ და ცხოვრების ხალისიც მოგემატებათ.

სკეპტიკოსთა საყურადღებოდ, ვინც ეჭვობს, რომ გადამეტებულია ბოულინგისადმი ამგვარი მიდგომა: აბა, სცადეთ და გააგორეთ ბურთი, თან, დღის განმავლობაში დაგროვილი უარყოფითი ემოციებიც გააყოლეთ, კარგი შედეგი მხიარული შეძახილით გამოხატეთ, არასახარბიელო შედეგისას კი ირწმუნეთ, რომ მომდევნო სროლა უფრო შედეგიანი იქნება. რაღა დაგრჩათ გასახალისებლად? მხოლოდ თქვენი გადაწყვეტილება, ეწვიოთ ბოულინგცენტრს. დანარჩენზე უშუალოდ იქაური პერსონალი იზრუნებს, რათა სასიამოვნო გარემოში გაატაროთ დრო თქვენს ახლობლებთან ერთად.

მოკლედ, კარგია კარგი თამაში და უფრო უკეთესი - თქვენი განწყობის ესოდენ იოლად გაუმჯობესების მოტივაცია. სხვათა შორის, შეგახსენებთ, რომ თამაშით მიღებული სიამოვნება თქვენი განტვირთვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. უფრო კონკრეტულად კი: მიდიხართ ბოულინგცენტრში, მოირგებთ სპორტულ ფეხსაცმელს, ირჩევთ თქვენთვის სასურველ ბურთს და აგორებთ. შედეგი თქვენს მონდომებასა და სროლის ტექნიკაზეა დამოკიდებული. თუ მაინცდამაინც მაღალი რეიტინგი არ გაქვთ, საგანგაშო არაფერია. თქვენ ხომ სპორტისადმი ინტერესზე მეტად გართობა გხიბლავთ. ხოლო თუ სპორტული ჟინი თქვენში აზარტულობას აღვივებს და გსურთ, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესო მოთამაშე გახდეთ, მაშ, მიიღეთ რჩევები ბოულინგცენტრის ინსტრუქტორსგან და დახვეწეთ თამაშის კლასი. ჩვენ გვჯერა, რომ ამას ნამდვილად შეძლებთ.

ბოულინგი ხომ თქვენი გართობის საწინდარია.

TV-სპორტი

სამშაბათი. 20 აპრილი

NTB+ ФУТБОЛ
07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:99 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1984. პირველი წრე. "PHILADELPHIA 76 ERS" - "NEW JERSEY NETS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
01:35 01:35-დან 13:00-მდე შესვენება

NTB-ПЛЮС СПОРТ
11:00, 14:10, 17:00, 19:15, 22:15 პრესცენტრი
11:15, 22:00 ოლიმპის შვილები
11:20, 14:25 ფორმულის ჰარმონია
11:40 ორშაბათამდე მივატანთ
12:10 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი არტისტულ ბილიარდში სანკტ-პეტერბურგში. პირველი ნაწილი
13:40 რკინის ფაქტორი. ტელეჟურნალი
14:45 ბადმინტონი. ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. გუნდური ფინალი
17:15 ფიგურული სრიალი. შოუ "Holiday Celebration on Ice"
18:45 კეგლის დროა
19:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში. ქალები. 48კგ. 53კგ
21:00 ვარსკვლავური სამშაბათი
22:05 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 ჩოგბურთი. "Masters Series" მონტე კარლოში
00:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში. ვაჟები. 56კგ. ფინალი
00:45 ბრძოლა წესების გარეშე. "Ultimate Fighting Championship. შესვენებისას (01:15) ახალი ამბები
02:10 კეგლის დროა

EUROSPORT
11:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
12:30 კერლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი შვედეთში
14:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
16:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
17:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
18:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
19:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:00 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში
23:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლები. ნექსტელის თასის ეტაპი აშშ-ში
03:45 ინდიკარის ავტორბოლები. მოტეგის სერიები იაპონიაში
04:00 ფეხბურთი. უეფას ისტორიები

ფეხბურთი

თემურ მახარაძე - არასასურველი სასიძო და რეკორდსმენი

მიხეილ აბაიშვილი

თემურ სუხიტაშვილის ფოტო

თემურ მახარაძე: "დინამოც", "ვიტ ჯორჯიაც" და "თბილისიც" უმაღლეს მიზნებს ისახავენ

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის გადამწყვეტი, მეორე წრის სტარტის წინ სატურნირო ცხრილის სათავეში ბოლნისის სიონის ყოფნა ბევრისთვის, ალბათ, ძალიან მოულოდნელია. გუნდი, რომელსაც არა აქვს საწვრთნელი ბაზა და დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში, ასფალტზე ემზადება, არ გაუვლია წინასასეზონო მომზადება და მეორე ეტაპის დაწყების წინ სულ ხუთი დღე ივარჯიშა, ჩემპიონატის მთავარი სენსაციის ავტორია. ყოველივე ამას მარტივი ახსნა აქვს, სახელად თემურ მახარაძე.

თემურ მახარაძის სამწვრთნელო კარიერა 1977 წელს დაიწყო. მას ეკუთვნის რეკორდი, რომლის მოხსნასაც, ალბათ, დიდხანს ვერც ერთი ქართველი მწვრთნელი ვერ შეძლებს: მახარაძემ სამი ქართული კლუბი ევროტურნირებზე გაიყვანა. პირველი მერანი იყო. მახარაძემ გუნდი 1996 წელს პირველ ლიგაში ჩაიბარა და იმავე სეზონში უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა. მომდევნო წელს კი ინტერტოტოს საგზური მოაპოვებინა.

1998 წელს მას სატურნირო ცხრილის ბოლო პოზიციაზე მყოფი ლოკომოტივი ჩააბარეს. ის სეზონი გუნდმა მე-6 ადგილზე დაასრულა, მეორე წელს კი უეფას თასის საგზური მოიპოვა. ამის მიუხედავად, მახარაძე გაათავისუფლეს და გუნდი სხვას გადააბარეს. ლოკომოტივი კი პირველივე ეტაპზე, საშინაო მატჩში, საბერძნეთის პაოკთან 1:7 (!) დამარცხდა. ის სხვა გადადგა, საპასუხო მატჩზე კი, რომელშიც უკვე მოკრძალებული ანგარიში 0:2 დაფიქსირდა, ლოკომოტივს ისევ მახარაძე გააყოლეს.

მახარაძემ ვიტ ჯორჯიაში სულ ორი თვე იმუშავა, მაგრამ ამ პერიოდში საქართველოს თასის ნახევარფინალიდან თბილისის დინამოს გამოთიშვა მოასწრო.

2001 წელს ბოლო ადგილზე მყოფ ბოლნისის სიონში მიდის. 2002-03 წლების სეზონში გუნდი საქართველოს თასის ფინალში გაჰყავს და ბოლნისში უეფას თასის საგზური ჩააქვს, მაგრამ ეს წარმატება არასაკმარისად ჩაუთვალეს და 2003 წელს გაათავისუფლეს.

2004 წლის გაზაფხულზე უმწვრთნელოდ დარჩენილმა ბოლნისის სიონის ხელმძღვანელობამ პოსტი ისევ შესთავაზა თემურ მახარაძეს, რომელმაც გუნდი ხუთ დღეში ისე მოამზადა, რომ სიონმა ფინალური ეტაპის 5 თამაშიდან სამი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და პირველ პოზიციაზე დამკვიდრდა.

- სანამ ბოლნისის სიონის თემას შევეხებოდეთ, საინტერესოა, რა არ მოსწონთ კლუბების ხელმძღვანელებს თემურ მახარაძეში, როცა თქვენს სამსახურზე უარს ამბობენ, რაც, დიდ მოულოდნელობასთან ერთად, დიდ უმადურობადაც შეიძლება ჩაითვალოს...

- ალბათ, კლუბების პრეზიდენტებს სასიძოდ არ მოვწონდი... თუ საკითხს სერიოზულად მივუდგები, მიჭირს ლოგიკური ახსნის მოძებნა. შესაძლოა, ჩემი შეცვდომა ის იყო, რომ კარგ შედეგს ძალიან სწრაფად ვაღწევდი. შორიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ეს იოლი საქმე იყო. სინამდვილეში, ყველა შედეგი დიდი შრომის, გამოცდილებისა და საქმისადმი თავდადებული დამოკიდებულების შედეგი იყო. თანაც, ჩემს სამწვრთნელო საქმიანობაში არასდროს არავის არ ვრევ. ეტყობა, ეს ჩემი ავტონომიაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდათ. ამის გარეშე საკუთარი თავის პატივისმცემელი არც ერთი მწვრთნელი არ იმუშავებს.

- სადაც იმუშავეთ, შედეგს ყველგან მიაღწიეთ. მიკვირს, რომ თქვენთვის რომელიმე ასაკობრივი ნაკრები გუნდის მწვრთნელობა არ შემოუთავაზებიათ. თუ შემოგთავაზეს და თქვენ არ დათანხმდით?

- სამწუხაროდ, ასეთი წინადადება ჯერ არ მიმიღია. პრეტენზიული არასდროს ვყოფილვარ, არც მუშაობისა მეშინია. მით უმეტეს, თუ ისეთ პოსტზე მომიწევს მუშაობა, რომელზეც ჩემი ქვეყნის ღირსების დაცვა დამევალება. ისე, 1983 წელს საქართველოს ახლგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვიყავი და ერთ-ერთ საკავშირო ტურნირში მივედით ფინალამდე, სადაც რუსეთის ნაკრებთან დავმარცხდით.

- მაისის დასაწყისში გაიმართება სფფ-ის აღმასკომის სხდომა, რომელზეც უნდა წარადგინონ კანდიდატურები 21, 19 და 17-წლამდე ნაკრების მწვრთნელის პოსტებზე. თქვენი კანდიდატურის განხილვას არც ამჯერად აპირებენ?

- არ ვიცი. უფრო სწორად, ვიცი, რომ ჩემი კანდიდატურა არ აინტერესებთ.

- სიონმა ფინალური ეტაპის პირველ წრეში ნამდვილი სასწაული მოახდინა. მეორე ეტაპის დაწყებამდე დინამოს 5 ქულით, ვიტ ჯორჯიას კი ქულით ჩამორჩებოდით, მაგრამ ახლა პირველ ადგილზე ხართ.

- სიონში რომ დავბრუნდი, გუნდი, ფაქტობრივად, დაშლილი, ხელახლა დასაკომპლექტებელი დამხვდა. ჩემპიონატის დაწყებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. ამ პერიოდში ჩვენმა კონკურენტებმა სერიოზული უცხოური საწვრთნელი შეკრებები გაიარეს, ზოგმა ანტალიაში, ზოგმა კვიპროსზე. ჩვენ კი სულ ხუთი დღე ვემზადებოდით, თან... დიდუბის მძლეოსნობის დახურულ მანეჟში, ყოველგვარი სპარინგ-მატჩების გარეშე. ჩვენი კონკურენტები ბრწყინვალედ არიან უზრუნველყოფილნი როგორც ფინანსური, ისე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით. ჩვენ არათუ მოკლებულნი ვართ ყოველივე ამას, მასაჟისტი და ექიმიც კი არ გვყავს.

აი, ასეთი არათანაბარი სასტარტო პირობები გვქონდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, დღეს პირველ ადგილზე ვართ. ეს საქმისადმი უაღრესად პროფესიული დამოკიდებულების დამსახურებაა. როგორც ახალგაზრდა, ისე გამოცდილი, ვეტერანი ფეხბურთელები უდიდესი პასუხისმგებლობით გამოდიან მინდორზე, აფასებენ თავის საქმეს და პატივს სცემენ იმ გულშემატკივარს, რომელიც, მართლაც, გამორჩეულია მთელ საქართველოში. ბოლნისში ძალიან უყვართ ფეხბურთი. ბედნიერი ვარ, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელებად დანიშნულები იზიარებენ ამ პოზიციას. ბოლნისის გამგებელი, ზვიად ვეშაპიძე, გამგებლის მოადგილე, დავით ჭიჭიკოშვილი ყველაფერს აკეთებენ, რომ გუნდში პრობლემები არ შეიქმნას. მინდა, მადლობა გადავუხადო მადნეულის ხელმძღვანელს, ვასილ ცოტაძეს, ძველ წყალბურთელს, რომელიც გვერდში გვიდგას.

- სიონში დაბრუნებაზე მოლაპარაკებების დროს რა მოთხოვნები წამოგიყენათ კლუბის ხელმძღვანელობამ?

- კონკრეტული მოთხოვნა არ ყოფილა. ღირსეულად გამოსვლა და შეძლებისდაგვარად მაღალი ადგილის დაკავება გვთხოვეს. მე მგონი, კეთილსინდისიერად ვასრულებთ ამ თხოვნას. არ მინდა, ვიმარჩიელო, რომელ პოზიციაზე დავასრულებთ ჩემპიონატს. მხოლოდ ერთს გეტყვით: გუნდი ისე მონოლითურად არის შეკრული და მომართული, გულშემატკივარიც ისე გვიდგას გვერდში, რომ ეს უაღრესად დიდი ძალაა და ნებისმიერ შეხვედრაში სასურველი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი.

- მეორე ეტაპის მეორე ტურში, სიონის არსებობაში პირველად, თბილისის დინამო დაამარცხეთ.

- ეს, მართლაც, გამორჩეული თამაში იყო იმ თვალსაზრისით, რომ ჩემი გუნდის ფსიქოლოგიურად მომართვა შევძელი. ხშირია შემთხვევა, როცა გუნდი მოედანზე გამოსვლამდე აგებს თამაშს. ამის კლასიკური მაგალითი გვქონდა გასულ სეზონში, თასის ფინალში, სადაც სწორედ დინამოსთან 1:3 დავმარცხდით. პირველ 15 წუთში უკვე 0:3 ვაგებდით და ასეთ თამაშს რაღა გადაარჩენდა? ამჯერად ბიჭებმა ირწმუნეს საკუთარი შესაძლებლობები და სეზონში ჯერჯერობით საუკეთესო თამაში ჩავატარეთ დინამო დავამარცხეთ. ეს კი ძალიან ძნელი საქმეა.

- რთული თამაში გქონდათ გორშიც. პირველი ეტაპის ფინიშზე სიონი-დილას მატჩი ბოლნისში სიონის გამარჯვებით, 4:3 დასრულდა. მაშინ გორელებმა ჩათვალეს, რომ არბიტრმა სუბიექტურად იმსაჯა და მათ წააგებინა. მეორე ეტაპის თამაშის წინ, როგორც ვიცი, თქვენ სამაგიეროს გადახდით გემუქრებოდნენ. ის მატჩი 4:0 მოიგეთ.

- პირველ რიგში, იმით ვარ კმაყოფილი, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა დიდ ფსიქოლოგიურ წნეხს გაუძლეს. როცა გუნდი თამაშის წინ გასახურებლად ვარჯიშზე გამოვიდა, მაყურებლები უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ. ჩემი ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ აყვნენ პროვოკაციას, რაც ნამდვილად არ იყო იოლი. ჩემმა ფეხბურთელებმა ამ გინებას ფეხბურთის ენაზე უპასუხეს 4:0 გავიმარჯვეთ.

- წინ გადამწყვეტი მატჩები გელით. რომელ მეტოქეს გამოარჩევდით?

- სამივე კონკურენტი ძალიან სახიფათოა. "დინამოც", "ვიტ ჯორჯიაც" და "თბილისიც" უმაღლეს მიზნებს ისახავენ და ყველაფერს გააკეთებენ ამ მიზნის მისაღწევად. დღეს ვფიქრობთ მხოლოდ ვიტ ჯორჯიაზე, რომელსაც უახლოეს დღეებში შევხვდებით.

ელ კაპიტანო სიკვდილის პირასაა

მარადონას გული დროებით გაჩერდა?

მარადონა სუნთქვის ხელოვნურ აპარატზე ჩართეს

ლეგენდარული დიეგო მარადონას სიცოცხლე საფრთხეშია. კვირას, ადგილობრივი დროით 22,15 საათზე მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს ბუენოს აირესის "Clinica Suiza Argentina"-ში.

ექიმების მიერ დასმული წინასწარი დიაგნოზი გულის არითმია, მაღალი წნევა და სუნთქვის პრობლემები იყო. ამასობაში კი მარადონას გული გაუჩერდა...

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონი არგენტინის ნაკრების სახელგანთქმული კაპიტანი მხოლოდ ხელოვნური სუნთქვის შედეგად მოიყვანეს გონს. ახლა მას რეანიმაციაში მკურნალობენ.

გუშინ მისმა მკურნალმა ექიმებმა პრესკონფერენცია გამართეს. "ჩვენ, სულ ცოტა, კიდევ 24 საათი გვჭირდება, რათა მარადონას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ზუსტი წარმოდგენა შეგვექმნას. ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეგვიძლია", - ეს იყო და ეს. მარადონას მდგომარეობა ისევ კრიტიკულია.

შაბათს, საავადმყოფოში მოხვედრამდე ერთი დღით ადრე, მარადონა იყო "ბომბონერას" სტადიონზე, სადაც თავისი ყოფილი კლუბის, "ბოკა ხუნიორსის" თამაშს ადევნებდა თვალს. ჯერ კიდევ სტადიონზე ყოფნისას ჩიოდა, რომ თავს ცუდად გრძნობდა. პირადი ექიმის, ალფრედო კახეს დახმარებით მარადონა საავადმყოფოში აღმოჩნდა. "ეს დიდი მოულოდნელობა იყო. დიეგოს ყოველდღიურად ვაკონტროლებ და ის შესანიშნავად გრძნობდა თავს. ჯანმრთელობასთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანს არავითარი პრობლემა არ ჰქონია", - განაცხადა პრესკონფერენციაზე კახემ. "ელ კაპიტანოს" მკურნალმა ექიმმა რობერტო ფავალორომ კი ხაზი გაუსვა მარადონას მდგომარეობის სიმძიმეს: "მისთვის რომ ასე სწრაფად არ აღმოგვეჩინა სამედიცინო დახმარება, ახლა ცოცხალი არ იქნებოდა. ხელოვნურმა სუნთქვამ მას სიცოცხლე შეუნარჩუნა".

თუმცა, ექიმების სიტყვები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მარადონას სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ის ჯერაც ებრძვის სიკვდილს. თუ როგორ დასრულდება ეს ბრძოლა, ამას უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

მარადონას ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ არგენტინას. ტელევიზიები პირდაპირ ეთერში მაუწყებლობენ საავადმყოფოდან, სადაც ასობით გულშემატკივარია შეკრებილი.

ცხოვრების უკუღმართი წესების მიუხედავად, მარადონა დღემდე განებივრებულია გულშემატკივართა სიყვარულით. თავიანთი კერპის მდგომარეობით შეწუხებული ადამიანები ბუენოს აირესის კლინიკაში ღამეებს ათენებენ. ზოგს მარადონას ფოტოები უჭირავს, ზოგსაც - ანთებული სანთლები და "ელ კაპიტანოს" სიცოცხლისთვის ლოცულობენ. აქვეა ტრანსპარანტი, რომელზეც დიდი ასოებით წერია: "დიეგო, არგენტინას შენ უყვარხარ!"

მაშინ, როდესაც ექიმები კომენტარისგან თავს იკავებენ, არგენტინულ მედიას უკვე ყველა შეკითხვაზე აქვს პასუხი. მათ მარადონას ახლანდელი მდგომარეობის მიზეზიც კარგად იციან. არგენტინელი ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ მარადონამ კოკაინის ზედმეტი დოზა მიიღო. აქვე იხსენებენ 2000 წელს მომხდარ ინციდენტსაც - კოკაინის ზედმეტი დოზის მიღების გამო მარადონა მაშინაც საავადმყოფოში მოხვდა.

მიზეზებზე საუბარს მერეც მოვასწრებთ. ახლა მთავარი ის არის, შეძლებს თუ არა მარადონა სიკვდილის დამარცხებას...

ინფოთეკა

ფეხბურთი. მილანის ინტერის ყოფილმა თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა უარი თქვა მადრიდის ატლეტიკოს მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ახლანდელ მწვრთნელს გრეგორიო მანსანოს კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და, როგორც ჩანს, გუნდს დატოვებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. მადრიდის რეალის პრეზიდენტობის კანდიდატმა ენრიკე სობრანომ დაადასტურა ინფორმაცია: თუ სამეფო კლუბის პრეზიდენტად აირჩევენ, დევიდ ბექჰემს გაყიდის. ამ ცნობამ ფრიად გაახარა რომან აბრამოვიჩი. ესპანური საინფორმაციო წყაროების ცნობით, მან მიმართა პერესს ბექჰემის სატრანსფერო ფასის დასახელების თხოვნით.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინტერმა და რომამ შეიძლება ამ სეზონშივე გაცვალონ ფეხბურთელები. რომას მწვრთნელი ფაბიო კაპელო არგენტინელი ხულიო კრუზით არის დაინტერესებული, ხოლო ალბერტო ძაკერონის სურს, თავის გუნდში რომას ფორვარდი ვინჩენცო მონტელა იხილოს. მიმდინარე სეზონში არც ერთი ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში არ ჩნდება. გუნდებმა ამ ცვლილების თაობაზე მოლაპარაკება დაიწყეს.

■ ■ ■

ფეხბურთი. შოტლანდიის ჩემპიონის სელტიკის მწვრთნელმა მარტინ ო`ნილმა განაცხადა, რომ მანჩესტერ იუნაიტედის ნახევარმცველი როი კინი ამ ზაფხულს მის გუნდს არ შეუერთდება. იმის შესაძლებლობა, რომ კინი ჩვენს გუნდში ჩაირიცხოს და აქ დაასრულოს საფეხბურთო კარიერა, ძალიან მცირეა. დარწმუნებული არ ვარ, რომ კინს სურს, დატოვოს მანჩესტერი, სადაც წამყვან ფეხბურთელთა კოჰორტას წარმოადგენს, განაცხადა მარტინ ო`ნილმა. ადრე კინის ინკოგნიტო მეგობრებზე დაყრდნობით ბრიტანული პრესა იუწყებოდა, რომ კინს სურს, საფეხბურთო კარიერა სწორედ გლაზგოს სელტიკში დაასრულოს.

■ ■ ■

ფეხბურთი. პერუჯას პრეზიდენტი ლუჩანო გაუჩი სერია A-ს დაემუქრა: შესაძლოა, მისმა გუნდმა ჩემპიონატის დარჩენილ ოთხ ტურს ბოიკოტი გამოუცხადოს. გაუჩის თქმით, მსაჯების არაობიექტურობა მის გუნდს ხელს უშლის, იტალიური ფეხბურთის ელიტაში შეინარჩუნოს ადგილი.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ბელგიელი ჟიუსტინ ენინ-არდენი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში კორტზე ვერ გამოვა. ამის მიზეზია ვირუსული სურდო, რომელიც ჩოგბურთელს აწუხებს. ვირუსული ინფექცია მტანჯავს, ამბობს ენინი, იძულებული ვარ, დავისვენო. თანაც, ამ დაავადების შესახებ მცირე ინფორმაცია მაქვს. იმედი მაქვს, ორი კვირის შემდეგ გაცილებით მეტი ინფორმაცია მექნება.

■ ■ ■

ჩოგბურთი. ამერიკელმა ენდი როდიკმა, რომელიც მონტე კარლოში მასტერსის სერიის ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი, შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ამაზე საუბრისას სპორტსმენმა განაცხადა, რომ ეს ჯანმრთელობის მდგომარეობას არ უკავშირდება. ტურნირს, როდიკის მსგავსად, მისი თანამემამულეები, მარდი ფიში, ჯეიმს ბლეიკი და ანდრე აგასი გამოტოვებენ. მონტე კარლოში არც მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი როჟე ფედერერი ითამაშებს.

■ ■ ■

ჩოგბურთი. გამოქვეყნდა მსოფლიოს პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი. ეშტორილში ფინალში გასვლით რუსი მარატ საფინი დაწინაურდა და მესამე საფეხურზე დამკვიდრდა. პროგრესი განიცადა ხუან კარლოს ფერერომაც, რომელიც ვალენსიის ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. ახლა ფერერო მეშვიდე ადგილზეა. არგენტინელმა ხუან-იგნასიო ჩელამ, რომელმაც ეშტორილის ტურნირის ფინალში სწორედ მარატ საფინი დაამარცხა, მე-11 ადგილზე გადაინაცვლა.

ვაჟები:

როჟე ფედერერი (შვეიცარია)	379
ენდი როდიკი (აშშ)	266
მარატ საფინი (რუსეთი)	176
ანდრე აგასი (აშშ)	165
კარლოს მოია (ესპანეთი)	160
დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	143
ხუან-კარლოს ფერერო (ესპანეთი)	142
გილიერმო კორია (არგენტინა)	138
ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)	131
ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	129

ქალები:

ჟიუსტინ ენინ-არდენი (ბელგია)	7353
კიმ კლიისტერსი (ბელგია)	6280
ამელი მორესმო (საფრანგეთი)	3457
ლინდსი დევენპორტი (აშშ)	2996
ანასტასია მისკინა (რუსეთი)	2828
ნადეჟდა პეტროვა (რუსეთი)	2398
სერენა უილიამსი (აშშ)	2337
ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2216
ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2192
აი სუგიამა (იაპონია)	2053

ჭიდაობა

თავისუფლების ევროპა ანკარაში

გიგა გურასაშვილი

იმის გამო, რომ წლეულს ოლიმპიური თამაშები იმართება, საჭიდაო სამყარომ კალენდარი ოდნავ შეცვალა - ევროპის ჩემპიონატების შედარებით ადრე გამართვის განკარგულება გასცა. ბერძენ-რომაელებმა ახლახან მოათავეს საქმე და თავისუფლებს გადასცეს ესტაფეტა.

ფოტო: სახელოვნების ფოტო

ქართველი ფალავნები თურქეთში იჭიდავებენ

კონტინენტის უმთავრეს ასპარეზობებს თურქეთის დედაქალაქი უმასპინძლებს და, ეჭვი არ არის, თურქულ-ევროპულ ხალიჩაზე ჭიდილი ერთობ ძნელი იქნება ნებისმიერი ქვეყნის წარმომადგენლისთვის. ათა თურქის სპორტული დარბაზი, ალბათ, პირთამდე შეივსება და გულშემატკივართა ყიჟინა დამატებით დაბრკოლებად შეექმნება ნებისმიერი რანგის ფალავანს. ასე რომ, მოჭიდავეებს, მეტოქეთა გარდა, ჭიდაობაზე გადარეული თურქი გულშემატკივრის გაუვნებელყოფაც მართებთ. უკვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გუნდურ პირველ ადგილს მასპინძლები დაიკავებენ, დანარჩენები კი მეორე-მესამე ადგილებისთვის იბრძოლებენ.

მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ნაკრები თურქეთში მეორე შემადგენლობით გაემგზავრა (ბესიკ გოჩაშვილი - 55კგ, ლევან ჩაბრაძე - 60კგ, თამაზ გეგეშიძე - 96კგ, დავით ოთიაშვილი - მძიმე წონა) 66, 74, 84 კგ წონით კატეგორიებში კი ნაკრებში იმათ უხმეს, ვისაც უკვე ლიცენზიები აქვთ მოპოვებული (ოთარ თუშიშვილი, გელა საღირაშვილი და რევაზ მინდორაშვილი).

ქართველი მოჭიდავეები ბორჯომში გადიოდნენ შეკრებას. როგორც უფროსმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ გვითხრა, საკმაოდ ნაყოფიერად მოემზადნენ. ნაკრების პირველი ნომრები კი ჯერაც ბორჯომში არიან და ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან. მწვრთნელთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ისინი ანკარაში არ გაემგზავრნენ.

ევროპის ჩემპიონატი 23-25 აპრილს გაიმართება და მასში ევროპის თითქმის ყველა საჭიდაო ოჯახი მიიღებს მონაწილეობას.

ჭადრაკი

ორმაგი სტანდარტი

კახა ფაჩუაშვილი

კირსან ილიუმჟინოვი ცაიტნოტშია

ლიბიის ლიდერმა მუამარ კადაფიმ კირსან ილიუმჟინოვს შესთავაზა, ტრიპოლიში გაიმართოს ფიდე-ს მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით. კადაფიმ ილიუმჟინოვს მილიონნახევარი დოლარის საპრიზო ფონდის გარანტია მისცა. ფაქტობრივად, ლიბიის ლიდერმა, რომელიც მსოფლიო პოლიტიკიდან დიდი ხნის განმავლობაში განდეგილივით ცხოვრობდა, დასაბამი მისცა საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების პროცესს, რაზეც უკვე ორი წელია საუბრობენ.

წინადადება მსოფლიო ჩემპიონატის გამართვის შესახებ უდაბნოში გაჩნდა, სადაც კირსან ილიუმჟინოვმა და ლიბიის ლიდერმა ერთი პარტია ჭადრაკი ითამაშეს. ჩვენი შეხვედრა საათზე დიდხანს გაგრძელდა. კადაფიმ შემომთავაზა, ლიბიაში ნოკაუტ-სისტემით მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდეს, განაცხადა ფიდეს პრეზიდენტმა, კონტრაქტი უკვე გაფორმებულია. საპრიზო ფონდი მილიონ 508 ათასი დოლარია. პლუს 700 ათასი საორგანიზაციო ხარჯებისთვის. ამ ყველაფერს ლიბია საკუთარ თავზე იღებს.

ლიბიაში თავს მოიყრის მსოფლიოს 128 საუკეთესო მოჭადრაკე. გამარჯვებული მიიღებს ქვითარს 100 ათასი დოლარისთვის და კადაფის ოქროს თასს, რომელიც სამუდამო მფლობელობაში მხოლოდ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს გადაეცემა. ჩემპიონატის ლიბიაში გამართვას, სერბეთის ქალაქ კოტორში, ფიდე-ს პრეზიდენტის საბჭოს სხდომაზე, ერთხმად დაუჭირეს მხარი. ვარაუდობენ, რომ პირველ სიმბოლურ სვლას თავად კადაფი, იტალიის პრემიერ-მინისტრი სილვიო ბერლუსკონი და ბუდისტების სულიერი ლიდერი დალაი-ლამა გააკეთებენ. გადაწყდა: მსოფლიო ჩემპიონატი 18 ივნისიდან 13 ივლისამდე გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იალტის გამაერთიანებელი მატჩის ჩაშლის შემდეგ, გარი კასპაროვსა და რუსლან პონომარიოვს შორის, კირსან ილიუმჟინოვმა, შვეიცარიის ქალაქ ჰალკიდიკში გამართულ 74-ე საჭადრაკო კონგრესზე წინადადება წამოაყენა - გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით.

მასპინძლის ძიებაში ფიდემ კონკურსი გამოაცხადა. განაცხადები 2004 წლის 20 თებერვლამდე მიიღებოდა. სამი დღის შემდეგ კი ფიდეს სამდივნო გამარჯვებულს დაასახელებდა. თუმცა, ყველაფერი გაცილებით უფრო ადრე, უდაბნოში, საჭადრაკო დაფასთან გადაწყდა.

პირველობაში 128 მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. მონანილენი ასე განაწილდნენ: ევროპა - 46 ადგილი, ამერიკა-აზია 19-19, აფრიკა 6, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი, ვიცე-ჩემპიონი ვასილი ივანჩუკი (ორივე - უკრაინა), შარშანდელი ჩემპიონატის ნახევარფინალისტები ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) და ალექსანდრ სვიდლერი (რუსეთი), მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის, რეიტინგის მიხედვით 20 საუკეთესო მოჭადრაკე, ილიუმჟინოვის მიერ სპეციალურად მიწვეული 9 დიდოსტტატი და ორგანიზატორების მიერ მიწვეული 4 მოჭადრაკე.

ამ ჩემპიონატის გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში რუსლან პონომარიოვს შეცვლის. 20 წლის უკრაინელმა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის წოდება ორი წლის წინათ მოიპოვა, შარშან პლოვდივში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე უარი განაცხადა ნოკაუტ-ჩემპიონატში მონაწილეობაზე და მას შემდეგ მისი პოზიცია დიდად არ შეცვლილა.

უცნაური იდეაა ვითამაშო გარი კასპაროვთან შეხვედრის უფლებისთვის. მზად ვარ, ჩავერთო ნოკაუტ-ჩემპიონატში, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ პირველობაში ყველა დაინტერესებული მხარე მიიღებდა მონაწილეობას. თუ ეს ჩემპიონატი გარი კასპაროვთან შეხვედრის უფლებისთვის იმართება, მაშინ მე არ ვთვლი შესაძლებლად, მასში მონაწილეობა მივიღო. ეს ჩემთვის დამამცირებელია, განაცხადა მაშინ რუსლან პონომარიოვმა.

უკრაინელი დიდოსტატი უაღრესად შეურაცხყოფილია იმით, რომ ფიდე ცდილობს, კასპაროვი უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს. მის მოთხოვნებს კი არავინ ითვალისწინებს. პონომარიოვმა დახმარებისთვის საჭადრაკო პროფკავშირსაც მიმართა. უკრაინელის თქმით, ის მსოფლიო ჩემპიონია და თვითონ კი არ უნდა მოიპოვოს ვინმესთან შეხვედრის უფლება, არამედ პირიქით, დიდოსტატებმა მასთან შესახვედრად უნდა იბრძოლონ. მოკლედ, ის კასპაროვთან თანაბარ პირობებში ჩადგომას ითხოვს. კასპაროვი რომ იმდენივე ტურნირში თამაშობდეს, რამდენსაც სხვები, დარწმუნებული ვარ, მისი რეიტინგი აბსოლუტურად სხვაგვარი იქნებოდა. მას პირველობა დაუმსახურებლად აქვს მითვისებული, ამბობს უკრაინელი.

სიმართლე რომ ითქვას, პონომარიოვის არყოფნა კირსან ილიუმჟინოვს დიდად არ ანაღვლებს. ფიდე-ს პრეზიდენტმა მიზანს მიაღწია. მან მოძებნა ქვეყანა, რომელიც სოლიდურ საპრიზო ფონდს უზრუნველყოფს. ის აწყობს მსოფლიოს გამაერთიანებელ ჩემპიონატს და მიაღწევს, რომ პლანეტას ერთი ჩემპიონი ჰყავდეს. მისთვის სულ ერთია, ამას პონომარიოვთან ერთად გააკეთებს თუ მის გარეშე.

მსოფლიოს გამაერთიანებელი ჩემპიონატის მოწყობა სოლიდური საპრიზო ფონდით იყო ილიუმჟინოვის მთავარი წინასაარჩევნო დაპირება, რომლითაც, შეიძლება ითქვას, შეინარჩუნა კიდეც ფიდე-ს პრეზიდენტის პოსტი. ამდენად, თუ ყალმუხეთის მეთაური წინასაარჩევნო დაპირებას შეასრულებს, ის მხარდამჭერთა წინაშე პირნათელი იქნება და მაშინ აღარავის გაახსენდება რუსლან პონომარიოვი და ის, თუ რა გზით მოახერხა ილიუმჟინოვმა ამის გაკეთება. ამრიგად, კირსან ილიუმჟინოვი, ერთი მხრივ, საჭადრაკო სამყაროს თავგამოდებული ქომაგია, მეორე მხრივ კი ისეთი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელსაც მიზნის მისაღწევად ყველა ილეთის გამოყენება დასაშვებად მიაჩნია.

რაც შეეხება გარი კასპაროვისადმი კეთილგანწყობას, ეს შეიძლება ამ ორი პიროვნების ინტერესთა თანხვედრითაც აიხსნას. მოგეხსენებათ, გარი კასპაროვი რუსეთის პოლიტიკურ წრეებში დიდად გავლენიანი და პატივცემული პიროვნებაა და, ბუნებრივია, ფიდე-ს პრეზიდენტის სიმპათიებსაც იმსახურებს. არც ის არის გამორიცხული, მომავალში ისინი ერთიან პოლიტიკურ სივრცეში აღმოჩნდნენ. საჭადრაკო სამყაროში კასპაროვის დაწინაურება კი შეიძლება ამის ერთ-ერთი წინაპირობაც გახდეს. ამიტომ ილიუმჟინოვი აცხადებს: რაკი გარი კასპაროვი საჭადრაკო რეიტინგის მიხედვით პირველია, დანარჩენებმა სწორედ მასთან შეხვედრის უფლებისთვის უნდა დაღვარონ ოფლი.

ფიდე-ს გეგმის მიხედვით, ნოკაუტ-ჩემპიონატის გამარჯვებული გარი კასპაროვს შეხვდება. შემოდგომაზე, კერძოდ, 25 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე, შვეიცარიის ქალაქ ბრისაგოში გაიმართება მეორე მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის კლასიკურ ჭადრაკში. ერთმანეთს დაუპირისპირდებიან ვლადიმირ კრამნიკი და უნგრელი დიდოსტატი პეტერ ლეკო. ამ ორი მატჩის გამარჯვებული კი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს გაითამაშებს.

გამაერთიანებელი მატჩი კირსან ილიუმჟინოვისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. თუ მას გეგმები ჩაეშლება, ფიდე-ს პრეზიდენტი მთლიანად დაკარგავს დივიდენდებს და, შესაბამისად, გავლენას საჭადრაკო სამყაროში. ამდენად, მისთვის სულ ერთია, სად გაიმართება მატჩი. მთავარია, მას სოლიდური საპრიზო ფონდი ახლდეს თან. ამიტომ, როცა მუამარ კადაფიმ მას ჩემპიონატის ლიბიაში ჩატარების იდეა გაუმჟღავნა, კირსან ილიუმჟინოვს დიდხანს არ უფიქრია.

ევროპელებს კარგა ხანია აღარ სურთ ილიუმჟინოვის გეგმებში მონაწილეობა, ამიტომ ფიდე-ს ინტერესთა ეპიცენტრმა აზიისკენ გადაინაცვლა. ამ ეტაპზე ყალმუხეთის ლიდერს მუამარ კადაფი მოევლინა მხსნელად, მაგრამ ილიუმჟინოვმა შემოდგომამდე გამაერთიანებელი მატჩის მასპინძელიც უნდა მოძებნოს. თუ არადა, მის ამბიციებს წერტილი დაესმება.

ამას წინათ გამათულ პრესკონფერენციაზე კირსან ილიუმჟინოვმა საზეიმოდ განაცხადა, რომ გამაერთიანებელ მატჩს ვიეტნამი უმასპინძლებს სოლიდური საპრიზო ფონდით 2 მილიონი დოლარი. თუმცა, მოგვიანებით ვიეტნამის ხელისუფლებამ უარი შეუთვალა ფიდე-ს პრეზიდენტს და თავისი გადაწყვეტილება საპრიზო თანხის უქონლობით ახსნა. ეს ძლიერი დარტყმა იყო კირსან ილიუმჟინოვის იმიჯზე და მას ამ ფსიქოლოგიური სტრესის მოსაგერიებლად ახალი გამარჯვება სჭირდებოდა. მან ეს გამარჯვება საქართველოში, ასლან აბაშიძის კარზე მოიპოვა.

ასლან აბაშიძე 500 000 დოლარს კისრულობს და მზად არის, ბათუმში ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლოს. კირსან ილიუმჟინოვმა სიამოვნებით მიიღო თავისი ძველი მეგობრის ჯენტლმენური ჟესტი და საქართველოს ზღვისპირა ქალაქში ხელშეკრულებაც გააფორმა. შეთანხმების მიხედვით, 23 მაისიდან 7 ივნისამდე ბათუმი უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს ქალთა შორის. ბათუმი ჭადრაკის ერთ-ერთი დედაქალაქია. აქ გაიმართა პირველი მატჩი ევროპისა და აზიის ნაკრებ გუნდებს შორის. ამ ქალაქთან სასიამოვნო მოგონებები მაკავშირებს, განაცხადა ფიდე-ს კმაყოფილმა პრეზიდენტმა.

თუმცა, ადვილი შესაძლებელია, კირსან ილიუმჟინოვს კიდევ ერთხელ გაუცრუვდეს იმედი. საქმე ის არის, რომ აჭარაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის გამო, საქართველოს ხელისუფლება ტურნირის მონაწილეებს უსაფრთხოების გარანტიას ვერ აძლევს, ამიტომ უარს აცხადებს, მის ტერიტორიაზე გაიმართოს მსოფლიო ჩემპიონატი. ამის შესახებ განაცხადა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა. მინისტრის თქმით, ქართული მხარე აპირებს, შესაბამისი განცხადებით ფიდე-საც მიმართოს.

ახალი კანდიდატის შესარჩევად ფიდე-ს დრო არ რჩება. ამდენად, თუ ბათუმი ქალთა მსოფლიო ჩემპიონატს არ უმასპინძლებს, ეს გამანადგურებელი დარტყმა იქნება კირსან ილიუმჟინოვის ამბიციებზე და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ აღარც გამაერთიანებელი მატჩი გაიმართოს. ან, უკეთეს შემთხვევაში, მისი ორგანიზება გაურკვეველი ვადით გადაიდოს.

ნესტან ნიჟარაძე
იუსტინა მიელნიკიევიჩი

რევორტაჟი ფოტოკომენტარებით

კავკასიელი ტყვეები

პარადოქსი ქართული რეალობის განუყოფელი ნაწილი გახდა: ქართველები საქართველოდან მიდიან, უცხოელები კი პირიქით, საქართველოში მოდიან. პროცესი შეუქცევადი აღმოჩნდა - უცხოელების ნაკადი არ წყდება, ისევე, როგორც არ წყდება იმ ქართველების ნაკადი, რომელებმაც საქართველო უკვე დატოვეს ან ახლო მომავალში დატოვებენ.

ისინი კი, უცხოელები, მოდიან სხვადასხვა ქვეყნებიდან, სხვადასხვა მისიებით, სხვადასხვა წარმოდგენებით საქართველოზე, ხშირად კი ყოველგვარი წარმოდგენის გარეშეც. საქართველოში ჩამოსვლით გამოწვეული შოკი ხშირად დიდია, ადაპტაციის პერიოდი - ხანგრძლივი, თუმცა მათ ყოფაში ქართული ტრადიციების დამკვიდრების პროცესი უმეტესწილად ქართველების სასარგებლოდ სრულდება ხოლმე: უცხოელები ეჩვევიან სუფრასთან საათობით ჯდომას, სადღეგრძელოების მოსმენას და წარმოთქმასაც კი. იმასაც, რომ მობილური ტელეფონი ყოველთვის და ყველგან რეკავს; რომ ტელევიზორიც ყოველთვის და ყველგან არის ჩართული. ისინი ნელ-ნელა სწავლობენ, როგორ გაარჩიონ ღვინის ქვეყანაში კარგი ღვინო ფალსიფიცირებულისგან, ქალაქის რომელ სარდაფში იყიდონ ეს კარგი ღვინო და მეტიც, მაყალზე მწვადის შეწვასაც ცდილობენ.

თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს და ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ანუ საქართველოში მცხოვრები უცხოლებიც (ქართველების არ იყოს) რამდენიმე კატეგორიად შეიძლება დავყოთ. არის კატეგორია, რომელიც წლების მანძილზე ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს ან კერძო სახლის ერთ-ერთ სართულზე ცხოვრობს, ორი სართულით ზევით ან ქვევით იწყობს ოფისს და იმ ოფისში ისევ და ისევ საქართველოსთვის გასაწევი დახმარების გეგმებს ამუშავებს; თუმცა, ცხოვრების ამ წესს მინიმუმამდე დაყავს სპეციფიკურ ქართულ რეალობასთან ურთიერთობის ინტენსივობა. ბევრი მათგანისთვის ერთადერთი შესაძლებელი გამოსავალი არსებობს - რეალობისგან გაქცევა. მათი გამტყუნება რთულია - ქართული რეალობა მხოლოდ მძაფრი შეგრძნებების მოყვარულ ადამიანს თუ მოხიბლავს. არიან ისეთებიც, რომ ვერ უძლებენ და შეძლებისდაგვარად სწრაფად ტოვებენ ქვეყანას. არიან ისეთებიც, რომლებიც აქ მხოლოდ იმიტომ ძლებენ (და ისინი მართლაც გაძლებაზე არიან), რომ საქართველო მათი პროფესიული კარიერის გადამწყვეტ რგოლად უნდა იქცეს ან კიდევ იმიტომაც, რომ ისეთ რთულ ქვეყანაში მუშაობას, როგორიც საქართველოა, ხშირ შემთხვევაში ერთადერთი გამართლება და მიზანი აქვს - მაღალი, ძალიან მაღალი ანაზღაურება. მაგრამ არიან ის უცხოელებიც, რომლებიც არც ჯიპებით მგზავრობენ, არც "მარიოტში" ვახშმობენ და საქართველოში მათ მიერ გატარებულ რამდენიმე წელს არც მაღალი ანაზღაურება ამართლებს. ისინი ქართველი მოკვდავებივით უბრალო, მოკრძალებულ ბინებში ცხოვრობენ, ბევრს მუშაობენ და მინიმალურ ხელფასს იღებენ, ანუ ქართველებთან მეტ - ნაკლებად თანასწორობის პირობებში თანაარსებობენ. თუმცა, ერთი პატარა პრივილეგიით - ისინი უცხოელები არიან! და მიუხედავად ამისა, ცხოვრობენ ისევე, როგორც თქვენ და მე. ანუ შუქი რომ ქვრება, ანთებენ სანთლებს, გაზი რომ წყდება, სადილს ვერ ამზადებენ, ხოლო წყალი რომ წყდება, ვერ ბანაობენ. მგზავრობენ სამარშრუტო ტაქსებით და ბაზრობაზეც დადიან, თუმცა ქართველებისგან ერთი განსხვავებით: ბაზრობა მათთვის ქართული ეგზოტიკის განუყოფელი ნაწილიც არის - შედარებით იაფ სავაჭრო ადგილთან ერთად.

საქართველოც ნელ-ნელა ეჩვევა იმას, რომ უცხოელი მისიონერები მისი რეალობის განუყოფელ ნაწილად იქცნენ. საქართველოს უყვარს თავისი უცხოელები. საქართველო პატივს სცემს და მოწიწებით ეპყრობა თავის უცხოელებს. ხოლო იმის გამო, რომ ქართულს ყველა უცხოელი ვერ ან არ ისწავლის, ქართველები თავად სწავლობენ ინგლისურს. ტრადიციული ქართულ-რუსული წარწერები ქუჩაში ქართულ-ინგლისურმა წარწერებმა შეცვალა. რუსულ ენასთან ტრადიციულმა მიჯაჭვულობამ ინგლისურისკენ ლტოლვას დაუთმო ადგილი. ინგლისურის, ანუ ქართველების დანარჩენ მსოფლიოსთან და ადგილობრივ, თბილისში მცხოვრებ უცხოელებთან დამაკავშირებელი ენის თუნდაც მოკრძალებულ მარაგს დღეს უკვე ყველა ფლობს. თბილისში ქუჩის მათხოვრების ლექსიკონშიც კი გაჩნდა "დამეხმარე"-ს ინგლისური ვერსია. ისე რომ, ქუჩაში ვინმემ თუ დაგაწიათ "Help me, please", არც კი დაფიქრდეთ - ქუჩის მათხოვარს თქვენ უცხოელი ეგონეთ. ახსნა-განმარტებების თავიდან არიდება თუ გნებავთ, უსიტყვოდ გაეცით 20 თეთრი. ეს თქვენი, როგორც უცხოელის, იმიჯის შენარჩუნებაში ინვესტირებული თანხაც იქნება.

■ ■ ■

დოლიძის ქუჩის დასაწყისში, ჩვეულებრივი საცხოვრებელი კორპუსის ერთ-ერთ ბინას ორი უცხოელი - ამერიკელი ენტონი და ინგლისელი პოლი ქირაობს. ორივე ინგლისური ენის მასწავლებელია. ენტონი თბილისში პირველად აღნიშნავდა თავის დაბადების დღეს. ბინის აივანზე შაბათ საღამოს მაყალზე მწვადი იწვებოდა. დაპატიჟებულ სტუმართა შორის დაუპატიჟებელი ინკასატორიც აღმოჩნდა, რომელიც დაბნეულ იუბილარს უნაკლო ქართულით ბანკში გადახდილი თანხის ქვითარს თხოვდა. ეგზოტიკა თუ ბანალური სიტუაცია? ერთიც და მეორეც -თბილისი ხომ კონტრასტების ქალაქია! აქ ყველაფერი (ან თითქმის) შესაძლებელია. მაგალითისთვის, ნიუ-იორკის აივნებზე მწვადი არცთუ ისე ხშირად იწვება.

დოლიძის ქუჩის აივანზე შემწვარი მწვადის გასასინჯად ქართველების გარდა თბილისში მცხოვრები უცხოური დიასპორის ის ნაწილიც შეიკრიბა, რომელიც საქართველოში ინგლისური ენის გავრცელების მისიით ჩამოვიდა. ეს ძირითადად ის ნაწილია, რომელიც, დოლიძის ქუჩის მაცხოვრებლების არ იყოს, ქართული რეალობის ადეკვატურად, მოკრძალებულად ცხოვრობს ერთადერთი პრივილეგიით (რომელიც მათ, ალბათ, ყოფას არ უმსუბუქებს) - ისინი უცხოელები არიან.

ისე მოხდა, რომ შაბათს საღამოს დაპატიჟებულ ქართველ უცხოელთა სიაში ჩვენც მოვხვდით და სასიამოვნოს სასარგებლოსთან შეთავსების მიზნით გადავწყვიტეთ, ამ უწყინარ birthday shashlik party -ზე (ქართულ თარგმანში სადაბადებისდღეო მწვადის წვეულება) ისიც გაგვეგო, თუ როგორ ცხოვრობს თბილისელი უცხოელების ერთი ნაწილი, როგორ აღმოჩნდნენ ისინი საქართველოში და რას ფიქრობენ თავიანთი ცხოვრების ქართულ პერიოდზე.

"საქართველოში ჩამოსვლამდე," - ამბობს პაბლო კალიფორნიიდან, - „პოლონეთში ვმუშაობდი ინგლისური ენის მასწავლებლად. სწორედ იქ გავიცანი ქართველები. იმდენი მესმოდა საქართველოზე, რომ გადავწყვიტე, ჩამოვსულიყავი არდადეგებზე და ბოლო-ბოლო მე თვითონ მენახა, მხოლოდ ჩემი მეგობარი ქართველები იყვნენ თუ ყველანი ასეთი არტისტულები და გახსნილები არიან ურთიერთობებში. აღმოჩნდა, რომ ჩემი მეგობრები გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ. პოლონეთში დაბრუნების შემდეგ კი გადავწყვიტე, რომ უფრო ხანგრძლივი დროით და უკვე საცხოვრებლად ჩამოვსულიყავი თბილისში. ასეც მოხდა. ახლა უკვე ვერელი ვარ, ოღონდ ზემო ვერელი."

ჰეტერისთვის კი საქართველოში ჩამოსვლა შოკით დაიწყო და გაგრძელდა. იგი ვერ ხვდებოდა, ქუჩაში ყველა მამაკაცი მას რატომ უყურებდა და დიდ დისკომფორტასაც განიცდიდა ამის გამო. დაუცველადაც კი გრძნობდა თავს. "ვფიქრობდი, ალბათ იმიტომ, რომ ხვდებიან, ამერიკელი რომ ვარ. მერე ვიფიქრე, ალბათ იმიტომ, რომ სხვა არაფერი აქვთ საქმე. მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ ეს აქაური კულტურის განუყოფელი ნაწილია. არავინ წუხდება, თუ მას ქუჩაში ვინმე ყურადღებით ათვალიერებს," - ამბობს იგი. ამბობს იმასაც, რომ საქართველოში მას არაფერი განსაკუთრებით არ ხიბლავს. ტრადიციები და კულტურა მისთვის ცოტა მიუღებელიც კი არის. თუმცა, აღიარებს, რომ ყველაზე მომხიბლავი საქართველოში თავად ქართველები და ქართული ოჯახის ფენომენია - მუდმივად მოფუსფუსე და მზრუნველი დედებით და ბებიებით. ამერიკელებს არ რჩებათ ბევრი დრო ურთიერთობებისთვის, - ამბობს ჰეტერი, - „ჩვენთვის მუშაობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეგობრები. სამწუხაროდ?!"

პაბლო კი ამბობს: "ამერიკაში მე პლასტიკურ საზოგადოებაში გავიზარდე. აქ კი საზოგადოება ცოცხალია. აქ ცხოვრების არსი ურთიერთობა, სტუმართმოყვარეობა და ტრადიციების გაგრძელებაა. ყველაფერი ძალიან ნამდვილია და გულწრფელი. მე მიყვარს ეს."

ბრისტოლელმა პოლმა ჯერ კიდევ წელიწადნახევრის წინ, ანუ საქართველოში სამუშაოდ ჩამოსვლამდე არც კი იცოდა, რომ ასეთი ქვეყანა არსებობს. პირველი ინფორმაცია, რომელიც მან ქვეყნის შესახებ ინტერნეტის მეშვეობით აშშ-ს საელჩოს ვებსაიტზე შეიტყო, ის იყო, რომ საელჩო ყველა მსურველს ურჩევდა, თავი შეეკავებინა საქართველოში მოგზაურობისგან. რჩევები კონკრეტულ მაგალითებს ეყრდნობოდა: საელჩო ყველას აფრთხილებდა, რომ საღამოს საათებში ქალაქში ფეხით სიარული ხშირ შემთხვევაში კრიმინალური ელემენტების თავდასხმით მთავრდება. პოლს სამხრეთ ამერიკაში მუშაობის გამოცდილებამ არ უმტყუნა და იგი საქართველოში მაინც ჩამოვიდა. გულწრფელად აღიარებს, რომ ქართულმა რეალობამ მის ცნობიერებაში მნიშვნელოვანი ძვრა გამოიწვია; რომ პირველად აქ გააცნობიერა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ელემენტარული საცხოვრებელი პირობების არსებობა-არარსებობას. ყველაზე დეპრესიულ დღედ იმ დღეს აღიარებს, როდესაც მის საცხოვრებელ ბინას გაზით, წყლით და ელექტროენერგიით მომარაგება შეუწყდა; რომ მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ქალსა და მამაკაცს შორის არსებული ურთიერთობების ქართული მოდელი. "ჩემი მეორე მეგობარი გოგო ქართველი იყო ძალიან ტრადიციული ოჯახიდან. ერთხელ მშვიდად გამომიცხადა, შეგიძლია მეძავთან წახვიდე, თუ გსურსო. გაოგნებული დავრჩი. მისთვის გაცილებით უფრო მარტივი მისაღები იყო საყვარელი მაკაცის მეძავთან გაშვება, ვიდრე ქორწილამდე სექსუალურ ურთიერთობებზე დათანხმება." პოლ, ეს ხომ საქართველოა", - ვეუბნებით ჩვენ მას. იგი კი გვპასუხობს: ეტყობა, სექსუალური რევოლუცია საქართველოში ჯერ არ მომხდარაო. მისთვის ან წელიწადნახევარი არ აღმოჩნდა საკმარისო დრო, ან მეგობარი გოგოები ხვდებოდნენ მართლაც მყარი ტრადიციული წარმოდგენებით, თორემ აუცილებლად მიხვდებოდა, რომ საქართველოში სექსუალური რევოლუცია(ც) მოხდა, მხოლოდ... ეს სექსუალური რევოლუციის ანდერგრაუნდ-ვარიანტი იყო.

ხოლო როდესაც ვსაუბრობთ, თუ რატომ თანხმდებიან უცხოელები საქართველოში ჩამოსვლაზე ხშირ შემთხვევაში იმ ყოფით პირობებში და, ზოგადად, გარემოში ცხოვრებაზე, რომელში ცხოვრების გამოცდილებაც მათ, ელემენტარულად, არა აქვთ, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა მათ შორის, ვინც აქ ჩამოსვლაზე მხოლოდ იმიტომ თანხმდება, რომ კარგად ანაზღაურებადი სამუშაო აქვთ და იმ კატეგორიას შორის, რომელიც საქართველოში უცნობი კულტურის და უცნობი ტრადიციების გაზიარების მიზნით ჩამოდის, ჩვენ შემთხვევაში კი ინგლისური ენის მასწავლებლობაზე და, შესაბამისად, მოკრძალებულ ხელფასზეც თანხმდება. "პირადად მე ძალიან დიდი და ჩემთვის მნიშვნელოვანი პიროვნული გამოცდილება მივიღე საქართველოში ცხოვრების მანძილზე," - ამბობს პოლი. - „აქ ურთიერთობების ახალი, ჩემთვის მანამდე უცნობი მოდელი აღმოვაჩინე." იმ უცხოელებს კი, ვინც უგაზობის, უშუქობის და უწყლობის პრობლემებით ქართველებზე მეტად წუხდება, ყველა ერთხმად ურჩევს საქართველოს შეძლებისდაგვარად სწრაფად დატოვებას.

მათი, ანუ თბილისში მცხოვრები უცხოელების განზოგადება ძალიან რთული და, ალბათ, უსამართლოც კი იქნებოდა. თითოეულ მათგანს თავისი ბედი, წარსული და მომავალიც აქვს - საქართველოს კონტექსტში თუ ამ კონტექსტისგან დამოუკიდებლად. ვაღაცა გაურბის თავის ქვეყანას, ვიღაცა რაღაცას ეძებს საქართველოში. ვიღაცა აკრიტიკებს თავის ქვეყანას, ვიღაცა კი პირიქით, საქართველოს; ვიღაცისთვის მიუღებელია ევროპულ თუ ამერიკულ საზოგადოებაში ცხოვრება, ვიღაცა კი არ ცნობს ქართულ საზოგადოებას. მაგრამ ფაქტი ნათელია - საქართველო მათი პიროვნული გამოცდილების განუყოფელი ნაწილი მას შემდეგ გახდა, რაც (გამო)უცნობ ქართულ მიწაზე ფეხი დადგეს, იცხოვრეს, შუქი ჩაუქვრათ და სანთლები აანთეს, სადღეგრძელოების წარმოთქმა და თამადის პატივისცემა ისწავლეს; შეიძინეს ქართველი მეგობრები, რომლების ბებიებმაც მათ განსაკუთრებულად გემრიელი ხაჭაპურები გამოუცხვეს და თითქოს დალხენილად ცხოვრობდნენ, ისე მიიღეს, უმასპინძლეს და დამშვიდობებისას თხოვეს, - "კიდევ გამოგვიარეთ."

ხოლო როდესაც დოლიძის ქუჩის ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინის აივანზე შაბათს საღამოს პაბლო ენტონი სტუმრებისთვის მაყალზე მწვადებს წვავდა, ჩვენ სწორედ ამ და სხვა მრავალ საკითხზე ვსაუბრობდით.

ნესტან ნიჟარაძის ფოტოგადაღება

დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2004 წლის 19 აპრილის №27 დადგენილებით

საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) არის საქართველოს კონსტიტუციის 81 2 მუხლისა და "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც არსებული კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშავებს ქვეყნის ეკონომიკურ, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების პოლიტიკას, კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას.

2. სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.

3. სამინისტროს აპარატი, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებები, სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები, ტერიტორიული ორგანოები და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები ქმნიან ეკონომიკის სამინისტროს ერთიან სისტემას.

4. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

5. სამინისტროს აქვს დებულება, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, საკუთარი ხარჯთა ნუსხა და სათანადო ანგარიში საქართველოს სახელმწიფო ხაზინაში.

6. სამინისტრო ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით და იგი ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის.

7. სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს. სამინისტროს კომპეტენცია დგინდება კანონით და/ან კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით და მთავრობის დადგენილებით. სამინისტროს უფლება არა აქვს გადასცეს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებებს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მის კომპეტენციას განეკუთვნება. სამინისტრო მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კონსტიტუციის, სხვა კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების ან განკარგულებების, საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

8. უფლებამოსილების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამინისტრო იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურების, ორგანოებისა და უწყებებისთვის, აგრეთვე სხვა სუბიექტებისათვის.

9. სამინისტროს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, 0108, გ. ჭანტურიას ქუჩა №12.

მუხლი 2. სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები

1. სამინისტროს საქმიანობის ძირითადი სფეროა ეკონომიკა.

2. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

ა) ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, ინდიკატური დაგეგმვა და მათი რეალიზების კოორდინაცია; წინადადებათა შემუშავება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ; საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და სოციალური ინფრასტრუქტურის რეფორმირებასთან დაკავშირებული წინადადებების შემუშავება; ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის, ანტიკორუფციული და ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ წინადადებების შემუშავება და მათი რეალიზაციის მონიტორინგი;

ბ) ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის სრულყოფა და მისი განხორციელების მონიტორინგი; აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ცალკეული სექტორული მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და მათი შესრულების მონიტორინგის კოორდინაცია;

გ) სახელმწიფო ქონების მართვის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მართვის პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაცია; სახელმწიფო ქონების პრივატიზების პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;

დ) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საგარეო ვაჭრობის მიმართულებებისა და პრიორიტეტების პოლიტიკის შემუშავება. საზღვარგარეთის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის მთავრობათშორისი ხელშეკრულებების პროექტების შემუშავება-განხორციელებაში მონაწილეობის მიღება; საერთაშორისო დახმარების მოზიდვისა და სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანესი პროექტების რეალიზაციის მიზნით საერთაშორისო ეკონომიკურ და საფინანსო ორგანიზაციებთან და მათ რეგიონულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა; სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია;

ე) საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკისა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მონიტორინგი; ინვესტიციების მოზიდვისათვის აუცილებელი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებისათვის ხელშეწყობა, მისი რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების კოორდიაცია და მონიტორინგი; ერთიანი სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის შესამუშავებლად წინადადებათა მომზადება და განხორციელება;

ვ) რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრა, ფორმირება და წარმართვა; პოსტკონფლიქტური რეგიონების რეაბილიტაციის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებებისა და რეგიონული სტრუქტურების მონაწილეობით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგიონული პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და ამოცანების და მისი სამართლებრივი ბაზის ფორმირებაში მონაწილეობა; სახელმწიფო რეგიონული მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის კოორდინაცია და მონიტორინგი;

ზ) ერთიანი სახელმწიფო სამრეწველო პოლიტიკის შემუშავება და მისი რეალიზაცია;

თ) სტატისტიკის სფეროში საქმიანობის კოორდინაცია სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის ფარგლებში;

ი) ტურიზმისა და კურორტების განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და მისი რეალიზაცია;

კ) ანტიმონოპოლიური საქმიანობის წარმართვა შესაბამისი კანონმდებლობის ფარგლებში;

ლ) ინვესტიციებისა და ექსპორტის ხელშეწყობის კოორდინაცია;

მ) მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით შესაბამისი წინადადებების შემუშავება და რეალიზაცია;

ნ) სამხედრო-სამობილიზაციო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად;

ო) სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა;

პ) პრივატიზებულ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურება "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

ჟ) საერთო სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ქონებაზე საკუთრების უფლების გამიჯვნის შესახებ წინადადებათა მომზადება და მათი რეალიზაცია.

მუხლი 3. სამინისტროს სისტემა

სამინისტროს სისტემაში გაერთიანებულნი არიან:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატი;

ბ) სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი;

გ) ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი;

დ) სახელმწიფო ანტიმოპოლიური სამსახური;

ე) საწარმოთა მართვის სააგენტო;

ვ) საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო;

ზ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;

თ) ფასების სახელმწიფო ინსპექცია;

ი) საქართველოს ეროვნული საინოვაციო სამსახური "საქინოვაცია";

კ) აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებები;

ლ) ტერიტორიული ორგანოები;

მ) ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

ნ) საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი;

ო) პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი.

მუხლი 4. სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებები

სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებია:

ა) სტატისტიკის სახელმწიფო დეპარამენტი;

ბ) ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტი;

გ) სახელმწიფო ანტიმოპონოლიური სამსახური;

დ) ფასების სახელმწიფო ინსპექცია.

მუხლი 5. სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები არიან:

ა) ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

ბ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო;

გ) საწარმოთა მართვის სააგენტო;

დ) საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო;

ე) საქართველოს ეროვნული საინოვაციო სამსახური "საქინოვაცია";

ვ) საქართველოს საინსტიტუციო მშენებლობის განვითარების პროექტების განმახორციელებელი რგოლი;

ზ) პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი.

მუხლი 6. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები არიან სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოები.

მუხლი 7. სამინისტროს სტრუქტურა

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცენტრალური ერთეულებია:

ა) მინისტრის აპარატი;

ბ) ბუღალტერია;

გ) ეკონომიკური პოლიტიკისა და ინდიკატური დაგეგმვის დეპარტამენტი;

დ) ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის დეპარტამენტი;

ე) სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების პოლიტიკის დეპარტამენტი;

ვ) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტი;

ზ) საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკის დეპარტამენტი;

თ) რეგიონული ეკონომიკისა და პოსტკონფლიქტური რეგიონების რეაბილიტაციის პოლიტიკის დეპარტამენტი;

ი) სამრეწველო პოლიტიკის დეპარტამენტი;

კ) იურიდიული დეპარტამენტი;

ლ) სამხედრო-სამობილიზაციო დეპარტამენტი.

მუხლი 8. სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზაცია, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც ერომმართველობის პრინციპზე დაყრდნობით, საქართველოს კონსტიტუციის, "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს აპარატისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურების, დაწესებულებების მართვასა და კოორდინაციას.

2. მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. მინისტრი უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. მინისტრის საქმიანობას კოორდინაციასა და კონტროლს უწევს პრემიერ-მინისტრი, რომელიც უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრი. პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტას. მინისტრის უფლებამოსილებათა შეწყვეტა მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტის საფუძველია.

3. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებისათვის;

გ) ზედამხედველობს და თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიულ ორგანოთა მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, ტერიტორიულ ორგანოთა ხელმძღვანელებსა და მათ მოადგილეებს, ასევე მოხელეებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელები ინიშნებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებას საქართველოს წლიური ბიუჯეტის ხარჯთა ნუსხის შესახებ და აუცილებლობის შემთხვევაში - დამატებითი ბიუჯეტის პროექტის თაობაზე; იღებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების გადაწყვეტილებებს და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებისათვის;

ვ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ხარჯთა ნუსხას, ახორციელებს მისი შესრულების კონტროლს და აუცილებლობის შემთხვევაში იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;

ზ) ამტკიცებს საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას;

თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამტკიცებს სახელმწიფო ქონების პრივატიზების ან კანონმდებლობით დადგენილი ნებისმიერი ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ დებულებებს;

ი) ადგენს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სტრუქტურასა და საქმის წარმოების წესს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დადგენილია მინისტრის ბრძანების ზემდგომი სამართლებრივი აქტით;

კ) მონაწილეობს მთავრობის სხდომების მუშაობაში;

ლ) ასრულებს მისთვის კანონებით, პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს;

მ) მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს სამინისტროს დებულებას;

ნ) ამტკიცებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების დებულებებს, განსაზღვრავს მათ უფლებამოსილებებს;

ო) ავალებს ერთ-ერთ მოადგილეს საპარლამენტო მდივნის ფუნქციის განხორციელებას;

პ) ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილის, მოადგილეების, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სხვა თანამდებობის პირების, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელების აქტებსა და მოქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, სხვა კანონებს. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე მინისტრის ბრძანებებს; ასევე ძალადაკარგულად ცნობს მითითებულ თანამდებობის პირთა და სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა აქტებს მათი მიზანშეწონილობის მოტივით;

ჟ) უფლება აქვს სამინისტროს თანამდებობის პირთა მოქმედებაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს პირველ მოადგილეს;

რ) გამოსცემს ბრძანებებს კანონის, პრეზიდენტის ნორმატიული აქტის ან მთავრობის დადგენილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

3. მინისტრს ჰყავს ხუთი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი მოადგილე, რომელთა უფლებამოსილებანი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, თუ კანონით და მთავრობის აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი. მინისტრის მოადგილეს მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი.

4. მინისტრი თავისი ბრძანებით განსაზღვრავს მოადგილეთა ფუნქციებს, ამასთან, - თუ რომელი სტრუქტურული ქვედანაყოფების, საქვეუწყებო დაწესებულებებისა და სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობას გაუწევენ ისინი კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას.

5. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოებისა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის მინისტრის არყოფნას.

6. მინისტრი თავის ბრძანებით ქმნის სათათბირო ორგანოს - სამინისტროს მუდმივმოქმედ სათათბირო საბჭოს (შემდგომში - სათათბირო საბჭო), რომლის შემადგენლობაშიც შედიან: მინისტრი - სათათბირო საბჭოს თავმჯდომარე, მინისტრის პირველი მოადგილე, მოადგილეები, სხვა თანამდებობის პირები და სპეციალისტები.

სათათბირო საბჭოს წევრების რაოდენობასა და პერსონალურ შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს მინისტრი.

სამინისტროს სათათბირო საბჭო თავის სხდომაზე განიხილავს სამინისტროსათვის მინდობილი სფეროების საკვანძო საკითხებს, დაქვემდებარებული ორგანიზაციების წესდებებს, მათ სამუშაო პროგრამებსა და სამეცნიერო თემატიკას, სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, საქმიანობის შედეგებს. სათათბირო საბჭოს საქმისწარმოებას და მის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს აგვარებს სათათბირო საბჭოს მდივანი.

მუხლი 9. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებს და კომპეტენციას წარმოადგენს:

1. მინისტრის აპარატი საქმის წარმოების ერთიანი წესების შესაბამისად ახორციელებს სამინისტროში შემოსული ოფიციალური კორესპონდენციის დამუშავებას და მოძრაობას, საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის, მთავრობის დავალებების, ეკონომიკის მინისტრის ბრძანებებისა და დავალებების შესრულების კონტროლს; ორგანიზებას უწევს სამინისტროს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოს შესრულების კონტროლს; ორგანიზებას უწევს სამინისტროს მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოს სხდომებისა და მინისტრის მიერ დანიშნული სხვა თათბირების გამართვას; ასრულებს მინისტრის კერძო დავალებებს; უზრუნველყოფს სამინისტროში საზღვარგარეთის ქვეყნების დელეგაციების, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა მისიების მიღების ორგანიზაციას, მოქალაქეთა მიღებას, მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემას, ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლას და მისი ფორმირებისათვის ხელშეწყობას; ახორციელებს სამინისტროს ინფორმაციულ უზრუნველყოფას, მინისტრის საჯარო სამოსვლებისა და მოხსენებების მომზადების კოორდინაციას; სამინისტროში მიმდინარე პროცესებისა და გაწეული საქმიანობის პრესისთა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით საზოგადოების ფართო ფენებისათვის გაცნობას; ოფიციალური დოკუმენტაციისა და კორესპონდენციის თარგმნას; კოორდინაციას უწევს საკადრო საკითხების რეგულირებას; უზრუნველყოფს სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის საექსპლუატაციო პირობების შექმნას; ახორციელებს სამინისტროს აპარატის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფასა და გაფართოებას; შეიმუშავებს და წარუდგენს მინისტრს წინადადებებს სამინისტროსათვის საჭირო სახსრების თაობაზე; უზრუნველყოფს სახელმწიფო საარქივო ფონდში შესანახად განკუთვნილი დოკუმენტების დაცვას.

2. ბუღალტერია უზრუნველყოფს სამინისტროში ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას, აწარმოებს როგორც სამინისტროს ცენტრალური აპარატის, ისე საქვეუწყებო დაწესებულებების კუთვნილი სახელმწიფო ქონების აღრიცხვას და ახორციელებს მათი საქმიანობის საფინანსო კონტროლს დადგენილი წესით.

3. ეკონომიკური პოლიტიკისა და ინდიკატური დაგეგმვის დეპარტამენტი ორგანიზებას უწევს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, ხელმძღვანელობს ინდიკატური გეგმების პროექტების მომზადებას, აანალიზებს ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირების შედეგებს, საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითად მაკროეკონომიკურ ტენდენციებს და ახორციელებს მათი განვითარების პროგნოზირებას; შეიმუშავებს წინადადებებს ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის, ანტიკორუფციული და ეკონომიკური უსაფრთხოების თაობაზე და ახორციელებს მათი რეალიზაციის მონიტორინგს; მონაწილეობს ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის წინადადებების მომზადებაში, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო რეგულირებადი ტარიფების ჩამონათვალის დადგენასა და ტარიფების შეთანხმებაში; მონაწილეობს ქვეყნის საფინანსო სისტემის (საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, სადაზღვევო, ფასიანი ქაღალდებისა და საფონდო ბაზრის) განვითარების პოლიტიკის შემუშავებაში და ამზადებს ანალიზურ და პროგნოზულ ინფორმაციას მასში მიმდინარე რეფორმების შესახებ.

4. ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის დეპარტამენტი ახორციელებს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის შესრულების მონიტორინგს, მისი პერიოდული განახლების ორგანიზაციას. კოორდინაციას უწევს ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში ცალკეული სექტორული მიზნობრივი პროგრამების შემუშავებას და მათი შესრულების მონიტორინგს; აანალიზებს აღნიშნული პროგრამის განხორციელების შედეგებს და ახორციელებს პროგრამის შესრულების სუსტი მხარეების გამოვლენას, რის საფუძველზეც ამზადებს პროგრამის სრულყოფის წინადადებებს მინისტრისა და მთავრობისთვის წარსადგენად; უზრუნველყოფს პროგრამის შესრულების ზოგად კოორდინაციას. მონაწილეობს ქვეყნის სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში, ქვეყანაში მოსახლეობის, უმუშევართა და მომუშავეთა რიცხოვნობის, საშუალო თვიური ხელფასისა და ცხოვრების დონის მაჩვენებლების პროგნოზირებაში, სოციალური სფეროს განვითარების პროგრამების შემუშავებაში; ხელს უწყობს სოციალური ინფრასტრუქტურის რეფორმირებას და ამზადებს წინადადებებს მათი სრულყოფის და ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამაში ასახვის მიზნით.

5. სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზების პოლიტიკის დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის დაწესებულებებთან და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან შეთანხმების საფუძველზე ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების თავისებურებათა გათვალისწინებით სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის პროექტის შემუშავების ორგანიზება; ტენდერზე გასატანი საპრივატიზებო ობიექტების საკონკურსო პირობების შემუშავების ორგანიზება, ასევე მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმებით თუ სხვა სახით სარგებლობაში გადაცემის შესახებ სახელმწიფო ქონების პრივატიზებისა და განკარგვის განხორციელების შესახებ წინადადებების მომზადება, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების კოორდინაცია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვა და მართვა (გარდა საწარმოებში არსებული სახელმწიფოს წილისა და აქციებისა). წინადადებათა მომზადება საერთო სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ქონების საკუთრების უფლების გამიჯვნის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხების დამტკიცების, აგრეთვე იმ ობიექტთა ნუსხების დამტკიცების შესახებ, რომელთა პრივატიზება აკრძალულია კანონმდებლობის შესაბამისად; სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით ახალი საწარმოების დაფუძნების თაობაზე წინადადებათა მომზადება, საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონების გირაოთი ან იპოთეკითდატვირთვის, ჩამოწერის, რეალიზაციის საკითხების განხილვაში მონაწილეობა, საწარმოების საწესდებო კაპიტალში ცვლილებების შეტანის, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ სხვა საწარმოების აქციებისა და წილების შესყიდვისა და თავიანთი წილობრივი მონაწილეობით ახალი საწარმოების შექმნის თაობაზე წინადადებების განხილვა და სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობებისა და საგარეო ვაჭრობის დეპარტამენტი მონაწილეობს ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში; თანამშრომლობს საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური გაერთიანებების სტრუქტურებთან, ევროკავშირთან, დსთ-სთან და სხვა; შეიმუშავებს წინადადებებს ევრაზიული დერეფნის განვითარების, რეგიონული ეკონომიკური ურთიერთობების წარმართვის ხელშეწყობისა და ევროპული ინტეგრაციის მიზნით; მონაწილეობს სახელმწიფოთაშორისო პროექტების მომზადებასა და განხორციელებაში; ამზადებს წინადადებებს საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან თანამშრომლობის მიმართულებების შესახებ; აანალიზებს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და კონვენციებით გათვალისწინებული ეკონომიკური ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას, ამზადებს შესაბამის დასკვნებსა და წინადადებებს; შეიმუშავებს ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისა და მექანიზმების ევროგაერთიანების დირექტივებთან ჰარმონიზაციის შესახებ წინადადებებს; აანალიზებს ქვეყნის სკოლამდელ ბალანსს და ამზადებს წინადადებებს მისი გაუმჯობესებისათვის; კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რექსპორტისა და ტრანზიტის, ასევე შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების (მათ შორის საწარმოო ნარჩენების) ექსპორტისა და რეექსპორტის სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს; საქონლის წარმოშობის განსაზღვრისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად გასცემს "A" ფორმის წარმოშობის დამადასტურებელ სერტიფიკატებს; შეიმუშავებს წინადადებებს სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განმტკიცებისა და შემდგომი სრულყოფის მიზნით; საქართველოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობიდან გამომდინარე, აანალიზებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ამზადებს წინადადებებს ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის დებულებებთან და წესებთან შესაბამისობის მიზნით.

7. საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკის დეპარტამენტი ამზადებს წინადადებებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების შესახებ და ამ მიზნით მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებთან, შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ბიზნესგაერთიანებებთან; მონაწილეობს სახელმწიფო საინვესტიციო და საინოვაციო პოლიტიკის, სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტების, შეიმუშავებს და განახორციელებს ერთიან სამრეწველო-ეკონომიკურ პოლიტიკას; პერიოდულად აანალიზებს სამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური საქმიანობის შედეგებს და ამზადებს ინფორმაციასა და რეკომენდაციებს სათანადო ღონისძიებათა განხორციელების მიზნით; მონაწილეობს გარემოს დაცვის ღონისძიებების შედგენაში; შეიმუშავებს სამრეწველო დარგის განვითარების ინდიკატურ პროგნოზებს; მონაწილეობს სამრეწველო სექტორის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავებაში და ახორციელებს მათი შესრულების მონიტორინგს; მონაწილეობს ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების, პრიორიტეტული დარგებისა და მიმართულებების სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა და სამრეწველო საწარმოთა სატენდერო-საკონკურსო პირობების, რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებაში.

10. იურიდიული დეპარტამენტის დანიშნულებაა სამინისტროს სამართლებრივი მოსამსახურის უზრუნველყოფა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგ-სამინისტროს კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებზე შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება, სამართლებრივი საქმიანობის ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა, საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლებასთან და მთავრობასთან ურთიერთობისას სამართლებრივ საკითხებზე წინადადებების მომზადება, სამინისტროს სისტემაში მოქმედი ნორმატიული აქტების უპირატესი ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მინით სათანადო ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; სამინისტროში მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტების, სამინისტროს მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტებისა და სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, სამეურნეო ხასიათის ხელშეკრულებათა სამართლებრივი უზრუნველყოფა. სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა იურიდიული სამსახურების საქმიანობის კოორდინაცია, აგრეთვე სამინისტროს ინტერესების დაცვა სასამართლოსა და შესაბამის ორგანოებში და კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ფუნ

1-ლი ქართული საერთაშორისო გამოფენა
ტელეკომუნიკაციები და
საინფორმაციო ტექნოლოგიები

28-30 აპრილი
თბილისი, საქართველო
შერატონ მეტეხი პალასი

GEORGIA TELECOM 04
www.caspianworld.com

შესვლა უფასოა

ორგანიზატორები:
ITE Group Plc
Tel.: +44 (0) 207 596 5221
Fax: +44 (0) 207 596 5167
E-mail: enquiry@ite-exhibitions.com
Iteca Caspian
Tel.: +994 12 47 47 74
Fax: +994 12 47 89 98
E-mail: telecoms@iteca.az
Iteca Caucasus
Tel.: +995 32 552130
Fax: +995 32 552190
E-mail: office@ite.cdn.ge

ინფორმაციული მხარდაჭერა:

მონაცემთა ბაზის შექმნა

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი არის დამოუკიდებელი, არასამთავრობო, არაკომერციული ფონდი, რეგისტრირებული 2000 წელს. ორგანიზაცია დაარსდა 1995 წელს ჩატარებული მინისტრების კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს, სომხეთის და ზერბაიჯანის მთავრობებისა და ევროკაშირის მიერ. კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი მუშაობს გარემოსდაცვით და მდგრადი განვითარების სფეროებში კავკასიის რეგიონში.

კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი, პროექტის - "პილოტური პროექტები კავკასიის მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებისთვის" ფარგლებში, აცხადებს კონკურსს მონაცემთა ორენოვანი (ინგლისური და რუსული) ბაზის შექმნაზე

კონკურსის პირობების გასარკვევად დაგვიკავშირდით:
ჭავჭავაძის გამზირი 74, მე-9 სართული, ოფისი 901 კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი. ტელ.: 25-36-48 / 25-36-49,
ელ. ფოსტა: nina.shatberashvili@rec-caucasus.org
საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა: 2004 წლის 19 მაისი.

Save the Children.

განცხადება

საერთაშორისო ორგანიზაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" და ფონდი "ერანი" ახორციელებს შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტს სახელწოდებით "იძულებით გადაადგილებული პირთა კომუნალური ცენტრების რეაბილიტაცია". ამ პროექტის ფარგლებში ცხადდება ტენდერი სარეაბილიტაციო სამუშაოების შემსრულებელი სამშენებლო კომპანიის გამოსავლენად.

დაინტერესებულ ფირმების სატენდერო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2004 წლის 20 აპრილიდან 4 მაისის 12 საათამდე მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N89, მე-3 სართული, ყოფილი სასტუმრო ოდიშის შენობა. თბილისი ბარათაშვილის N8 მე-4 სართული.

კონსულტაციები გაიმართება: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N89, მე-3 სართული, ყოფილი სასტუმრო ოდიშის შენობა 2004 წლის 27 აპრილს 12.00 სთ,

ქ.თბილისი 26 მაისის ქ. N2 მე- 5 სართული, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ოფისი (საბურთალო, დოლიძის ქუჩასთან) 2004 წლის 29 აპრილს

12.00 სთ. ინდივიდუალური კონსულტაციები არ ჩატარდება. ტ. 8 (215) 5 02 77; 8 (22) 99 54 54; 99 64 00; 93 11 08, 8 (22) 99 65 48

საკონტაქტო პირი თბილისში: ირმა ქორთუა
საკონტაქტო პირი ზუგდიდში: შამილ ჯალაღონია,
მობ: 899 11 89 97

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამები

ვიღებთ აპლიკაციებს ნორთუმბრიის უნივერსიტეტის პროგრამებისათვის, რომლებიც ჩატარდება ლონდონის კომერციის სკოლაში (ლკს). ნორთუმბრიის უნივერსიტეტი უკანასკნელი სამი წლის სახელდება ხანდაი ტაიმსის მიერ ნომინირებულ საუკეთესო თანამედროვე უნივერსიტეტად. ლკს აკრედიტირებულია ბრიტანეთის საკრედიტაციო საბჭოს მიერ. შემდეგი სასწავლო წელი იწყება 2004 წლის ივნისში.

მაგისტრატურა £3950
ბიზნეს ადმინისტრაციაში
ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიაში
1 წლიანი პროგრამა

ბაკალავრიატი £6950
საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციაში
გამოყენებით ინფორმატიკაში
2 წლიანი პროგრამა

ნორთუმბრიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტებს საშუალება ექნებათ გაიარონ ბიზნეს ადმინისტრაციის მაგისტრატურა (MBA). MBA გრძელდება 6 თვე და სწავლის ღირებულება შეადგენს 1500 ფუნტ სტერლინგს.

შესაბამისად სტუდენტებს აქვთ უნიკალური შანსი მიიღონ მაგისტრის ორი ხარისხი სულ რაღაც 5450 ფუნტ სტერლინგად.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ნონა მესხიაშვილი / ლკს-ის პროგრამები თბილისი, მცხეთის ქუჩა 2, I სადარბაზო, I ოფისი ტელეფონი: 25 30 25, 23 02 84; მობილური: 893-35-20-67 ელ-ფოსტა: nona@mail.ru; http://www.lsclondon.co.uk

2004 წლის ივნისიდან ერთი სტუდენტი მიიღებს დახმარებას სკოლიდან 1000£

შესაძლებელია ინგლისურის კურსების გავლა

ლონდონში

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

ენის სასწავლო პროგრამები:
- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა 2-4 კვირიანი სავალიფიკაციო კურსები.
- სამაფხულო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასვენება მოსწავლეთათვის და მოზრდილთათვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მაისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერთიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:
- A-Level 10-11 კლასელთათვის და სკოლადამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადამთავრებულთათვის 1 წლით. MBA 1 წლიდან 2 წლამდე.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

საერთაშორისო კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი "რუსული კლუბი" წარმოგიდგენთ

ალექსანდრე ვერტინსკის იუბილესადმი მიძღვნილ სპექტაკლს

"ყვითელი ანგელოზი"

26 აპრილი
"თავისუფალი თეატრი"
დასაწყისი 19.00 საათზე
ცნობებისათვის დარეკეთ ტელ: 93-43-36 98-58-21

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის მომსწავლეთ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისებანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- ალრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.